619
1979

ISSN 0130 1624

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# დროშა

სექტემბერი
№ 9 1979 წ.



მალე რთველი დაიწყება

ზურაბ დათუაშვილის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა




ეროვნული ბიბლიოთეკა

16222

# გიორგიევსკი -ასეთია

### მარადიული მეგობრობის სიმბოლო

ქალაქი გეორგიევსკი ტრამალზე, კავკასიონის მთისწინეთის ვრცელ ადგილას გადაშლილა. იგი გამოკვეთილად მოჩანს თავისი სახელგანთქმული მეზობლების — პიატიგორსკისა, კისლოვოდსკისა და ჟელეზნოვოდსკს შორის მზიან ამინდში გეორგიევსკიდან იშლება საუცხოო პანორამა: შორეული ველ-მინდვრები, მთები; მონაცრისფრო-მოლურჯო კვამლში მარადიული თოვლით ბრწყინავს კავკასიონის დაკბილული მთაგრეხილი ბუმბერაზი იალბუზითურთ.

გეორგიევსკის მატიანეში სახელოვანი ფურცლებია ჩაწერილი. ქალაქი შეიქმნა XVIII საუკუნის შუა წლებში და დიდხანს შეუდრეკელ სიმაგრედ ითვლებოდა აზოვისა და მოზდოკის გამაგრებულ ხაზზე. იგი რუსეთის სამხრეთ საზღვრების დარაჯად იდგა ჩრდილოეთ კავკასიაში.

1783 წელს ამ სიმაგრეში საქართველოს ნიჭიერმა დიპლომატმა და დიდმა პატრიოტმა გარსევან ჭავჭავაძემ ხელი მოაწერა რუსეთსა და საქართველოს ქართლ-კახეთის სამეფოს შორის დადებულ ტრაქტატს. ამ ხელშეკრულებით მეფე ერეკლე II უარი თქვა სპარსელთა მორჩილებაზე და რუსეთი მფარველობა მიიღო. ეს აქტი ჩვენს სამამულო ისტორიაში შევიდა როგორც „გეორგიევსკის ტრაქტატი". თანამედროვე გეორგიევსკის ერთ-ერთ ქუჩაზე დაინახავთ ერთსართულიან სახლს — ჩრდილოეთ კავკასიის მთავარმართებლის ყოფილ რეზიდენციას, სადაც ეს მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა.

გეორგიევსკზე გადიოდა საფოსტო გზა, რომელიც კავკასიას რუსეთის ცენტრთან აკავშირებდა. 1786 წელს სიმაგრესთან არსებული დასახლება ჯერ სამაზრო ქალაქი ხდება, შემდეგ კი საგუბერნიო. გეორგიევსკი, რომელმაც შემდგომში ადმინისტრაციული პირველობა სტავროპოლს დაუთმო, დიდხანს სავაჭრო ქალაქად რჩებოდა. ეკონომიკური თვალსაზრისით მას თვალსაჩინო ადგილი ეკავა ჩრდილოეთ კავკასიის ცხოვრებაში. შორს გაუვარდა სახელი · მის ზღაპრულად მდიდარ ბაზრობებს. საქონელბრუნვის მოცულობით იგი მხოლოდ ნიჟნი ნოვგოროდის განთქმულ რუსულ ბაზრობას თუ ჩამოუვარდებოდა.

გასული საუკუნის დამლევს გეორგიევსკში გაჩნდა მთელი რიგი სამრეწველო საწარმოები. იზრდებოდა და მტკიცდებოდა მუშათა კლასი. 1900 წელს მუშები და ხელოსნები ტყეში შეიკრიბნენ სტავროპოლის პირველ მაისობაზე. ქალაქის მშრომელები აქტიურად მონაწილეობდნენ 1905 და 1917 წლების რევოლუციურ მოვლენებში. ისინი გმირულად იცავდნენ დიდი ოქტომბრის მონაპოვარს. როცა ტრამალებზე სამოქალაქო ომი მძვინვარებდა, ქალაქში ასეულები ყალიბდებოდა და პირდაპირ ფრონტზე მიდიოდა. აქვე შეიქმნა გეორგიევსკის რევოლუციური პოლკი, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიის მე-11 წითელ არმიაში შედიოდა. მისი შტაბი და რევოლუციური სამხედრო საბჭო ახლანდელი სასტუმრო „ოქტომბრის" შენობაში იყო მოთავსებული. გეორგიევსკში არაერთხელ ყოფილან ს. კიროვი, ს. ორჯონიკიძე, მ. კალინინი, ს. ბუაჩიძე და დიდი ლენინის სხვა თანამებრძოლები.

მძიმე განსაცდელი ხვდა წილად გეორგიევსკს დიდი სამამულო ომის წლებში. ფაშისტურმა ოკუპაციამ მას დიდი ზარალი მიაყენა. ომის ჭრილობების მოშუშებას ქალაქის მშრომელთა საკმაო მეცადინეობა დასჭირდა. მებრძოლთა პატივსაცემად, რომლებმაც თავი დასდეს საბჭოთა სამშობლოსათვის, მომავალი თაობების ბედნიერებისათვის, ქალაქში აღმართულია ორი მემორიალი. მარადიულ ცეცხლთან ხშირად დგანან საპატიო ყარაულში ნორჩი გუშაგები — პიონერები.

ომისშემდგომ წლებში გეორგიევსკი მთლიანად განახლდა, გაახალგაზრდავდა. იგი სტავროპოლის მხარის ერთ-ერთი თვალსაჩინო სამრეწველო ცენტრი გახდა. გეორგიევსკში ვითარდება ლითონდამამუშავებელი და მსუბუქი მრეწველობა, საშენ მასალათა წარმოება. გეორგიევსკის არმატურების



საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა



პარტიის გეორგიევსკის რაიკომისა და პარტიის ახმეტის რაიკომის პირველი მდივნები ი. ბოჩარნიკოვი და ვ. ბატიაშვილი ერთმანეთს ულოცავენ სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების გაფორმებას.

ქარხანა ერთ-ერთი ყველაზე დიდია ჩვენს ქვეყანაში. მის ნაწარმს იცნობენ ხუთწლედის მრავალ მშენებლობებზე, სოციალისტური თანამეგობრების ქვეყნებში. ქალაქში მუშაობს სამშენებლო ინსტრუმენტების, ავტოსარემონტო, აკუსტიკური და თბოსაიზოლაციო მასალების, სარემონტო-მექანიკური ქარხნები...

იზრდება კვების მრეწველობის სიმძლავრე, რომელიც ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულს იყენებს. აქაური ზეთის სახდელი საწარმოები უშვებენ მზესუმზირას ზეთის ნახევარს, რასაც სტავროპოლის მხარეში აწარმოებენ. გეორგიევსკის მარკიანი პროდუქცია — ხილისა და ბოსტნეულის კონსერვები, ღვინო, მზესუმზირას ზეთი ჩრდილოეთ კავკასიის საზღვრებიდან შორს იგზავნება.

ქალაქში ბევრია მოსწავლე-ახალგაზრდობა. აქ შვიდი საშუალო სკოლა, ოთხი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი, ორი ტექნიკუმია. არის ბავშვთა მუსიკალური, სამხატვრო და სპორტული სკოლები. გეორგიევსკელებს უყვართ თავიანთი კინოთეატრები, ბიბლიოთეკები, კულტურის სახლი, სადაც მუშაობს თვითმოქმედი თეატრი და მოცეკვავეთა კოლექტივი; აქ საგასტროლოდ ჩამოდიან სხვა ქალაქების თეატრები და საკონცერტო ანსამბლები.

რუსი და ქართველი ხალხების მარადიული მეგობრობის ერთ-ერთი სიმბოლო — გეორგიევსკი იზრდება და ლამაზდება. მაღლა მიიწევს საცხოვრებელი სახლების კვარტალები. ქალაქს ამშვენებს ახალი ქუჩები და მოედნები, ჩრდილოვანი ბულვარები; თვალს ახარებს აკაციების სიმწვანე, ლამაზი ყვავილნარები. სიცოცხლე დუღს ქალაქის პარკებში, დასვენების ზონებში, მდინარე ყუმის კაშხალზე გადაშლილი ხელოვნური ტბის პირას.

მდიდარია გეორგიევსკის რაიონი, მრავალდარგოვანია მისი ეკონომიკა. საკმარისია ითქვას, რომ იგი წელს სახელმწიფოს მიჰყიდის 70 მილიონი მანეთის სოფლის მეურნეობის პროდუქტებს: მარცვლეულს, ხორცს, რძეს, მზესუმზირას, შაქრის ჭარხალს, ყურძენს, ბოსტნეულს. მეათე ხუთწლედში რაიონის კაპიტალური დაბანდება 100 მილიონ მანეთს გადააჭარბებს.

## მეგობრობამ არ იცის მანძილი

ეს იყო ამ სამი წლის წინათ. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმზე ითქვა, რომ ახლოვდება გეორგიევსკის ტრაქტატის ორასი წლისთავი, ამ თარიღისათვის მზადებას ახლავე უნდა შევუდგეთო.

პარტიის ახმეტის რაიკომის პირველ მდივანს ვაჟა ბატიაშვილს იმის ფიქრი აღარ ასვენებდა, თუ როგორ აღენიშნათ ორიგინალურად ეს დიადი იუბილე.

იმ ზაფხულს ვაჟა ბატიაშვილი კისლოვოდსკში ატარებდა შვებულებას; მოინახულა გეორგიევსკი, გაიცნო პარტიის გეორგიევსკის რაიკომის მაშინდელი პირველი მდივანი ვალენტინ გოლოვკო (იგი ახლა პარტიის სტავროპოლის სამხარეო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგეა) და ახმეტელ მშრომელთა გულისნადები გადასცა:

— მოახლოებული იუბილეს აღსანიშნავად გვსურს გავშალოთ შეჯიბრება ორ რაიონს შორის. ეს კიდევ უფრო დაახლოვებს მოძმე ხალხებს!

ვალენტინ გოლოვკომ რაიკომის პლენუმზე მოახსენა ახმეტელ მშრომელთა გადაწყვეტილება, რამაც დიდი მოწონება გამოიწვია. იმავე წელს ახმეტაში ჩამოვიდა გეორგიევსკელთა დელეგაცია. რუს მეგობრებს ყველგან გულთბილად მასპინძლობდნენ. მათი სტუმრობა ინტერნაციონალური ძმობისა და მეგობრობის ნამდვილი ზეიმი იყო. დელეგაცია მიიღო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ჯუმბერ პატიაშვილმა. გაიმართა გულთბილი საუბარი იმის შესახებ, თუ როგორ ასრულებენ რუსი და ქართველი მშრომელები სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს, რა გეგმებს სახავენ მომავალი ღირსშესანიშნავი თარიღის შესახვედრად.

მას შემდეგ ორი რაიონის მშრომელთა წარმომადგენლები სისტემატურად ძმურად ხვდებიან ერთმანეთს. ყოველწლიურად აფორმებენ სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებას. მათი შეჯიბრება უბრალო შრომითი მეტოქეობა როდია, მეგობრები გულდასმით სწავლობენ ერთმანეთისაგან, უზიარებენ თავიანთ საუკეთესო გამოცდილებას, ეხმარებიან პრაქტიკულად. ერთმანეთს ეჯიბრებიან ამ რაიონების ცალკეული შრომითი კოლექტივები, საწარმოო ქვედანაყოფები, რიგითი მშრომელები. მაგალითად, პანკისის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა მაისკის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობას ეჯიბრება. ეს მეურნეობა სამი წლის შექმნილია. ჯერ ვენახი მხოლოდ ორას ჰექტარზეა გაშენებული. ვაზის ნამყენი ნერგი მაისკელებმა ახმეტიდან წაიღეს, ახალშენს მეგობრობის ზვრები უწოდეს. ამ შემოდგომით რუსულ მიწაზე კიდევ ას ჰექტარზე ჩაყრიან საქვეყნოდ განთქმულ რქაწითლის ნერგს, რომელიც მათთვის ახმეტის სანერგე მეურნეობაში გამოყავთ.

ფართოდაა გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება გეორგიევსკისა და ახმეტის ბიოქიმიურ ქარხნებს, ობილნენსკის საჯიშე მეფრინველეობისა და ახმეტის ბროილერის ფაბრიკის კოლექტივებს შორის. მტკიცე მეგობრობა აკავშირებთ ამ რაიონების მექანიზატორებს და მელიორატორებს, ინტელიგენციას, პიონერ-მოსწავლეებს, მხატვრულ თვითმოქმედ კოლექტივებს...

გეორგიევსკის რაიონის XXIII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორი ალექსი ალექსეევი პანკისელი მურთაზ ალიაშვილის შრომითი მეტოქეა. ზემოალვანელი მწველავი თამარ ცისკარიშვილი შაუმიანის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მწველავს ლუბა სკრიაგას დაუმეგობრდა, ხოლო ამავე მეურნეობის ჯიშთსა-

ახმეტელთა დელეგაცია მეგობრობის ნერგს რგავს გეორგიევსკის პარკში.



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 9 (513). სექტემბერი, 1979 წ.

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა", 1979 წ.

მთავარი რედაქტორი
რევაზ მარგიანი

სარედაქციო კოლეგია:
გულნარა ბახტაძე, თენგიზ გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი), ოთარ დემეტრაშვილი, გურამ დოჩანაშვილი, სერგო დურმიშიძე, დინარა ნოდია (მხატვარი-რედაქტორი), ლადო სულაბერიძე, ილია ტაბაღუა, უჩა ჯაფარიძე.

კორექტორი ქეთევან წერეთელი

# 200 იუბილეს შესახვედრად 200

ნაშენი მეღორეობის მოწინავე ბრიგადა ზოოტექნიკოს ნაზო პეტრიაშვილის ხელმძღვანელობით ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეღორეობის იმ კომპლექსს ეჯიბრება, რომელსაც ვიქტორ მარტინოვი თავკაცობს.

შრომით მეტოქეობაში იჭედება წარმატებები. ხუთწლედის მესამე წელს ახმეტელებმა გაიმარჯვეს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და დაისაკუთრეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. ეს სასიხარულო მოვლენა ახმეტელებს რუსმა მეგობრებმა ერთ-ერთმა პირველებმა მიულოცეს, დაესწრნენ დროშის გადაცემისადმი მიძღვნილ ზეიმსაც, სადაც პარტიის გეორგიევსკის რაიკომის მეორე მდივანმა ივანე დოლგოვმა წარმოთქვა გულთბილი მისალოცი სიტყვა.

ახმეტელები წელსაც მოწინავე პოზიციებზე არიან. ამჟამად რაიონში არ არის არცერთი ჩამორჩენილი საწარმო, მეურნეობა, სახალხო მეურნეობის რომელიმე უბანი. ახლა იმისათვის იბრძვიან, რომ უახლოეს წლებში არ ჰყავდეთ არცერთი ჩამორჩენილი აგროგანყოფილება, ფერმა, ბრიგადა. რამდენიმე წელია უჩამორჩენილებოდ მუშაობენ ახმეტელთა შრომითი მეტოქენიც — გეორგიევსკელებიც.

— კვლავაც თვალსაჩინო წარმატებებს მოვიპოვებთ ურთიერთდახმარებით და შეჯიბრებით! — ოპტიმიზმით აცხადებენ პარტიის გეორგიევსკის რაიკომის პირველი მდივანი იური ბოჩარნიკოვი, პარტიის ახმეტის რაიკომის პირველი მდივანი ვაჟა ბატიაშვილი.

ბევრი რამ მოაგონებთ რუს და ქართველ მეგობრებს ერთმანეთს: გეორგიევსკში გაჩნდა ახმეტის ქუჩა, ხოლო ახმეტაში — გეორგიევსკისა. ორი წლის წინათ გეორგიევსკელებმა მშობლიური ქალაქის ორსაუკუნოვანი იუბილე აღნიშნეს — სწორედ კულტურის იმ სასახლეში, რომელშიც ახმეტიდან გაგზავნილი პარკეტია დაგებული. ზეიმზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელმა, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა თამარ ლაშქარაშვილმა. გეორგიევსკის კულტურისა და დასვენების პარკში შრიალებს საქართველოდან ჩატანილი მეგობრობის ხეები. სამაგიეროდ ასეთივე ხეები და ყვავილები ახარეს გეორგიევსკელებმა ახმეტის კულტურისა და დასვენების პარკში, ჯარისკაცის სახლის ეზოში.


ეროვნული ბიბლიოთეკა

ახმეტელთა დელეგაცია ათვალიერებს გეორგიევსკელთა პურის ყანებს.

მეგობრები ახლაც გულითადად ეხმარებიან ერთმანეთს. ამ ზაფხულზე ახმეტელებმა გეორგიევსკელებს კვლავ გაუგზავნეს ასობით კვადრატული მეტრი პარკეტი საბავშვო დაწესებულებათა მშენებლობისათვის. ახმეტის რაიონის მეურნეობათა ჯოგში მრავლადაა ველის წითელი ჯიშის ძროხები, რომლებიც აქ გეორგიევსკიდან ჩამოიყვანეს და რომლებმაც სწრაფად გაზარდეს წველადობა. წელს 24 პიონერი ჩამოვიდა გეორგიევსკიდან. მათ ახმეტის პიონერთა ბანაკში და ქობულეთის ბავშვთა სანატორიუმში დაისვენეს. ოც ახმეტელ მოსწავლეს უმასპინძლეს გეორგიევსკელებმა.

ასე მტკიცდება და ახალ თაყვანისმცემლებს იძენს სამიოდე წლის წინათ დაწყებული მეგობრობა. ამ ჯანსაღ ურთიერთობას კარგად ასახავს კინონარკვევი, რომელიც საქართველოს ტელევიზიამ გადაიღო.

* * *

ჩვენი ერის სახელოვანმა წინაპრებმა ჭეშმარიტად ბრძნულად განჭვრიტეს თავიანთი ქვეყნის მომავალი. ქართველი ხალხი ამ დიად ისტორიულ მისიას მხარდაჭერით და მოწონებით შეხვდა.

„განიხსნა გზა და ეშვათ ივერიელთ სასოება, რომე მუნით შევიდეს მათ შორის განათლება“, — ასე ამთავრებს თავისი ლექსის „კავკასიის“ უკანასკნელ სტრიქონებს პოეტი და მხედართმთავარი ალექსანდრე ჭავჭავაძე და ამით გამოხატავს, რომ ისტორიული აუცილებლობით შეპირობებული რუს ხალხთან დაკავშირება ქართველებისათვის სიკეთისა და ბედნიერების მომტანია.

„რუსულმა სკოლამ, მეცნიერებამ, — ამბობს დიდი ილია, — გაგვიღო კარი განათლებისა და რუსულმავე ლიტერატურამ მოაწოდა საზრდო ჩვენს გონებასა და გამოჰკვება ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზედა“.

გეორგიევსკის იდეების პრაქტიკული განხორციელება მოხდა 1801 წელს; საქართველომ სამუდამოდ დაუკავშირა თავისი ბედი დიდ რუსეთს, ამით თავი დაიცვა გარეშე მტრების აწიოკებისაგან. მას შემდეგ მუდამ ვიმკით ამ ღონისძიების ტკბილ ნაყოფს.

ხელიხელჩაკიდებული იბრძვიან ახმეტისა და გეორგიევსკის რაიონების მშრომელები პარტიის XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა, მეათე ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის, ერთად ზეიმობენ თავიანთ დიად გამარჯვებებს. ეს ხალხთა ლენინური მეგობრობის, დიდი რუსი ხალხისა და ქართველი მშრომელების საუკუნოვანი მეგობრობის სიმბოლოა.

**დავით ბიწაძე**

გეორგიევსკი—ახმეტა—თბილისი.

**სპარტაკ ჯანიაშვილის ფოტო.**

**სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება გააფორმეს ლუბა სკრიჯგამ და თამარ ცისკარიშვილმა.**

**ახმეტელები რუს მეგობრებს ეხმარებიან ზვრების გაშენებაში.**





# მთავარი საზრუნავი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ აღნიშნულია, რომ გულმოდგინედ უნდა სრულვყოთ კოლექტივებში იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა, ავამაღლოთ აგიტატორთა, პოლიტინფორმატორთა, მომხსენებელთა იდეურ-პოლიტიკური დონე და უფრო ეფექტური გავხადოთ მათი საქმიანობა.

ჩვენს კომბინატში აგიტატორთა და პოლიტინფორმატორთა საკმაოდ მაღალკვალიფიციური შემადგენლობა გვყავს; ბევრ მათგანს ზეპირი პროპაგანდის დარგში მუშაობის მრავალი წლის გამოცდილება აქვს. მაგალითად, ქების ღირსია კამვოლური წარმოების ქვეუსტატი — აგიტატორი იამა საყაძე, რომელიც მსმენელებს ღრმად და შთამბეჭდავად უტარებს საუბრებს. ამ საუბრებს იგი ყოველთვის მჭიდროდ უკავშირებს კოლექტივის წინაშე მდგარ საბრძოლო ამოცანებს. ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ ბრიგადამ, რომელსაც იამა საყაძე ხელმძღვანელობს, უკვე შეასრულა ხუთწლედის ოთხი წლის დავალებები. გამოშვებული პროდუქციის საერთო ოდენობაში პირველი ხარისხის წილი 12 პროცენტით გაიზარდა, ეს კი ვალდებულებით გათვალისწინებულს ერთნახევარჯერ აღემატება.

კომბინატის პარტიულ კომიტეტთან არსებული განათლების კაბინეტი, წინასწარ შემუშავებული გეგმით, აგიტატორებისათვის ყოველთვიურად ატარებს სემინარებს, ამარაგებს მათ საუბრების სანიმუშო თემატიკით, ლიტერატურითა და თვალსაჩინო დიდაქტიკური მასალებით. საწარმოს აგიტატორები და პოლიტინფორმატორები თავიანთ მუშაობაში დიდ ყურადღებას უთმობენ მუშა-მოსამსახურეთა, ინჟინერ-პერსონალთა დარაზმვას დადგენილების ცხოვრებაში განსახორციელებლად. ეს საკითხი იდეოლოგიური დარგის ყველა ჩვენი მუშაკის ყურადღების ცენტრშია.

კომბინატის პარტიული განათლების კაბინეტს შემუშავებული აქვს სპეციალური გეგმა, რომლის მიხედვით ვახორციელებთ აღნიშნული დადგენილების ფართო მასებში პროპაგანდას, ყოველი პუნქტის მნიშვნელობის თითოეულ მშრომელამდე დაყვანას. ამ საქმეში ჩვენს მთავარ დასაყრდენს წარმოადგენს ზეპირი აგიტაციის და მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი.

იდეოლოგიური და პოლიტაღმზრდელობითი საქმიანობის სრულყოფისათვის ვატარებთ ლექციამოხსენებებს, მაღალკვალიფიციური ლექტორ-მომხსენებლები განუმარტავენ მსმენელებს დადგენილების ძირეულ საკითხებს.

ჩვენი პროპაგანდისტები, აგიტატორები და პოლიტინფორმატორები მონაწილეობას იღებენ პარტიის რაიკომის თუ ქალაქკომის მიერ ჩატარებულ იდეოლოგიური დარგის მუშაკთათვის მოწყობილ თათბირ-სემინარებში. კომბინატის ექვსივე პირველად პარტიულ ორგანიზაციაში ჩატარდა კრებები, რომლებზეც კომუნისტებმა განიხილეს ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა და ამ დადგენილებისადმი მიძღვნილი რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრების შედეგი და დასახეს კონკრეტული ამოცანები იდეური და პოლიტაღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

**თინა გოგიშვილი,**

თბილისის მაუდ-კამვოლის „საბჭოთა საქართველოს“ კომბინატის პარტიულ კომიტეტთან არსებული პარტიული განათლების კაბინეტის გამგე.



ეკატერინე გელაშვილი თავისი ბრიგადის წევრებთან.

> უფრო სრულად უნდა გამოვიყენოთ სოციალისტური შეჯიბრების აღმზრდელობითი შესაძლებლობანი, შრომის ორგანიზაციის პროგრესული ფორმები მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მშენებლობაში, ტრანსპორტზე.
>
> სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“

# გზა ბედნიერების

ანზორ გოგოლაძის ფოტო

თბილისის 1 მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკაში ეკატერინე გელაშვილზე პირველად ოცდაათ წელზე მეტი ხნის წინათ ალაპარაკდნენ: „ეს ქალიშვილი კარგი მუშაკი დადგება. ჭირჭრობით ჩქარობს, ცოტა არ იყოს, ნერვიულობს, მაგრამ ეს ალბათ იმიტომ ხდება, რომ მალევე უნდა შეძლოს დამოუკიდებლად მუშაობა“.

საქმის ერთგული და მოსიყვარულე ადამიანი კოლექტივში შეუმჩნეველი არასოდეს არ რჩება. პირიქით, იგი მალე იმსახურებს საერთო სიყვარულს, პატივისცემას, ნდობას.

ასე მოუვიდა ეკატერინესაც.

მონდომებით, თავდადებული შრომით, საქმისადმი სწორედ რომ კომუნისტური დამოკიდებულებით იგი ჩადგა მოწინავეთა შორის. ძალიან მალე საამქროში ცნობილი გახდა ეკატერინე გელაშვილის ხასიათის თვისება: იგი ვერასოდეს ვერ იტანდა დაუდევრობას, საქმისადმი გულგრილ დამოკიდებულებას. თუ დროზე არ მოიტანდნენ ტანსაცმლის დეტალებს, ქალიშვილი მაშინვე წამოენთებოდა ხოლმე და აღშფოთებას ვეღარ მალავდა:

— რატომ დაიგვიანეთ? ეს რა წესია? ასეთი მუშაობით ხომ გეგმას ჩავშლით?!

ახალგაზრდებს სულ ეკატერინესთან უნდოდათ ყოფნა; რა დასამალია, ისინი თავიანთი თანატოლი ქალიშვილისაგან უკვე ბევრ რამეს სწავლობდნენ. აი ასე, თანდათანობით, საქმეში გამოჩინებით, ულევი სითბოთი, ერთგულებითა და შეუნელებელი მეგობრობით ეკატერინე გელაშვილი ქარხნის ახალგაზრდობის აღიარებული თავკაცი გახდა.

მისი ბრიგადის ქალიშვილები ერთი ოჯახივით ცხოვრობდნენ: სამუშაოზე ერთმანეთს ხელს უწყობდნენ, ეხმარებოდნენ; ცვლის დამთავრების შემდეგაც თითქმის სულ ერთად იყვნენ — ერთად დადიოდნენ კინოში, ერთად აღნიშნავდნენ დაბადების დღეებს, სხვადასხვა საზეიმო შემთხვევებს, ერთად დადიოდნენ კომკავშირულ კვირაობებზე...

გადიოდა დრო. ეკატერინეს უკვე ბევრი რამეს ეკითხებოდნენ, ბევრი რამე სჭიროდათ მისი. იგი მომწიფებულ, თავის ძალებში დარწმუნებულ ისეთ ადამიანად იქცა, რომელსაც უნარი შესწევდა ეს რწმენა სხვებისთვისაც გადაეცა.

ახალგაზრდების მტკიცე კოლექტივად შეკვრამ მალე თავისი სასურველი ნაყოფი გამოიღო: ეკატერინე გელაშვილის ბრიგადა ზედიზედ აღწევდა წარმატებებს სოციალისტურ შეჯიბრებებში.

ამ გამარჯვებებმა ახალგაზრდებს მატერიალური მდგომარეობაც გაუუმჯობესა და მეტი ძალა, მხნეობა, სიხალისე, საკუთარ თავისადმი რწმენაც შემატა. ასეთი რამ კი ფასდაუდებელი საუნჯეა! მართლაცდა, რა შეიძლება იყოს იმაზე ძვირფასი, როცა შენი თავის, შენი მეგობრების, შენი ფაბრიკის სიყვარული და რწმენა გიხარებს გულს?!

ეს ამბავი ამ ოთხიოდე წლის წინათ მოხდა.

ეკატერინეს, როგორც იტყვიან, მოსვენება დაუკარგა ფაბრიკის ერთ-ერთი ჩამორჩენილი ბრიგადის ბედმა. როგორ? რატომ ხდება რომ ამ ბრიგადის ქალიშვილები ერთთავად ჩამორჩენილები არიან და ეს ამბავი მაინცდამაინც არ აწუხებთ მათ?

იფიქრა, იფიქრა და ერთ მშვენიერ დღეს მოწინავე ბრიგადის თავკაცმა ეკატერინე გელაშვილმა მტკიცედ გადაწყვიტა, ჩამორჩენილთა ბრიგადაში გადასულიყო.

ამას მოითხოვდა საკუთარი სინდისი, საერთო საქმისადმი სიყვარული.

ცვლის დამთავრების შემდეგ ეკატერინე საწარმოს პარტკომის მდივანთან შევიდა და თავისი გადაწყვეტილება გაუზიარა.

— იდეა კარგი გაქვთ, — უთხრა ჩაფიქრებულმა მდივანმა და მაშინვე დასძინა, — შეძლებთ კი ჩამორჩენილი ბრიგადის წამოწევას? არც ის უნდა დაივიწყოთ, რომ მატერიალური ანაზღაურებაც ნაკლები გექნებათ.

— რა თქმა უნდა, ყველაფერი აწონილ-დაწონილი მაქვს. ჩემი გადაწყვეტილება ურყევია! — დინჯად ჩაილაპარაკა ეკატერინემ.

ახალი ბრიგადის წევრები ცივად შეხვდნენ თავიანთ თავკაცს.

არ შეიმჩნია. საქმით, უშუალო სითბოთი, მკაცრი სამართლიანობით, შთაგონებითა და მომთხოვნელობით შეეჭიდა საქმეს ჩვენი საზოგადოების ერთი ერთი ღირსეული წევრი ეკატერინე გელაშვილი.

აი რით დაიწყო: მკერავებს სწრაფად, ერთობლივად რომ გაერთვათ თავი საქმისთვის — სხვადასხვა ცვლის გრაფიკი შემოიღო. ეს გრაფიკი ბრიგადის ყველა წევრის თანაბრად დატვირთვას და საქმეში უფრო ორგანიზებულად ჩართვას ითვალისწინებდა.

რიტმული მუშაობა საშუალებას იძლეოდა ნახევარფაბრიკატებისათვის საჭირო მარაგნამატის შექმნას.

რიტმული მუშაობის თავიდათავი შრომის დისციპლინა იყო.

ბრიგადაში უკომპრომისო ბრძოლა გამოეცხადა სამუშაოზე დაგვიანებებს, უმიზეზო გაცდენებს, დღის განაწესის დარღვევებს.

ბრიგადა ძირითადად პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებულებისგან იყო დაკომპლექტებული. ახალბედა მუშებთან მუშაობა ძნელია, ფიქრობდა ეკატერინე გელაშვილი, სასწავლო კაბინეტებიდან გამოსულ ახალგაზრდებს, ცხადია, უჭირთ წარმოების რიტმთან შეგუება, ოსტატობის დაუფლება და ამაღლება. ყველას როდი შეუძლია ერთბაშად გარდაიქმნას. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ყველას ერთნაირი ხასიათი არ აქვს და სხვადასხვა მეთოდისა და მიდგომის გამონახვაა საჭირო...

შექმნილ ვითარებაში ღრმა წვდომამ, მოთმინებამ, მეგობრულმა რჩევა-დარიგებებმა, პირადმა მაგალითმა თანდათან შეკრა, დარაზმა, ერთ მტკიცე კოლექტივად შეადუღაბა ჩამორჩენილი ბრიგადა.

რამდენიმე თვეში ბრიგადამ შეძლო გეგმით გათვალისწინებული დავალებების შესრულება. გავიდა კიდევ რამდენიმე თვე და ეკატერინე გელაშვილის ბრიგადამ უკვე დიდი გადაჭარბებით დაიწყო სოციალისტური შეჯიბრებებით ნაკისრი ვალდებულებების განაღდება.

ოდესღაც ჩამორჩენილი ბრიგადა ახლა ყოველთვიურად საშუალოდ 8.400 ცალ ჯინსის კოსტიუმს კერავს. მარტო რაოდენობა როდია მთავარი! ბრიგადის წევრები დიდ ყურადღებას უთმობენ პროდუქციის ხარისხის ამაღლებას. მათ ნახელავს სახელმწიფო ხარისხის ნიშანი აქვს მინიჭებული.

ამ წარმატებით საქმიანობაში ბრიგადას დიდ დახმარებას უწევს ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება.

— ჩვენ კლავდია კუქსინის ბრიგადას ვეჯიბრებით, — გვეუბნება ეკატერინე გელაშვილი, — სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ აღნიშნულია, რომ ყოველი ჩვენთაგანის მოვალეობაა სრულვყოთ სოციალისტური შეჯიბრების ფორმები, ფართოდ გავშალოთ მოძრაობა შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის.

სწორედ სოციალისტურმა შეჯიბრებამ შეუწყო ხელი მუშებს პირადი ინიციატივის გამოჩენაში, საქმისადმი კომუნისტურ დამოკიდებულებაში; მეტი რწმენა, ხალისი, სიმტკიცე და საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობა შემატა მათ.

დღეს შრომითი კოლექტივი არა მარტო ბრიგადა, საამქრო, ქარხანაა, სადაც ადამიანი მუშაობს, არამედ იგი ერთგვარ ოჯახსაც წარმოადგენს. სწორედ ამ ოჯახში იწრთობა და ყალიბდება ახალი ტიპის მშრომელი. ეს ოჯახი საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ორგანიზატორული, მეგობრული ურთიერთდახმარების ფართო სამოქმედო ასპარეზიცაა, სადაც ადამიანი ყოველმხრივი განვითარების, ნიჭისა და უნარის გამოვლენის, მისი სრულყოფის შესაძლებლობებს იძენს; იძენს კოლექტივისადმი, შრომისადმი, ყაირათიანობისადმი, ამხანაგისადმი პატივისცემასა და დაფასების გრძნობებს.

ეკატერინე გელაშვილის ბრიგადა, რომელმაც უკვე ვადამდე განაღდა ხუთწლედის დავალება, ერთადერთი როდია მთელს ფაბრიკაში.

თბილისის 1-ლი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკაში ახლა ბევრი მოწინავე რგოლია. ისინი თავდადებით იბრძვიან ჩვენი პარტიის XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის. ფაბრიკის მუშაკთა პოლიტიკური შეგნების მაღალი დონე იმაშიც ვლინდება, რომ კოლექტივის თითქმის ყველა წევრი აქტიურად მონაწილეობს შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის გაშლილ მოძრაობაში. მკერავთა ორ-მესამედზე მეტი ერთმანეთს ეჯიბრება დევიზით: „ვიმუშაოთ უჩამორჩენლოდ, ხარისხიანად!“

ფაბრიკაში თუ შარშან ხარისხის სახელმწიფო ნიშნიანი ნაწარმის ხვედრითი წონა 30 პროცენტს შეადგენდა, ახლა ეს მაჩვენებელი 40 პროცენტამდე გაიზარდა.

ფაბრიკაში შექმნილია „გელაშვილის სკოლა“, რომელშიც ახალგაზრდა მკერავები მოწინავე პრაქტიკულ ჩვევებს იძენენ. ეკატერინეს ბევრი აღზრდილი ახლა თვითონ ასწავლის სხვებს და გადასცემს გამოცდილებას. ასეთები არიან, აი თუნდაც — ნ. გავაშელი, ნ. ნავროზაშვილი, რომლებიც სათავეში ჩაუდგნენ ბრიგადებს და შრომით წარმატებებთან ერთად აქტიურად იბრძვიან იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის სრულყოფისათვის.



ეკატერინე გელაშვილი ამოწმებს ახალგაზრდა მუშის ნახელავს.

...კონვეიერებს შორის ვიწრო გასასვლელში დინჯად მოაბიჯებს სასიამოვნო გარეგნობის ქალი — ლენინის ორდენის კავალერი ეკატერინე გელაშვილი. მის მახვილ თვალებს არ გამოეპარება საკერავი მანქანების მუშაობის არც ერთი წვრილმანი. იგი ყურადღებით აკვირდება საქმეში გართულ ახალგაზრდა ქალიშვილებს.

გამოთხოვებისას ეკატერინემ გვითხრა, რომ იგი კვლავ აპირებს ჩამორჩენილ ბრიგადაში გადასვლას.

აღარ გეკითხავს „რატომ?“ ყველაფერი ისედაც ნათელი იყო: რესპუბლიკის ერთ-ერთი საუკეთესო მკერავის ადგილი იქ არის, სადაც სიძნელეა, სადაც საჭიროა მისი გამოცდილება, მტკიცე ორგანიზატორული ნიჭი, კეთილი საქმეებისათვის მებრძოლი მეგობრული გული.

— ჩავებმებით ახალ სოციალისტურ შეჯიბრებაში, მეტ მოთხოვნილებებს წავუყენებთ ჩვენ თავს, — ფიქრიანად გვეუბნება ეკატერინე, — და იცით, რამდენ სიამოვნებას, რამდენ ბედნიერებას ანიჭებს ადამიანს, როცა ჩამორჩენილიდან მოწინავეთა რიგებში გადაინაცვლებს, როცა იგრძნობს, რომ მასაც შეაქვს ღირსეული წვლილი ჩვენი რესპუბლიკის წინსვლის საერთო საქმეში?!

**რობერტ მეგრელიშვილი**

# ჩემი წვლილი

კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკურმა ბიბლიოთეკამ „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების და რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრების [illegible] მიხედვით მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებები დასახა.

ბიბლიოთეკაში ფართოდ გაიშალა მუშაობა მეთოდურ-პრაქტიკული სახელმძღვანელოების გამოსაცემად. ამ სახელმძღვანელოებში პრაქტიკულ საკითხებთან ერთად, ღრმად და ამომწურავად [illegible] გაშუქებული რესპუბლიკის ბიბლიოთეკების ამოცანები, რომლებიც მათ უნდა შეასრულონ „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების ფართო პროპაგანდისა და მოქალაქეთა კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში.

ამ ამოცანის გადაწყვეტას მოემსახურება აგრეთვე სხვადასხვა გამოფენები, რომლებიც სისტემატურად მოეწყობა ბიბლიოთეკის დარბაზებში.

რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრებაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ე. ა. შევარდნაძე თავის მოხსენებაში შეეხო რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონის ბიბლიოთეკებს, რომლებიც სუსტად მუშაობენ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლიტერატურის პროპაგანდის საქმეში.

ბიბლიოთეკაში, ფუნქციონალური მეთოდისტებისა და განყოფილებების წამყვანი სპეციალისტებისგან ოპერატიულად შეიქმნა საგანგებო ბრიგადები. ეს ბრიგადები რაიონებში გაემგზავრნენ და სათანადო მეთოდურ-პრაქტიკული დახმარება გაუწიეს ბიბლიოთეკებს.

საჯარო ბიბლიოთეკა რესპუბლიკის კულტურის სამინისტროსთან ერთად ამზადებს ბიბლიოთეკების მუშაკთა რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციას. ამ კონფერენციის სამუშაო თემა იქნება „საქართველოს სს რესპუბლიკების ბიბლიოთეკები მოსახლეობის პარტიული და ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში“.

წიგნის პროპაგანდის იდეური დონის ამაღლების მიზნით, ბიბლიოთეკა დიდ დახმარებას უწევს და კვლავაც სისტემატურ პრაქტიკულ დახმარებას გაუწევს სარაიონო, საქალაქო და სასკოლო ბიბლიოთეკებს მათ წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელებაში.

პროპაგანდისა და აგიტაციის, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის დონის შემდგომი ამაღლებისათვის, სამეურნეო და პოლიტიკურ ამოცანებთან მათი კავშირის განმტკიცების უზრუნველსაყოფად, ბიბლიოთეკას შედგენილი აქვს გეგმები. ეს გეგმები ითვალისწინებს ვ. ი. ლენინის დაბადების 110 წლისთავის შესახვედრად მზადებას, სკკპ XXVI და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობების სამზადისის პროპაგანდას, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის მე-60 წლისთავის საზეიმო სამზადისსა და სხვა მთელ რიგ აქტუალურ საკითხებს.

**ნუნუ მაზნიაშვილი**

საქმით უპასუხებენ საქართველოს პარტიული აქტივის კრების გადაწყვეტილებებს



# ქართული ფილოლოგიის დიდი ბურჯი

100

ფასდაუდებელია აკადემიკოს კორნელი კეკელიძის ღვაწლი ეროვნული კულტურის, განსაკუთრებით კი, ქართული ფილოლოგიის განვითარების საქმეში. მისი სამეცნიერო მოღვაწეობის შეფასება საგანგებო კვლევას საჭიროებს. არამც თუ ფილოლოგიის ფართო სფერო, არამედ ამ დისციპლინის ერთ-ერთი ნებისმიერი საკითხიც კი, რომელიც დიდმა მეცნიერმა შეისწავლა, მთელი ეტაპია ჩვენი ეროვნული მეცნიერების განვითარებაში და ამ თვალსაზრისით განსვენებული მეცნიერის წვლილი დაუნჯებული კვლევის სფეროა.

კორნელი კეკელიძე დაიბადა 1879 წელს სოფელ ტობანიერში (ვანის რაიონი), წერა-კითხვა პატარა კორნელის შინ უსწავლია, მშობლებისაგან. 1888 წელს იგი შეიყვანეს ქუთაისის ოთხკლასიან სასულიერო სასწავლებელში, რომელიც მან წარჩინებით დაამთავრა 1893 წელს. იმავე წელს იგი მამამ თბილისში ჩამოიყვანა სემინარიაში მისაბარებლად. მამა მას სემინარიაში მხოლოდ იმ შემთხვევაში დატოვებდა, თუ პანსიონში მიიღებდნენ, რადგანაც ოჯახს ბავშვის თბილისში რჩენის სხვა არავითარი საშუალება არ ჰქონდა. პანსიონში ობლები ჩაერიცხათ და კორნელი კეკელიძეს აღარ იღებდნენ. გულდაწყვეტილი ბავშვი დერეფანში ატირებულა, ამ დროს ჩამოუვლია ვიღაცას და უკითხავს, რა გატირებსო. ბავშვმა უპასუხა, მამა რომ ცოცხალი მყავს, ის მატირებსო. უცნობი გაოცებულა, რის გამოც კორნელის განუმარტავს: სემინარიის პანსიონში მხოლოდ ობლებს ღებულობენ, ხოლო მე კი მამის გამო უსამართლოდ ვისჯები, არ მღებულობენ, შინ უნდა დავბრუნდეო. უცნობი სემინარიის ინსპექტორი იოანიკე აღმოჩნდა, მას შეეცოდებია სწავლას მოწყურებული ბავშვი და სემინარიაში ჩაურიცხავს. სემინარიაში კორნელი კეკელიძემ ნიჭიერებითა და სიბეჯითით მასწავლებელთა ყურადღება მიიპყრო. იგი როგორც წარჩინებული კურსდამთავრებული „სახელმწიფო ხარჯზე" მკაცრი კონკურსის გავლის შემდეგ კიევის სასულიერო აკადემიის წევრად ჩაირიცხა...

კ. კეკელიძის ერთ-ერთი დიდი და არსებითი დამსახურებაა, რომ მან ქართულ ფილოლოგიაში დაამკვიდრა აკადემიური, ევროპული კვლევის სტილი და მეთოდი. დიდზე დიდია აკად. კ. კეკელიძის შემოქმედებითი მემკვიდრეობა, მისი შრომათა ტომეულები თავისთავად ამის ნათელი და მეტყველი დადასტურებაა. მაგრამ აკად. კ. კეკელიძის ღვაწლი კიდევ უფრო იკვეთება მაშინ, როდესაც გავითვალისწინებთ თუ რა დონეზე იდგა ქართული ფილოლოგია, როდესაც ჩვენმა სახელოვანმა მეცნიერმა პირველად აიღო კალამი ხელში და ამ მაგიური კალმის მოხმით ბალავარი დაუდო ეროვნული მეცნიერების განვითარების ახალ ეტაპს. სწორედ მისი დიდი დამსახურებაა, რომ დღეს ჩვენი მწერლობის ისტორია მთლიანი სისტემის სახით გვაქვს გააზრებული.

აკად. კორნელი კეკელიძე ინტენსიურად იკვლევდა: საქართველოს ისტორიის, ენათმეცნიერების, ფოლკლორის, ლიტერატურის საკითხებს. მეცნიერების თითოეულ ამ დარგში მის მიერ გამოქვეყნებული შრომებიც კი სავსებით საკმარისია ერთი ადამიანის უკვდავსაყოფად, ხოლო მის მიერ შექმნილი ფუნდამენტალური ორტომეული და ეტიუდების 14 ტომი ჩვენი ერის განძთა განძია.

ქართული ძეგლების სირიულ, ბერძნულ, არაბულ, სპარსულ, სომხურ, რუსულ და ევროპულ მწერლობასთან მიმართებაში შესწავლამ ნათელყო ჩვენი მწერლობის მასშტაბურობა, ხოლო მსოფლიო კონტაქტების გამოვლენამ ცხადი გახადა მისი ორგანული კავშირი მსოფლიო ცივილიზაციასთან. კვლევის ამ პრინციპმა გამოავლინა ჩვენი მწერლობის ადგილი მსოფლიო კულტურის რეგიონში.

კ. კეკელიძე მეცნიერების მრავალ სფეროში დიდი წარმატებით მოღვაწეობდა, მაგრამ მისი მუშაობის სანუკვარი სამყარო მაინც ქრისტიანული სასულიერო მწერლობა იყო. მისმა გამოკვლევებმა ნათელყვეს, თუ რაოდენ მდიდარი სულიერი კულტურა შექმნა ჯერ კიდევ ადრეულ საუკუნეებში ქართველმა ერმა. ამასთანავე აშკარა გახდა ისიც, რომ ქართული მწერლობის მსოფლიო მნიშვნელობასთან ერთად ჩვენი საისტორიო ძეგლები პირველხარისხოვან წყაროებს წარმოადგენენ სხვა ერების ისტორიისა და კულტურის შესწავლისათვის.

„არ რაი არს ესრე ტკბილი, ვითარცა სიყვარული მამულისაო", — ქართველი კაცის მიერ წარმოთქმული ეს აღთქმა სასიცოცხლო დევიზად გაიხადა ბატონმა კორნელიმ, სწორედ ამ გრძნობამ მისცა მას ის ენერგია და ხალისი, რომლითაც შექმნა ასეთი დიდი მეცნიერული მემკვიდრეობა. მშობლიური ერისადმი უსაზღვრო სიყვარულმა განაპირობა მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობა, რომლის ნათელი დადასტურება ჩვენი ეროვნული სიამაყის — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებისათვის ზრუნვა გახლავთ. მანვე ჩაუყარა საფუძველი ქართული მწერლობის შემსწავლელ ძირითად კერას — შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტს.

ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე და აკ. შანიძე — აი, ის ოთხი უმყარესი დედაბოძი, რომელთა მხრებზე დაეფუძნა საქვეყნოდ აღიარებული ქართული ფილოლოგიის დიდი და მძლავრი სკოლა.

ბატონი კორნელი მოწაფეებთან ურთიერთობაში უშურველად ხარჯავდა დროს და ენერგიას; იშვიათი პედაგოგიური სითბო, გულისხმიერება და ზომიერი სიმკაცრე ნიშანდობლივი იყო მისთვის. მისი უკომპრომისო და პრინციპული პოზიცია მუდამ მისაბაძი მომხიბვლელობით იზიდავდა ყველას.

აკად. კ. კეკელიძე ჩვეული გატაცებით იკვლევდა ჩვენი კულტურის დიდი მოღვაწის გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას. ამ ბრძენი მხცოვანის შესახებ ვიცით, რომ იგი „ას ორისა წლისა ჟამთა მიიწია, ხოლო ფერი პირისა მისისაი არა იცვალა, არცა შეემთხვა თვალთა მრუდედ მხედველობაი და ხორცითა ძლიერ იყო". ეს პორტრეტული მონახაზი საოცრად შეესაბამება თვით კორნელი კეკელიძეს, რომელიც გარდაცვალებამდე წინა კვირაში [illegible] თავად კითხულობდა თავისი უკანასკნელი შრომის — ეტიუდების VIII ტომის კორექტურას და რვა ათეული მძიმე ნამაშვრალი წლების მიუხედავად „ფერი პირისა მისისა არა იცვალა" და ასე ახოვნად, შემოქმედებითი გზნებით მუდამ შეუწყობა მაჯისცემა; საერთოდ, ბატონი კორნელი კეკელიძე ფიზიკურადაც ჰგავდა იმ ბრძენ, ენერგიულ, უჩვეულო მასშტაბის სწავლულებს, ერის განმანათლებლებს, რომელთა შემოქმედების შესწავლა-გამოკვლევას მიუძღვნა ბატონმა კორნელიმ მთელი თავისი სიცოცხლე. ეს იყვნენ გ. მერჩულე თუ ეფრემ მცირე, ექვთიმე ათონელი თუ გიორგი მთაწმინდელი, იოანე პეტრიწი თუ ანტონ ბაგრატიონი. ყველა ესენი თვით კორნელი კეკელიძისა და ივანე ჯავახიშვილის ჩათვლით სხვადასხვა დროს მცხოვრები ორეულები იყვნენ, რადგან მათ აერთიანებდა ქვეყნისადმი უსაზღვრო სიყვარული და თავგანწირვა, რომლის ძალითაც მომადლებული ნიჭის, აზროვნების ძლიერებით, მრავალფეროვანი და ღრმა განსწავლულობით არა მარტო შეისწავლეს, არამედ თვით შექმნეს ეროვნული კულტურა.

აკად. კორნელი კეკელიძემ არა მარტო გამოიკვლია ჩვენი მწერლობა და შექმნა ეროვნული მეცნიერება, არამედ თავისი პიროვნულობით, მისი სახის ჭვრეტით ჩვენს წინაშე გააცოცხლა და წარმოგვისახა გარდასულ საუკუნეთა სწავლულ-მოღვაწეთა დიადი სახეები. ამიტომაც დღეს მოკრძალებისა და მოწიწების, სიამაყის გრძნობით აღვნიშნავთ ჭეშმარიტი მამულიშვილის დაბადების დიდ თარიღს. რამეთუ ვითარცა ათონელნი, აკად. კ. კეკელიძე „გამოჩნდა სამკაულად ნათესავისა ჩვენისა და... განანათლა ქართველთა ენა და ქვეყანაი".

რევაზ ბარამიძე

ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲫᲔᲒᲚᲔᲑᲘ

## განახლებული სიცოცხლე

დავიწყება ისტორიისა მომასწავებელია ერის სულით და ხორცით მოშლისა, დარღვევისა და წაწყმედისაც, წარსულია მკვიდრი საძირკველი აწმყოისა, როგორც აწმყო მომავლის.

ილია ჭავჭავაძე

უძველესი დროიდან აქ სიცოცხლე ჩქეფდა. ჯერ კიდევ მეექვსე საუკუნეში დავითმა, შემდგომში გარეჯად წოდებულმა, ერთმა იმ „ათცამეტ ასურელ მამათაგანმა" დააარსა უდაბნოთა პირველი მონასტერი — დავითის ლავრა. ქართული კულტურის ეს უდიდესი ცენტრი სწრაფად განვითარდა. კლდეში იკვეთებოდა ეკლესიები და სატრაპეზოები, სენაკები და პალატები; გაჩნდა კედლის მხატვრობა, გაჩაღდა ინტენსიური სამწერლო საქმიანობა... სხვადასხვა დროს აქ მოღვაწეობდნენ გამოჩენილი სასულიერო პირი და მამულიშვილი ილარიონ ქართველი, დიდი მწერალი, პოლიტიკოსი და პატრიოტი სულხან-საბა ორბელიანი...

ჟამთა სიავემ და ძნელბედობამ თავისი გაიტანა. მეცამეტე საუკუნიდან აყვავებული ცხოვრება ჩაქრა, — დაინგრა, გაიძარცვა, გაუკაცრიელდა მონასტრები, მიდამო ირგვლივ უკაცრიელ უდაბნოდ იქცა. ქართული კულტურის ეს საგანძური დიდხანს იყო უპატრონოდ მიტოვებული. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ერთ დროს აყვავებული მონასტრები ცხვრის ფარეხებად იქცა.

გარეჯის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ახალი ფურცელი ოთხიოდე წლის წინათ დაიწყო. და ეს იდეა საქართველოს კომპარტიის საგარეჯოს რაიკომის პირველ მდივანს მედეა მეზვრიშვილს ეკუთვნის.

— უდაბნო უნდა გაცოცხლდეს, სწორედ ამით გადარჩება ერის კულტურის გარეჯისეული საგანძური! — თქვა მან და საქმეს თვითონვე ჩაუდგა სათავეში. კარგ წამოწყებას რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ იმთავითვე დაუჭირა მხარი.

დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის დაცვის, აღდგენისა და გადარჩენის მიზნით, კულტურის ეს უნიკალური ძეგლი მუზეუმ-ნაკრძალად გამოცხადდა.

დასაბამი მიეცა დიდ სახალხო დღესასწაულს — „გარეჯობას". ამოქმედდა დავით გარეჯის კულტურის სახალხო უნივერსიტეტი, სადაც ლექციებს კითხულობენ ერის გამოჩენილი მოღვაწეები. შეიქმნა უდაბნოს მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობა, რომელსაც გადაეცა 10 ათასამდე ჰექტარი მიწა, 70 ათასზე მეტი ცხვარი.

ყველაფერი იქითკენ წარიმართა, რომ ამ ადგილებში ხალხი დასახლებულიყო. მალე მართლაც გაჩნდა ახალი სოფელი საქართველოს რუკაზე, რომელსაც ჯერ სამიოდე წლის ისტორიაც არ აქვს. ხრიოკსა და უკაცრიელ ველზე სიცოცხლემ დაისადგურა. სახელდახელოდ აშენდა 34 ფინური სახლი და ერთი ორსართულიანი რვაბინიანი საცხოვრებელი სახლი. დასახლების ეს უბანი საზოგადოებრივ საწყისებზე, უსასყიდლოდ, სამუშაოდან თავისუფალ დროს დააპროექტეს ინსტიტუტ „საქკოლმშენპროექტის" კომკავშირელებმა და ახალგაზრდებმა. შემდეგ ისინი პრაქტიკულად ჩაუდგნენ სათავეში თავიანთი პროექტის ხორცშესხმას.

კეთილმოწყობილი ახალი ბინების გასაღები მიიღეს მეცხვარე აკაკი ჰიაბრიშვილმა, ტრაქტორისტმა მიშა ქორიოლაძემ, ავტომანქანის მძღოლებმა ვალიკო ხმალაძემ და გოგი ბატურიძემ, აგროგანყოფილების უფროსმა ავთანდილ ქაიხოსრიშვილმა, აკაკი მატიაშვილმა, თემურ ყუშიტაშვილმა და სხვებმა. ისინი აქ რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებიდან ჩამოვიდნენ სამუშაოდ და მუდმივ საცხოვრებლად.

ახლა გარეჯში 40 ოჯახი ცხოვრობს. მსურველი კვლავაც მრავალია. საქმე რომ დაჩქარდეს და მეურნეობას საკუთარი მუშა-ხელი ჰყავდეს, რესპუბლიკის სასოფლო მშენებლობის სამინისტროს მეთერთმეტე ტრესტის 39-ე მოძრავი მექანიზებული კოლონა სწრაფი ტემპით აშენებს ორ თორმეტბინიან და ერთ რვაბინიან საცხოვრებელ სახლს; მომავალში მშენებლობა კიდევ უფრო ინტენსიურად გაჩაღდება.

გარეჯში იმრავლა ქორწილებმა, იქმნება ახალი ოჯახები. ტრაქტორისტმა გურამ ქიზიყელაშვილმა აქ შეირჩია გულისწორი — საბჭოთა მეურნეობის მოანგარიშე ციცინო თურქიაშვილი. ახალგაზრდა ცოლ-ქმარს ვაჟიც შეეძინათ — პატარა არჩილი პირველი ადგილობრივი მკვიდრია! მეურნეობამ გადაუხადა ქორწილი კოლექტივის სასახელო წევრებს ზურაბ ჯავარაშვილს და თინა ბარიხაშვილს, ჯემალ ჩახმახაშვილს და დალი ჰიკაძეს...

პირველ ახალმოსახლეებს რაიონის საწარმოო-დაწესებულებათა კოლექტივმა შეუძინეს ავეჯი, მუსიკალური საკრავები, ტელევიზორები და სხვა ნივთები, საჩუქრად მიუყვანეს პირუტყვი, ფრინველი...

ყველა ოჯახმა მიიზომა საკარმიდამო ნაკვეთი, გააშენეს ვაზი და ხეხილი, მოჰყავთ ბოსტნეული და ბალჩეული, ამრავლებენ პირუტყვსა და ფრინველს. გოგი მარტიაშვილისა და ზურაბ ჯავარაშვილის ეზოებში მოწეულმა რქაწითელმა ხარისხითაც და მოსავლითაც მოლოდინს გადააჭარბა. ამ ფაქტმა ცხადყო, რომ მეურნეობას აქვს მევენახეობის განვითარების დიდი მომავალი.

ახალი დასახლება უკვე ბევრი სასიხარულო მოვლენების მომსწრეა. მესამე წელია აქ ირეკება სკოლის ზარი, გაიხსნა ბიბლიოთეკა, საბავშვო ბაგა-ბაღი, მუშათა სასადილო, მედპუნქტი, ფოსტა, პურის საცხობი, მაღაზია, განმტკიცდა მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ზედიზედ დგებიან მწყობრში ახალი კაპიტალური ფარეხები და საღორეები, მარცვლეულის საწყობები და მწყემსთა საცხოვრებელი ბინები, მექანიზებული კალო და საკვებსაამქრო. აღდგენილია 15 კილომეტრიანი ძველი წყალსადენი. დამთავრდა საგარეჯო-უდაბნოს საავტომობილო გზისა და მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა.

ასე თანდათანობით უბრუნდება სიცოცხლე ქართველთა წინაპრების სისხლითა და ცრემლით მორწყულ მადლიან მხარეს....

მოკლე დროში გაკეთდა ის, რაზეც ადამიანები საუკუნეები ოცნებობდნენ. ყოველივე ეს საქმის კარგი დასაწყისია, წინ კი უფრო დიდი პერსპექტივებია გადაშლილი.

ინსტიტუტ „საქკოლმშენპროექტის" შემოქმედებითმა კოლექტივმა წარმატებით დაასრულა დავით გარეჯის ახალი დასახლების განაშენიანების დაგეგმარება. პროექტი განიხილა და მოიწონა რესპუბლიკის „სახმშენმა".

ახალი დასახლება საქართველოში იქნება ერთ-ერთი საჩვენებელი. იგი დაყოფილია რამდენიმე უბნად. მათ ერთმანეთთან შეაერთებს ლარივით სწორი და მოასფალტებული ქუჩები, რომლებსაც ექნებათ გაზონები და სკვერები. აშენდება 400-ზე მეტი ინდივიდუალური ორსართულიანი ოთხ-ხუთ ოთახიანი საცხოვრებელი სახლი ყველა საჭირო სათავსოებით. სოფლის ცენტრში ერთიან არქიტექტურულ ანსამბლს შექმნიან ადმინისტრაციული და კულტურის სახლები, რომლებშიც მოთავსდება სასოფლო საბჭო, მეურნეობის კანტორა, ფოსტა, კინოდარბაზი, ბიბლიოთეკა 15 ათასი წიგნისთვის; მოეწყობა სამკითხველო, სპორტული დარბაზი. თითოეული ეს ნაგებობა შენდება ინდივიდუალური პროექტით, რომლებშიც გამოყენებულია ქართული ხუროთმოძღვრების უძველესი ტრადიციები.

გარეჯს დაამშვენებს საშუალო სკოლის, საბავშვო ბაგა-ბაღის, სავაჭრო ცენტრის, საყოფაცხოვრებო სახლის ახალი კაპიტალური ნაგებობანი. სოფელს ექნება ცენტრალური გათბობა, საკანალიზაციო ქსელი, ახალი წყალსადენი, კულტურისა და დასვენების პარკი, სპორტული კომპლექსი. გარეჯელები იცხოვრებენ ისე, როგორც ცხოვრობენ კეთილმოწყობილ ქალაქში.

გარეჯის უდაბნო უნდა გასარწყავდეს. ინსტიტუტ „საქწყალპროექტში" დამთავრდა სარწყავი სისტემის დაპროექტება, მშენებლობა გაისად დაიწყება. მომავალ ხუთწლედში მაცოცხლებელ წყალს მიიღებს საუკუნეობით გულგამომშრალი ათი ათასი ჰექტარი მიწა.

გათვალისწინებულია დავით გარეჯის მუზეუმის მშენებლობა, სამონასტრო კომპლექსების რესტავრაცია და პირვანდელი სახით აღდგენა; თითოეულ მონასტრამდე გაიყვანენ საავტომობილო გზებს, მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორია გამწვანდება, აქვე აშენდება 200 ადგილიანი ტურისტული ბაზა. მალე დავით გარეჯი რესპუბლიკის მშრომელთა კულტურისა და დასვენების, პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის მძლავრი კერა გახდება.

...აღორძინდა, ახალი სიცოცხლე ჩადგა გარეჯში. მომავალში მას ვიხილავთ მთლიანად გარდაქმნილს და აყვავებულს, მწვანე ფარჩით შემოსილს. ისტორიული მონასტრები კვლავაც მრავალგზის ილაღადებენ ქართველი ხალხის მაღალ სულიერ კულტურაზე.

ამ მხარის გარდაქმნა და აყვავება ახარებს თითოეულ ქართველ კაცის გულს, რომლისთვისაც მაღალია ჭეშმარიტი მამულიშვილური გრძნობა, ეროვნული ღირსებისა და ეროვნული კულტურისადმი პატივისცემა.

ამირან მექვაბიშვილი

ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲫᲔᲒᲚᲔᲑᲘ

# თბილისის მომავალი

ნოდარ მგალობლიშვილი,
თბილისის მთავარი არქიტექტორი

## ჩვენს დედაქალაქს უნდა შევუნარჩუნოთ თბილისური სახე

თხუთმეტ საუკუნეზე მეტი გავიდა მას მერე, რაც უძველესი დასახლება მტკვრის ნაპირზე გადაიქცა საქართველოს დედაქალაქად. ამ ბობოქარ საუკუნეთა განმავლობაში თბილისი შენდება, იზრდება, მშვენდება, მიუხედავად იმისა, რომ დაუნდობელი და მძვინვარე მტერი მრავალჯერ მიწასთან ასწორებდა ულამაზეს ქალაქს.

627 წელს ხაზარებმა გაძარცვეს თბილისი და გაიტაცეს უამრავი განძეულობა. უზარმაზარი ზიანი მიაყენა ქალაქს არაბების მრავალრიცხოვანმა ურდოებმა VII—VIII საუკუნეში, თურქ-სელჯუკების შემოსევამ XI საუკუნეში, მონღოლებისა XIII საუკუნეში, ღვთის რისხვად, ყოვლის შემუსრავ ლვარცოფად მოევლინა XIV საუკუნის საქართველოს თემურლენგის რვა ლაშქრობა, უპრეცენდენტო თავისი უაზრო ულმობლობით, რომელთა აღწერა მამებელ მემატიანესაც კი ათქმევინებს გაოცებულს: თემურლენგს ინდოეთში ლაშქრობისას არ დაუნგრევია იმდენი ნაგებობა, რამდენიც მან საქართველოში დაანგრია.

XVI საუკუნის თურქთა გამანადგურებელმა შემოსევამ, შაჰ-თამაზის, შაჰ-აბაზის, ნადირ-შაჰის არაერთგზის გამჩანაგებლურმა შემოჭრამ და ბოლოს 1795 წლის აღა-მაჰმად-ხანის მძვინვარე ნგრევამ თითქმის აღგავა მიწის პირიდან ქალაქის განაშენიანება, მაგრამ ვერაფერმა ვერ შეარყია თბილისელთა სიმტკიცე. ყოველი კატასტროფის შემდეგ, განდევნიდა რა მტერს, თბილისი კიდევ უფრო ლამაზ ქალაქად სდგებოდა ნანგრევებიდან. და მხოლოდ 1801 წლიდან, როდესაც საქართველო შეუერთდა ერთმორწმუნე ქრისტიანულ რუსეთს, დამთავრდა მაჰმადიანთა გაუთავებელი რბევა. თბილისი იწყებს მშვიდსა და ნორმალურ ზრდას, ხოლო 1921 წლიდან, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, დაიწყო ჭეშმარიტად გრანდიოზული მშენებლობა.

რამდენიმე წლის წინათ თბილისმა იზეიმა დიდად მნიშვნელოვანი მოვლენა — მემილიონე მაცხოვრებლის დაბადება. საქართველოს დედაქალაქი ერთ-ერთი ულამაზესი და კეთილმოწყობილი ქალაქთაგანია საბჭოთა კავშირში, — აღნიშნავენ თბილისის მრავალრიცხოვანი სტუმრები და ყველა რანგის მნახველები. საბჭოთა ხალხის სიყვარული თბილისისადმი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯიმი კარტერმაც კი აღნიშნა თავის სიტყვაში, რომელიც მან უძღვნა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობას. ეს სიტყვა მან წარმოთქვა ქალაქ ჩარლსტონში 1977 წლის 21 ივლისს: „ჩარლსტონი მშვენიერი ქალაქია, — სთქვა კარტერმა, უნდოდა რა ესიამოვნებინა ჩარლსტონის მაცხოვრებლებისათვის, — რომლის კულტურითა და მომხიბვლელობით ამაყობს ყველა ამერიკელი, ზუსტად ისევე, როგორც საბჭოთა კავშირის ხალხი სამართლიანად ამაყობს ისეთი ძველი ქალაქებით, როგორებიცაა თბილისი ან ნოვგოროდი და რომლებსაც ისინი დიდი სიყვარულით უფრთხილდებიან — ისევე, როგორც თქვენ ჩარლსტონს — და რომლებშიც ისინი შთაბერავენ ახალ ცხოვრებას, რაც აქცევს ამ ქალაქებს გაცილებით უფრო მნიშვნელოვან მოვლენად, ვიდრე მკვდარი ნაშთები ბრწყინვალე წარსულისა“.

ქალაქი თბილისი იზრდება და შენდება. ყოველწლიურად თბილისელები ღებულობენ კეთილმოწყობილ ბინებს, ნახევარ მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტს. ქალაქს ჭარბად ემატება ჩქაროსნული ავტომაგისტრალები, ფართოვდება მეტროპოლიტენის ქსელი, შენდება თანამედროვე უზარმაზარი საზოგადოებრივი ნაგებობანი, იგება ურთულესი საინჟინრო კომუნიკაციები. მშენებლობის გრანდიოზული მოცულობა და გამაღებული ტემპი, თითქოს გადაშენებით ემუქრებოდა ქალაქის უძველეს ნაწილს. და მართლაც, ფართოდ გაშლილი მშენებლობის პირველ წლებს სრულიად უსაფუძვლოდ შეეწირა რამდენიმე ძვირფასი არქიტექტურული და ისტორიული ძეგლი, რამდენიმე საინტერესო ანსამბლი. მაგრამ უკვე 1921 წლიდან საბჭოთა საქართველოს მთავრობამ გამოაქვეყნა მთელი რიგი დეკრეტებისა და დადგენილებებისა კულტურის ძეგლების დაცვის შესახებ. ალბათ არ არის საჭირო ყველა ამ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის შინაარსის გადმოცემა. მიუხედავად იმისა, რომ ამ დოკუმენტებმა გადამწყვეტი როლი ითამაშეს სიძველის შესანიშნავი ძეგლების დაცვაში, საჭიროა აღინიშნოს, რომ ძველი ქალაქის ნამდვილი, რეალური და აქტიური დაცვა-აღდგენა დაიწყო სამოცდაათიან წლებში, ახლებურად, მძაფრად და მომთხოვნელად დაისვა ამოცანა — სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი, სამეურნეო კულტურული.

1975 წელს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება რესპუბლიკაში კულტურის ძეგლების დაცვის მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. 1977 წელს საქართველოს უმაღლესმა საბჭომ მიიღო კანონი ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ. 1978 წლის 24 თებერვალს საქართველოს მინისტრთა საბჭოს დადგენილებით დათხოვნილ იქნა ყველა არსებული წვრილ-წვრილი ხელმძღვანელი ორგანო, რომლებიც დამოუკიდებლად ზრუნავდნენ კულტურის ძეგლებზე და საქართველოს კულტურის სამინისტროსთან შეიქმნა მძლავრი „ისტორიის, კულტურის და ბუნების ძეგლების დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო საწარმოო“. სამმართველოს უფროსად დაინიშნა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი ირაკლი ციციშვილი.

ახალ უწყებასთან მჭიდრო კონტაქტში მუშაობს თბილისის აღმასკომის მთავარი არქიტექტურულ-დაგეგმარებითი სამმართველოც. „თბილქალაქპროექტის“ საპროექტო ინსტიტუტში შეიქმნა სპეციალური სახელოსნო, რომელსაც დაეკისრა თბილისის დაცვის ზონაში შენობათა რეკონსტრუქცია და რეგენერაცია. სახელოსნოს ხელმძღვანელად დაინიშნა გამოცდილი არქიტექტორი და მეცნიერი გოგა ბათიაშვილი. შექმნილია უწყება, რომელსაც დაევალა ერთიანი დამკვეთის როლი. ამ უწყებას ხელმძღვანელობს თბილისის ჭეშმარიტი პატრიოტი, ამაგდარი ინჟინერი გიორგი მინდელი. იქმნება სპეციალური ბაზა ძველი ქალაქისათვის ახალი ელემენტების წარმოებისათვის და აგრეთვე ნგრევაში მოყოლილი სახლების დეტალების, ფრაგმენტებისა და სამშენებლო მასალის შესანახად. შენდება სპეციალური ქარხანა ქართული აგურისა და კრამიტის შესაქმნელად. თბილისის კულტურის ძეგლების რეკონსტრუქციაზე, რესტავრაციაზე, რეგენერაციაზე და ადაპტაციაზე ყოველწლიურად 3 მილიონ მანეთზე მეტი გამოიყოფა. ეს თანხა პერმანენტულად მოიმატებს.

ამგვარად, რესპუბლიკისა და დედაქალაქის ხელმძღვანელობამ შექმნა შესანიშნავი პირობები ქალაქის ძველი ნაწილის შესანარჩუნებლად და კეთილმოსაწყობად და რომ სწორედ ეს რაიონები ანიჭებენ თბილისს განუმეორებელ კოლორიტს, ნათლად გამოკვეთილ თავისებურებას, დასამახსოვრებელ, დამახასიათებელ სახეს.

ბევრი რამ გაკეთდა ძველ ქალაქში.

რეკონსტრუირებულია და გაწმენდილია გვიანი მინაშენებისაგან მეტეხის პლატო, ბრწყინვალე ძეგლით — XIII საუკუნის ტაძრით. აქ დადგმულია საქართველოს დედაქალაქის დამაარსებლის ვახტანგ გორგასალის ცხენოსანი ქანდაკება. აქედან იშლება შთამბეჭდავი პანორამა ძველი ქალაქისა. სახელდობრ ამ ადგილიდან მტკვრის ხეობის ვიწროებში მეტეხსა და ნარიყალას შორის ჩაისახა თბილისი, აქედან ადვილად შეიმჩნევა ქალაქის განვითარების ტენდენცია მდინარის ბასეინის გასწვრივ. მეტეხის პლატოდან იხსნება უნიკალური ხედი, რომლის ანალოგიურს ალბათ მთელ მსოფლიოში ვერ მონახავთ. თითქოსდა დასამტკიცებლად იმისა, რომ თბილისი ოდითგანვე ინტერნაციონალურ ქალაქად იყო აღიარებული, მნახველს ერთი ადგილიდან შეუძლია შვიდი (!) სხვადასხვა რელიგიის ძეგლი იხილოს: ქართული ქრისტიანული ტაძრები, რუსული მართლმადიდებელი და სომხური გრიგორიანული ეკლესიები, მაჰმადიანური მეჩეთი მინარეთით, ებრაული სინაგოგა, ბერძნული ორთოდოქსური და ფრანგულ-პოლონური კათოლიკური ტაძრები. წარმოიდგინეთ ამ ადგილზე რა დღეში ვარდება ზოგიერთი უცხოელი ჟურნალისტი, რომელიც წერს საქართველოში რელიგიის შევიწროებაზე ან მოსახლეობის ნაციონალურ შუღლზე!

უშუალოდ მეტეხის ტაძართან, შვეულ კლდეზე, მტკვრის თავზე გადმოკიდებულია დიდად ცნობილი, ცხოველხატული, ორ-სამ სართულიანი თბილისური სახლების მწკრივი, მოხდენილი აივნებითა და ტერასებით. უკვე დაიწყო ამ ამორტიზირებული სახლების რეკონსტრუქცია. აქ იქნება განლაგებული უმაღლესი კატეგორიის სასტუმროები, შემოქმედებითი სახელოსნოები, მხატვრული სკოლები და ა. შ. ბუნებრივია, რომ ამ ხწორუპოვარი განაშენიანების გარეშე ხედი მთლიანად დაცული იქნება.

სწორედ ახლა ჩატარებული ბარათაშვილის ქუჩის რეკონსტრუქცია. საქართველოს დამსახურებული არქიტექტორის შოთა ყავლაშვილის ხელმძღვანელობით ტარდება სამუშაოები ძველი ციხე-გალავნის კოშკების, კონგურების და სხვა ფრაგმენტების აღსადგენად. ამ კედელზე საოცარი სილამაზითაა მორგებული ძველი თბილისური სახლები, მხატვრული აივნებით, ლოჯიებით, დამახასიათებელი დეტალებით. აქვე, პირდაპირ კედელშია ჩადგმული ოსტატურად გამოჭედილი ფარნებით შემკული მძიმე მუხის კარი, რომელსაც მივყავართ გონებამახვილურად გამოყენებულ ძველთაღ-კამაროვან სარდაფში. გამოუყენებელი სათავსები გადაქცეულია მყუდრო და მოხერხებულ კაფე-საჭაშნიკოდ. ამგვარად იქნება რეკონსტრუირებული მთელი ძველი ქალაქი.

საუკუნეებით შექმნილი ვიწრო ქუჩებისა და შუკების ქალაქმშენებლური ქსოვილი ხელუხლებლად იქნება შენარჩუნებული, ხოლო იქ, სადაც არ არის საშიშროება საერთო ანსამბლის დარღვევისა, დაშლილი ამორტიზირებული სახლის ადგილზე გაიხსნება მომცრო სივრცეები, შეიქმნება ცხოველხატული სკვერები, გადმოსახედი ბაქნები, დაიდგმება მცირე არქიტექტურული ფორმები. რაღა თქმა უნდა, ძველი ქალაქის შექმნილ სახის დაცვასთან ერთად, არსებულ სახლებში მთლიანად შეიცვლება კომფორტული პირობები. კანალიზაცია, გათბობა, გაზიფიკაცია და სხვა რამ — ყველგან იქნება თანამედროვე საინჟინრო ტექნიკის დონეზე. ძველ ქალაქში შენდება საბავშვო ბაგა-ბაღები და სკოლები, განთავისუფლებულ. ნაკლებად მნიშვნელოვან ნაგებობათა ადგილზე აღიმართება ამ რაიონის მასშტაბით მცირე საზოგადოებრივი შენობები, ხოლო ყოველივე ახალი, რაც აშენდება ქალაქის ძველ რაიონებში, გადის მკაცრ ექსპერტიზას, რათა საგსებით შეეფერებოდეს არსებული განაშენიანების ხასიათსა და მასშტაბს.

ამჟამად მუშავდება მეტად საინტერესო პროექტი, რომელიც სიონის კათედრალური ტაძრისა და ანჩისხატის ეკლესიის შემოგარენს გადააქცევს ფეხით მოსიარულეთა ზონად. ამ ზონაში ტრანსპორტის შესვლა საერთოდ აიკრძალება. აქედან მოშორებული იქნება მრავალრიცხოვანი საწყობები და წვრილ-წვრილი წარმოებები, ხოლო გამონთავისუფლებული ადგილები გამოიყენება ქალაქელი ოსტატებისათვის. აიგება მომცრო სახელოსნოები, სასუვენირო მაღაზიები, მცირეგაბარიტიანი კაფეები, დუქნები, ბარები და ა. შ.

ძალიან საინტერესოდ მოეწყობა გოგირდოვანი აბანოების მთელი რაიონი. აქ იქნება ურთიერთდაკავშირებული უძველეს ნაგებობათა მთელი კომპლექსი, რომელსაც უკვე გამოეკვეთა განუმეორებელი პლასტიკური იერი, როგორც ექსტერიერში, ავევე ინტერიერში.

დიდად შთამბეჭდავ ეფექტს ახდენს თითქმის დამთავრების სტადიაში მყოფი საჩინოს ანუ დარეჯანის სასახლის რეკონსტრუქცია. ციხე-გალავნის რესტავრირებული კედლები კონგურებითა და მაშიკულებით, ხის ელემენტებითა და გამწვანებულ ნაკვეთებთან ერთიან კომპოზიციაში ჰქმნის დამთავრებულ მაღალმხატვრულ ანსამბლს. ამ სამუშაოებში ბევრი შრომა აქვთ გაწეული არქიტექტორებს გელა ჯაფარიძეს და ვაჟა ორბელიძეს.

აქვე ახლოს განლაგებულია საკმაოდ ვრცელი მინდორი, რომელზედაც სულ რამდენიმე წლის წინათ მდებარეობდა ე. წ. რიყე. ეს იყო ჩაბინძურებული და მიგდებული უბანი, მართალია მეტად ცხოველხატული, მაგრამ ნახევრად დანგრეული ხშირი წყალდიდობით. უახლოეს მომავალში ამ ნაკვეთზე გაკეთდება უჩვეულო ბაღი, წყლის როთული სისტემით, კასკადებით, შადრევნებით, წყლის სარკეებით. აქ იქნება მიწისქვეშა დარბაზები, მრავალადგილიანი ამფითეატრები, ქანდაკებების ჯგუფები, მცირე არქიტექტურული ფორმები, უხვი გამწვანება. ვფიქრობთ, რომ შემდეგში მთელი ეს ბაღი, საჭირო მომენტში, გადაიქცევა გრანდიოზულ სამაყურებლო დარბაზად, საიდანაც შესაძლებელი იქნება ვნახოთ და მოვისმინოთ თვალწარმტაცი სპექტაკლი საქართველოს დედაქალაქის შექმნაზე და ისტორიაზე. ამ სპექტაკლში მონაწილეობას მიიღებს თბილისის თითქმის ყველა ღირსშესანიშნავი ძეგლი და ნაგებობა და ალბათ ეს დღეისათვის უდაბური ნაკვეთი, სულ მალე გადაიქცევა თბილისელთა და მათ სტუმართა ერთ-ერთ უსაყვარლეს დასვენების ადგილად: დღისით ბაღი, საღამოთი თეატრი.

რა თქმა უნდა, ჟურნალის მომცრო წერილში შეუძლებელია შევეხოთ ყველა მრავალრიცხოვან სამუშაოებს, რომლებიც ტარდება საქართველოს დედაქალაქის ხვალინდელი დღის, მისი მომავლისათვის.

ლამაზია ჩვენი დედაქალაქი, მაგრამ იგი უფრო ლამაზი იქნება.


ეროვნული ბიბლიოთეკა

ორთაჭალის ახალი სახე.
არქიტექტორი
შოთა ყავლაშვილი.



რესტავრირებული სახლი ლეინის აღმართზე.
არქიტექტორი ვაჟა ორბელაძე.

# ქართული სტამბის მოღვაწენი რუსეთში

ვახტანგ VI ხელმძღვანელობით ქართლის დიდი კულტურული აღმავლობის დაწყებისთანავე ჯერ კიდევ დავით-გარეჯში იოანე საამაძე და იოსებ ქვაბულიძე ძმადშეფიცულნი მხარში ამოუდგნენ ქვეყნის წარმმართველს — იოანემ მანგლისის საეპისკოპოსო კათედრა დაიჭირა, ხოლო იოსებმა — წილკნის.

მოვლენათა განვითარებამ ქართლის აღორძინების მესვეურთა უმრავლესობა მეფე ვახტანგთან ერთად მეზობელ რუსეთის სახელმწიფოში გადასახლა.

ვახტანგ VI ამალაში მყოფმა საამაძემ სამისიონერო მოღვაწეობისათვის აირჩია დარუბანდი. შემდეგ იგი იძულებული შეიქმნა ასტრახანს გადასახლებულიყო.

საქართველოში დარჩენილი ი. ქვაბულიძე სამშობლოს განთავისუფლების იმედს არ ჰკარგავდა.

მეთერთმეტე საუკუნის ოციანი წლების დასასრულს რ. ერისთავისა და ე. ჯანდიერის საშუალებით იოსებ სამებელ-წილკნელი მეფე ვახტანგმა მოსკოვს მიიწვია.

იმიერკავკასიაში გადასული ქართველი ეპისკოპოსი ჩაჩნებმა დაატყვევეს. მეფე ვახტანგის შუამდგომლობით გამოხსნილი ქართველი ეპისკოპოსი ამალით მოსკოვს 1732 წლის შემოდგომაზე ჩავიდა.

მოსკოვში ვახტანგ VI კარზე იოსები მღვდელთმთავარი გახდა.

შემდეგ მთავარეპისკოპოსს იოსებ სამებელსა და მიტროპოლიტ რომანოზს რუსეთის ეკლესია-მონასტრებში მღვდელმსახურება დაავალეს, ხოლო 1733 წლის 13 სექტემბერს ორივე პეტერბურგს გაიწვიეს.

1734 წლის მარტში ვახტანგ VI პეტერბურგს ჩავიდა.

პეტერბურგში ი. ქვაბულიძე ქართველი მეფის საშუალებით კიდევ უფრო დაუახლოვდა ცნობილ სწავლულსა და სახელმწიფო მოღვაწეს თ. პროკოპოვიჩს. 1734 წლის მაისის დასაწყისში, ხელმწიფესთან შეთანხმებით თ. პროკოპოვიჩმა სპეციალური წარდგინების საფუძველზე სინოდში ითხოვა, ქართველი მთავარეპისკოპოსი ნოვგოროდის კათედრაზე თავის მოადგილედ დანიშნულიყო — ნოვგოროდის არქიეპისკოპოსად და გიორგის მონასტრის არქიმანდრიტად.

ქართველმა არქიეპისკოპოსმა თანამემამულეთა მცირე ჯგუფით ნოვგოროდში მჩქეფარე მოღვაწეობა გაშალა. იოსების ორგანიზატორული ნიჭით და კეთილსინდისიერებით აღტაცებულმა თ. პროკოპოვიჩმა ორი წლის შემდეგ (1736 წლის 6 აგვისტო) სინოდში ახალი წარდგინებით ნოვგოროდის ეპარქიაში ქართველ არქიეპისკოპოსს სრული სასულიერო ძალაუფლება მიანიჭა. თ. პროკოპოვიჩისავე ხელშეწყობით 1735 წლის 7 დეკემბერს ქართველი ილუმენი ეფთვიმიც ნოვგოროდში არქიმანდრიტად აკურთხეს და კლოპსკის მონასტრის წინამძღვრად განაწესეს. ამავე ხანებში იოსებთან მოღვაწეობს ილუმენი ქრისტეფორე გურამიშვილი და სხვ. კასპიისპირეთში გამგზავრებულმა ვახტანგ მეექვსემ 1735 წლის ზაფხულში ბაქარი მოსკოვს დააბრუნა, ხოლო თვითონ ასტრახანს დარჩენა გადაწყვიტა.

მოსკოვის ქართულ ახალშენში ბაქარის მეთაურობით გეგმაზომიერი მრავალმხრივი მუშაობა გაიშალა. ქართველ მოახალშენეთა უპირველეს ამოცანად იქცა სტამბის მოწყობა.

ი. ქვაბულიძემ თავს იდო ამ დიდი საქმის მოგვარება.

ქართველი არქიეპისკოპოსი წლების მანძილზე მწვავედ განიცდიდა ქართული სტამბის განადგურებას. ქართველი მეფისა და ამალის თბილისიდან წასვლის შემდეგ ი. ქვაბულიძე ამ გამომცემლობის დანგრევის მოწმე გამხდარა.

თურქებმა უმოწყალოდ გადაჰყარეს მტკვარში ქართული სტამბის მოწყობილობა და წიგნები ცეცხლს მისცეს, გულისტკივილით წერდა იგი რუსეთის იმპერატორს.

ნოვგოროდის ეპარქიის ქართველმა არქიეპისკოპოსმა სტამბის მოწყობილობათა დასამზადებლად თითქმის მთელი წლის საკუთარი ფულადი შემოსავალი გადასდო.

ქართული შრიფტისა და სასტამბო მოწყობილობის დამზადების ორგანიზაცია ქრისტეფორე გურამიშვილს მიენდო. 1736 წლის 10 დეკემბერს ქრ. გურამიშვილმა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის კანცელარიაში წარდგენილი განცხადებით ნოვგოროდის ქართველი არქიეპისკოპოსის იოსების ხარჯით ქართული შრიფტისა და სასტამბო ინვენტარის დამზადება ითხოვა.

ქრ. გურამიშვილმა გადაწყვიტა აკადემიაშივე მოემზადებინა ასოთამოქანდაკე, ჩამომსხმელი და მბეჭდავი ქართველი სპეციალისტები.

1737 წლის გაზაფხულზე ჰარტისაგან დამზადებული ქართული შრიფტი, ორი საბეჭდი დგანი და სხვა სასტამბო მოწყობილობა მზად იყო, მაგრამ ქრ. გურამიშვილს მის დასახსნელად თანხა არ ეყო.

ქრ. გურამიშვილმა აკადემიის მესვეურთ ქართული ანბანისა და ლექსიკონის დაბეჭდვა შესთავაზა და გამოცემისაგან მიღებული მოგებით ვალის დაფარვა აღუთქვა. პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიაში მან მალე დააბეჭდვინა „ანბანი" ქართველთათვის და დასახსნელად გადანახული ქართული სასტამბო მოწყობილობანი გამოისყიდა. 1737 წელს ქრ. გურამიშვილის ხელმძღვანელობით მოსკოვში დედოფალ დარეჯანის სასახლეში მოეწყო სტამბა. შემდეგ, ბაქარის წინადადებით, ქრ. გურამიშვილი პეტერბურგს ჩავიდა სინოდიდან ხელფასის დანიშვნის მოსაგვარებლად.

ქართველ სასულიეროთა შტატში ჩასარიცხად ბაქარმა წერილობით უშუამდგომლა ქრისტეფორეს სინოდში.

ქრისტეფორეს საქმეზე გაჩაღდა მიმოწერა. საბოლოოდ საქმის გარჩევა ნოვგოროდის კონსისტორიას მიენდო და 1738 წლის 27 ივნისს ქრისტეფორე ნოვგოროდში დააბრუნეს. აქაც საქმის გაჭიანურების გამო ქართველი იღუმენი ჯერ ნოვგოროდთან ახლოს როზვაჟკის მონასტერში დააყენეს, ხოლო შემდეგ კირილეს მონასტერში გადაიყვანეს. ბედგამწარებული, მძიმე ეკონომიურ და ჰიგიენურ პირობებში მყოფი ქრისტეფორე საქმის გადაწყვეტის მოლოდინში ენერგიულად იღვწოდა. 1739 წლის 22 მარტს იგი სინოდს წერდა: „...აგერ თერთმეტი თვე არის... პეტერბურხს ვიყა(ვ) ნოვგოროდს გამომგზავნეთ. ვდგევარ ერთს ღარიბ მონასტერში, სახაბაზოშია. კომლმა თვალები დამწვა, კლოპმა, ბლოხმა და ტარაკანამ ხორცი მომჭამა... ან ატკაზი მიყავით, ან რისი ღირსი ვიყო...".

1740 წელს არქიეპისკოპოსი იოსები ნოვგოროდიდან გაიწვიეს. 1741 წელს მას ხელფასი მოუმატეს და მოსკოვში დააბრუნეს.

ქრ. გურამიშვილს ნოვგოროდიდან წასვლის ნება ახალმა არქიეპისკოპოსმა ამბროსიმ 1740 წლის 19 ოქტომბერს დართო. იგი მოსკოვს ჩავიდა და ფართო საგამომცემლო მუშაობა გააჩაღა.

ი. ქვაბულიძისა და ქრ. გურამიშვილის ნოვგოროდში მოღვაწეობის პერიოდში ახლად დაარსებულ მოსკოვის ქართულ სტამბაში 1738—1740 წლებში რამდენიმე მნიშვნელოვანი ძეგლი დაიბეჭდა. 1740 წლიდან სტამბა ქართველთა ქალაქგარეთ რეზიდენციაში — სვესენწკაში გადაიტანეს. 1743 წელს მოსკოვში მცხოვრებ დიდ ქართველ სწავლულთა ერთობლივი შრომით „ბიბლიის" გამოცემაც მოხერხდა.

ამ დროს მრავალგზისი თხოვნის საფუძველზე მოსკოველ ქართველ სასულიერო მოღვაწეებს ნება დართეს „ოსეთის კომისია" შეექმნათ.

აღნიშნული კომისიის მეოხებით ქართველი მისიონერები მიზნად ისახავდნენ კავკასიის მთიელთა იდეურ-კულტურული დონის ამაღლებას. „ოსეთის კომისიის" წევრებმა ი. საამაძემ და ქრ. გურამიშვილმა კავკასიაში გადასვლით დიდად შეუწყეს ხელი ოსებში, ჩაჩნებში, ინგუშებში და სხვა მთიელებში სამისიონერო მუშაობის ფართოდ გაშლას.

მოსკოვში მყოფმა იოსებ ქვაბულიძემ 1749 წელს ჩრდილო კავკასიაში გამგზავრება გადაწყვიტა. იმავე წლის ივლისში სინოდისადმი გაგზავნილ განცხადებაში ქართველი არქიეპისკოპოსი წერდა ახალგაზრდობაში იოანესათვის მიცემული ფიცი მავალებს მხარში ამოვუდგე ყიზლარში მყოფ ქართველ მოღვაწეებსო.

ნებართვის მიღების შემდეგ იოსებმა შეკრა თავისი ბიბლიოთეკა (ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნები), საეკლესიო ინვენტარი, ერთი საბეჭდი დგანი და 1750 წლის 3 ივლისს სამშობლოსაკენ გამოეშურა, მაგრამ სარატოვში მოულოდნელად გარდაიცვალა იმავე წლის 1 სექტემბერს.

მრავალტანჯული მამულიშვილი მეფე ვახტანგის გვერდით დაკრძალეს ასტრახანის კრემლში, მიძინების ტაძრის ქვემო სართულში.

ოთხი წლის შემდეგ სამისიონერო მოღვაწეობისას შეწყდა ქართული სტამბის მოამაგის ქრისტეფორე გურამიშვილის სიცოცხლეც.

ამ ორი პატრიოტის ხარჯითა და შრომით მოსკოვში გამართულმა ქართულმა სტამბამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რუსეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობის განვითარებაში, ქართველი ხალხის განათლების საქმეში და ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა ქართული გამომცემლობების ისტორიაში.

ფრიდონ სიხარულიძე

საქ. სსრ მეც. აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.



ციხისძირი. ზურაბ დათუაშვილის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლერი ელიაშვილი. მარათონი.

ვლადიმერ კანდელაკი. შემოდგომა.



გიორგი მარკოზაშვილი. ფინიში.





ანანა ტოროტაძე. იპოდრომზე.



ლონიცა ჭიჭინაძე. ვარჯიში

## გამოფენიდან: «ფიზკულტურა და სპორტი სახვით ხელოვნებაში.»



რეზო კეჭაყმაძე, მეტოქენი.

## გამოფენიდან: „ფიზკულტურა და სპორტი სახვით ხელოვნებაში"



ახალბედა.

ბადრი გაგნიძე.



სპორტულ დარბაზში.

მარგარიტა ბუდილევა.



ფინიშთან.

ირაკლი თავბერიძე.

# მალთამზე

სოლომონ სამხარაული

მოთხრობა

მხატვარი სპარტაკ ცინცაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიქალებში დარუებული მდინარე შხუილით მოჩქეფდა, კონცხთან ქეშად უხვევდა მარჯვნივ, პიტალოს ეხეთქებოდა და დარეტიანებული ბრუნავდა მორევში. ქაფმოდებულ თავზე ხმელ წოწკებსა და ქერქეჭელებს იტრიალებდა. დროდადრო გულში გაუჩნდებოდა ნაჩვრეტი, ვიწრო, ძაბრისებური; ჩაღრმავდებოდა, ჩაღრმავდებოდა ეს ნაჩვრეტი, თანდათან გაფართოვდებოდა, მერე ერთბაშად, გეგონება ამოიქშინაო, შიშინით ამოდუღდებოდა მორევი, ამიონჩქრეოდა, დაეშვებოდა თავქვე და თავთხელში აჩუხჩუხებული ჭავლად ციმციმებდა — ჩაგრეხვით.

რიყეზე აქა-იქ ზოლ-ზოლად მინაშულ ლამზე მობანავეთა ნაფეხურები ემჩნეოდა. ზოგი დიდი, გულამობურცული, ზოგი პაწაწინა, ნათითურჩამძივებული. ლამი მეტადრე საშუალოებით იყო აჭინჭყლული. კაცის ნატერფალები უფრო მკვეთრად იყო დამჭდეული, ქალებისა — ნატიფად მოხაზული. როგორც ჩანდა, სიცხეში აქ ბლომად იყრიდა თავს ხალხი. ახლა მზე გადაწვერილი იყო და აღარავინ ჩანდა. მეც ეს მინდოდა. წიგნი მქონდა წამოღებული, კითხვას არავინ შემიშლიდა. გავიძრე ტანსაცმელი. გახათუთებული ფეხისგულებით რიყეზე გავლა მესიკვდილებოდა, ღრეცვით მივხინხილდი წყლამდე. აქ კი, სველ ლამზე, საამო იყო ფეხშიშველა სიარული. ნაპირს ავუარ-ჩავუარე, საბანაოს ვათვალიერებდი. წყალი გავსინჯე, ცივი მეჩვენა. ჯერ ნაპირში ვჩხუპე, ტანზე შევისხი, თანდათან მივეჩვიე, მერე დარუებულში შევედი, ფეხები წინ გავიშვირე და ზურგზე გადავწექი. დინებამ გამიტაცა, პიტალოს ტერფებით დავეტაკე და პირქვე გადავბრუნდი. მორევმა დამატრიალა, ფსკერისაკენ წამიღო, ჰაერის ბუშტები შიშინით მელამუნებოდნენ სახეზე, ყურებს ბუბუნი გაჰქონდა. ღონივრად მოვუსვი მკლავური, მაგრამ გამოსვლა გამიჭირდა. ჰაერი აღარ მყოფნიდა. როგორც იქნა თავთხელში გავედი და შვებით ამოვისუნთქე. თავპირიდან წყალი ჩამოვიწურე, დავყურებდი ჟინიან მორევს და გული მერჩოდა დამემორჩილებინა. ჩავყვინთე, ჯერ ძირი მოვუხინჯე. საკმაოდ ღრმა იყო, მაგრამ ფსკერზე საშიში შვერილები არ ჰქონდა. ავფოფხდი კბოდეზე და ოთხჯერ თუ ხუთჯერ თავდაყირა გადმოვეშვი. სიგრილემ სასიამოვნოდ დამიარა ტანში, რიყეზე გავედი და ცხელ ლამზე კარგახანს ვიკოტრიალე. მზე ჯერ კიდევ იკბინებოდა. მანქანიდან წიგნი ავიღე, იქვე, ვერხვის ჩრდილში წამოვწექი და გადავშალე. სიჩუმე იდგა. ძალამილეული აშრიალებდა ვერხვს ქვენა ნიავი. სილაში მეჩხრად წამოზრდილი ბალახის ფხაურა ფურცლები საამოდ მიცაცუნებდნენ შიშველ ტანზე.

არ მახსოვს რამდენ ხანს ვიკითხე, უნებლიედ წამოვჯექი და მივიხედ-მოვიხედე. ახლო-მახლო კაციშვილი არ ჭაჭანებდა, არც ხმა ისმოდა ვისიმე. ჩემწინ, ასე ორმოციოდე მეტრის მოშორებით, მდინარის გასწვრივ, ჯალჯებით გამაგრებული ეკალბარდებს ცოცხალი ღობე ჩასდევდა.

ღობის იქით, შეფერდებულზე, დანაკვთებული ვენახი დაბურულიყო, ვენახის ბოლოში საადრეო სიმინდის ყანა ლივლივებდა. ღობის ძირში ორი ატამი და სამი წოწოლა ბალი იდგა.

ვენახგადაღმა ხეხილში ჩაკარგული, კრამიტის სახურავი ილანდებოდა. ცოტა ზემოთ დიდი, თაღებიანი ქვიტკირის სახლი იდგა, იქვე ახლო სხვა სახლის სახურავებიც ჩანდა. ეტყობოდა, სოფლის ბოლო იყო. ისევ წამოვწექი და კითხვა განვაგრძე. გატაცებით ვკითხულობდი, მაგრამ ჩემს უნებლიედ ჩქარ-ჩქარა წამოვწევდი თავს და ღობისკენ გავიხედავდი. არავინ ჩანდა, არა და ვგრძნობდი ვიღაც მიყურებდა. თვალების წარამარა ცეცება უხერხული იყო, ამიტომ თავი აღარ ამიწევია, ვითომ ვკითხულობდი, ხელი შუბლზე შემოვიდე და თითებშორის გავიჭვრიტე. ავაყოლ-ჩამოვაყოლე ღობეს თვალი, ვენახიც მოვათვალიერე, ხეებიც, მაგრამ ვერავინ ვერ შევამჩნიე. დავიწყე კითხვა, გული ვერ დავუდე. ისევ გავაპარე ღობისკენ თვალი და აი, კუნელის ბუჩქის გვერდიდან ვიღაცა იყურებოდა დაცეცებული. დავაკვირდი, მაგრამ ფოთლები ჰფარავდა და ვერ გავარჩიე ქალი იყო თუ კაცი. უფრო ქალი უნდა ყოფილიყო, სხივჩადგმული, ნუშისებური თვალები მოუჩანდა. თავი ოდნავ ავწიე, რომ კარგად შემეხედა, მაგრამ მაშინვე ბუჩქს ამოეფარა. ჯერ განაბული იყო, მერე ფოთლებშორის, შუქიანებში ჩრდილმა ნელ-ნელა ბუჩქის მარჯვნივ გადაინაცვლა. ლანდის მიხედვით სიმაღლე გავივარაუდე. ისევ გაიცქნაფა, ეტყობოდა ახლა იმ მხრიდან აპირებდა გამოხედვას. სახე ისე დავიჭირე, თითქოს მდინარის ალმა ვიყურებოდი. დავაცადე და როგორც კი თავი გამოყო, უცბათ მივიხედე და თითი დავუქნიე — აქ მოდი-მეთქი. ის მაშინვე დაიმალა. წიგნს ჩავაკვირდი, თან გულისყური ღობისკენ მქონდა. რაკი აღარ მივხედე, თვალმოუცილებლად მომჩერებოდა. ჩემი გახედვა რომ მოვანატრე, თავი ავწიე და დაველმიჯე. მყისიერად მოვკარი თვალი, მაგრამ შევამჩნიე გაეცინა. თვითონ მოვა-მეთქი — გავიფიქრე გუნებაში, ვითომ აღარც მახსოვდა, ბუერის ფოთლით წყალი მოვიტანე, ავაწოწოლებდი სილას, ჩავუბრუნებდი წვეროს, ჩავასხამდი შიგ ცოტაოდენ წყალს, შეშრებოდა, შემოვაცლიდი გარშემო მშრალ სილას და სველ ჯამს გვერდზე გადავდგამდი. გადადგმისას ზოგჯერ ჯამი მემტვრეოდა. დავავლებდი ხელს ნამტვრევებს და გაბრაზებულ მეთუნესავით დავახეთქებდი გვერდზე. თუ ჯამი ნამეტანი სქელი გამოვიდოდა — იმასაც დავამსხვრევდი. ერთი სიტყვით, დიდ საქმიანობაში ვიყავი. ვეზიდებოდი წყალს, ვაქუჩებდი სილას. ბოლოს ორი პატარა და სამი მოზრდილი ჯამი მიმდევრობით ჩავამწკრივე, წამოვუწექი და გვერდების მოსუფთავება დავუწყე.

ლანდი ღობეს დაუყვა. ვენახის კუთხეში მეჩხერი მაყვლის ბარდიდან გამოძვრა და ჩემსკენ წამოვიდა. მართლაც გოგონა იყო, ასე ოთხი-ხუთი წლისა იქნებოდა. გრძელი კაბა მუხლებს უფარავდა. ხელიხელჩაკიდებულ თოჯინას მოათრევდა, მოკლე-მოკლე ნაბიჯების ფაცფაცით გამოგვალულ ყამირს მოამტვერებდა. აი, მომიახლოვდა, ხან ჯამებს უყურებდა, ხან მე. შემოვიდა ჩრდილში და ათიოდე ნაბიჯის მოშორებით გაჩერდა. ვითომც არაფერი, ბუერის ფოთოლი ავიღე და წყალი მოვიტანე.

გოგონა დაცეცებული მიყურებდა, შიშიანად. წყალი ფოსოებს მოვაწკაპწკაპე, დანარჩენი ამოღრმავებულში ჩავდგი. თვალებში რომ ჩავხედე, შიში მაშინ უფრო დაეტყო, გაქცევა დააპირა. ჯამის ძირებს მშრალი ლამი შემოვაცალე, ისევ შევხედე და შენ მანანა გქვია-მეთქი — ვუთხარი ხმადაბლა. ხელი შუბლზე გადაისვა, თმები გადაიწია, არ გაუღიმია.

ვიგრძენი ვარაუდი არ გამიმართლდა და თავი რომ მემართლებინა, შენისთანა ლამაზ გოგოს მანანა ან მზია უნდა ერქვას-მეთქი—დავადასტურე. შეთელილი, წაბლისფერი თმა მხრებზე ჩამოშლოდა, დაუდევრად გაკორტნილი წინამო სანდომიან სახეს უუშნოებდა. გამომეტყველება არ შესცვლია. არც ისე იოლი ჩანდა მასთან გაშინაურება. ისე დაკვირვებით შემათვალიერა, გამოგიტყდებით, თავი მემცრო. მეუხერხულა წამოტყლარჭული რომ ვიყავი. მდინარეში ჩავედი, ტანზე აკრული ლამი ჩამოვიბანე და შარვალი ჩავიცვი. თმა დავისველე, თითებით გადავივარცხნე და ჯამების გვერდით ჩამოვჯექი. გოგონა თავჩაღუნული იდგა, თოჯინას დაჰყურებდა.

ჰაერი აღარ იძვროდა, თითქოს უფრო დაცხა. მხოლოდ მდინარის გადაღმა, ატყევებულ ფლატეს სცემდა ნიავი. წნორის მოგრძო ფოთლებს აფარფარებდა, ადგილ-ადგილ აიტაცებდა, გადააბრუნებდა და ვერცხლისფრად აალივლივებდა.

— რა ლამაზი თოჯინა გაქვს, აბა მაჩვენე. — ვცადე გამოლაპარაკება.

გოგონამ ღრმად ჩაისუნთქა, თოჯინა ოდნავ წინ წამოსწია, გაუბედავად მომიახლოვდა და გამომიწოდა. თოჯინა მკლავზე გადავიწვინე.

— რა მშვენიერი თვალები აქვს, იისფერი, — ჩავილაპარაკე და წამწამები ავუწიე.

— იისფერი კი არა, ცისფერი.

—ჰო, ცისფერი... რა კამკამა და უძიროა, მეშინია, შიგ არ ჩავიძირო. — ახლა კი ჩაეღიმა, ოდნავ, ნაღვლიანად.

— თვალებში ჩაძირვა ვის გაუგია. — თქვა ცოტა ხნის შემდეგ.

— მეშინია, მეშინია, ჩავიძირები! — ვითომ შემეშინდა, თოჯინა უკან გავუწოდე.

ახლა კი ხალისიანად გადაიკისკისა. თოჯინას ორივე ხელით მოაწვა ჩემსკენ და მიდი, მიდი ჩაიძირეო, — ისე მითხრა, როგორც უბირ ბავშვს. სახე ისევ მოუსევდიანდა, ხელები ჩამოუშვა და ჩაფიქრდა.

აღარ ვიცოდი რა მეთქვა და სილას დავუწყე განიავება.

— დედამ ახალი თოჯინა უნდა მიყიდოს, — თქვა თვალების კამურით. მარცხენა ხელი მოიშველია, გაფარჩხულ მარჯვენაზე ცერი და ნეკი ჩაკუჭა. — ამდენჯერ რომ დაღამდება და გათენდება, მაშინ უნდა ჩამოვიდეს, — გამომიშვირა სამი თითი.

— მართლა! საიდან უნდა ჩამოვიდეს?

— ქალაქიდან! როგორც კი დროს იხელთებს, მაშინვე ჩვენსკენ გამორბის, ისე მოვენატრებით ხოლმე რო...

— ხშირად ჩამოდის?

თავი დამიქნია. ხელი შუბლზე გადაისვა, მერე გულზე დაიდო.

— ხშირად მოდის ხოლმე, მაგრამ მე ყოველთვის ვერა ვხედავ.

— მაშ რა იცი, რომ მოდის.

— ბებია მეტყვის ხოლმე, მოვიდა და რომ გეძინა ისევ წავიდაო. სულ მპირდება გაგაღვიძებ, როცა მოვაო, მაგრამ არ მაღვიძებს.

— არაფერს დაგიტოვებს ხოლმე, ან კანფეტს, ან რამე საჩუქარს?

— ნწ! — თავი გაიქნია — როცა მნახავს, მაშინ მომცემს ხოლმე.

— ბოლოს როდის ნახე?

— ბოლოს? ბოლოს რვამარტობას, — თავი ჩაღუნა. ფეხებზე დაიხედა. გაცვეთილი ფლოსტებიდან ცერები გამოეყო. საქუსლეები ალბათ უფრო ადრე შემოაცვდა, რაღაც ბლაგვი მჭრელით ჰქონდა შემოღიჯნილი.

— პატარა რომ ვიყავი, ლამაზი კაბა მქონდა, წითელი. — ახლა კი გამიხსნა გულის კარი. — რუჭრუჭები ჰქონდა გულზე, საყელოზე, — ხელი გადაისვა კისერზე, — და აი აქ, — ხელები მუხლებზემოთ მოიტარა, — დიდი რომ გა-



ვიზრდები, ბებიამ უფრო ლამაზი უნდა მიყიდოს. ფეხსაცმელებიც უნდა მიყიდოს, პალტოც, ქუდიც.

— ოჰ, ოჰ, როგორ მოირთვები. მამა არაფერს გიყიდის ხოლმე?

გოგონამ ტიკტიკი შეწყვიტა, თავი გვერდზე გადახარა და საწყალობლად აიზუზა.

— მოგწონს? თუ გინდა, გაჩუქებ! — მივანიშნე ჯამებზე.

გაეღიმა, ჯამებს შემოუარა, შეათვალიერა.

— ქალთამზე! რა იქენ, გოგო, ქალთამზე! — ვენახიდან დედაბრის ძახილი გაისმა.

გოგონა თვალებში მომაჩერდა.

— ქალთამზე! სადა ხარ, ქალთამზე! — ხმას აუწია დედაბერმა, ლობეს მოადგა, თვალებზე ხელი მოიჩრდილა და გამოგვხედა. — რატო მტერი არ მომიკვდება, მანდ სად წასულხარ, გოგო!

შავ კაბასა და თავშალზე მოყვითალო-მომწვანო ფოთლები აჰკვროდა, ეტყობოდა, ლობიოს გლეჯდა.

— ცოტა ხანს ვიქნები, ბებო! — გასძახა გოგონამ და შუბლზე ხელი ისე გადაისვ-გადმოისვა, გეგონება, თვალებში თმები ედებაო.

— ეხლავე აქ მოდი!

ქალთამზემ მხრები უკმაყოფილოდ შეარხია, გაჩქარებული წავიდა, ლობეს მიადგა და ლიჯინი დაიწყო:

— ვიქნები რა, ცოტა ხანს ვიქნები.

დედაბერი ხმას არ იღებდა, მაგრამ მისი ირიბი გამოხედვა ალბათ უარს ნიშნავდა. გოგონა კი ფეხებს აბაკუნებდა და ერთსა და იმავეს იმეორებდა:

— დავრჩები რა, ცოტა ხანს დავრჩები.

— რომელი ხარ, ბიჭო, შვილო, შენს გამრავლებას, წყალში არ ჩავიდეს! — შემომეხვეწა დედაბერი, მერე გოგონას რაღაცა წაუდუდუნა და ვაზებში შეერია. გოგონამ მოირბინა, გახარებული იყო, ჯამებს მიუჯდა, აკვირდებოდა, დროდადრო შემომხედავდა და გაიღიმებდა. ჯამები დამშრალიყო, ბზარები დამჩნეოდა.

— როგორ გააკეთე?

— გინდა გასწავლო?

თვალები გაუბრწყინდა და მინდაო — თავი დამიქნია.

წყალი მოვატანინე, შევაქუჩეთ სილა და კეთება დავიწყეთ. გულდასმით მიყურებდა. ორი ცალი რომ გადავდგით, ახლა შენ თვითონ გააკეთე-მეთქი — გვერდზე მივუჯექი. ერთი ხანობა წყალი ზედმეტი მოსდიოდა, თანაც მხოლოდ შუაგულში ასხამდა, მაგრამ ხელი ჩქარა გაიწაფა, ბოლოს გადადგმა უჭირდა მხოლოდ.

— ხო, წეღან მზია კი არ უნდა მეთქვა, გამახსენდა, შენ გქვია ქალთამზე. ხომ მართალია?

ეშმაკურად ჩაიცინა.

— ბებიამ რო დამიძახა?

ჩემი ჯამები ერთიმეორის მიყოლებით ჩაიშალა.

— ვაი, მე! — შეწუხდა ქალთამზე და ხელები გულზე გადაიჯვარედინა. სასოწარკვეთილმა გამომხედა. ჩქარავე მიეცა იმედი — ნუ გეშინია, მე დაგიმზადებო — გამამხნევა.

— ეგენი ვისებია?

— ეს ბებიასი, — თითი დაადო ყველაზე მოზრდილს. — ეს დედასი. ეს ჩემია. — შემომხედა, — თუ გინდა, შენი იყოს, ჩემთვის სხვას გავაკეთებ.

— კარგი, მე კი დანა-ჩანგალს და კოვზებს დავამზადებ. — ვერხვის გრძელყუნწიანი ფოთლები კოვზის ფორმაზე შემოვჭერი და ჯამებში ჩავალაგე. შუა ძარღვზე ჩაჭრილი წნორის გრძელ-გრძელი ფოთლები ძალიან ჰგავდა მაგიდის დანებს და ამაზე ქალთამზემ ბევრი იცინა. ქონდარას ძირებიდან კი სამთითა ჩანგლები დავამზადეთ. თითები ცოტა გან-განზე ჰქონდა გაშლილი, მაგრამ მაინც კმაყოფილი ვიყავით.

— ქეთეთოს რამდენი სათამაშოები აქვს, — ისე თქვა თითქოს ამოიოხრა, — ჭურჭელიცა აქვს, აკვანი, ლოგინი, ავეჯი, მართალი საკერავი მანქანაც. თოჯინებს თვითონ უკერავს კაბებს.

— ვინ არის ქეთეთო.

— ჩვენს გვერდზე რომ ცხოვრობენ, ხელში არაფერს მაჭერინებს, გუშინ გამომაგდო.

— რად გინდა იმისი დანჯღრეული მანქანა, შენი თოჯინა იმისებს სჯობია, აი, რა ხუჭუჭაა, ლოყებდაბრაწული. — თოჯინა ავიღე, თმები გავუსწორე. ნატანჯი იყო, ბავშვურად გალიპული მუცელი გადაქლეშოდა, გული გაბზაროდა. ქალთამზე ნაღვლიანად მიყურებდა.

— ჯამ-ჭურჭელი ხომ გავაკეთეთ, მერე აკვანიც გავაკეთოთ, მე ავეჯს დავამზადებ, შენ ლოგინი შეკერე.

ქალთამზემ მოიმხიარულა. აღარ იცოდა რა გაეკეთებინა და მუხლზე მუწუკს დაუწყო აციცქვნა.

— რამ გაგიქლიშა,

— მზე დაუბნელდეს გოჩას, წამაქცია.

გამეცინა:

— რადა სწყევლი, ცოდვა არ არის?

იმასაც გაეცინა, მერე ტუჩები წამობურცა და საწყალობლად აწუწუნდა:

— გუშინ კელაანთ თამაზი გამომიდგა, სადაც დაგიჭერ, ცხვირი უნდა გიგალოო.

— ნუ გეშინია, თითსაც ვერ დაგადებს.

ქალთამზეს თვალებში შუქი ჩაუდგა. ვატყობდი, რაღაცის თხოვნა უნდოდა და ვერ გაებედნა. დაალამუნებდა ტუჩებს, ისევ გადაიფიქრებდა, კიდევ და კიდევ. როგორც იქნა გამოპირა:

— თუ გინდა. მაღლა ამახტუნე, მიყვარს მაღლა ახტუნება.

— ება, როგორ?

— ქეთეთოს რომ ახტუნებს ხოლმე თავისი მამა, ისე.

მივხვდი, რაც უნდოდა. წამოვდექი, ხელები იღლიებქვეშ ამოვდე და მაღლა შევისროლე. შიშისაგან თვალები დააჭყიტა, დაფეთებული მკლავებში ჩამაფრინდა. უყვარდა კი არა, ეტყობოდა, ეს მისთვის ახალი ხილი იყო. ერთიანად დაიძაბა, ფეხებს განზე შლიდა, ფერი წაუვიდა, თუმცა იხტიბარს არ იტეხდა, კიდევ, კიდევო — მეხვეწებოდა. ხელს აღარ ვუშვებდი, ჩემ სიმაღლემდე ავიქნევდი და დავუშვებდი, ავიქნევდი და დავუშვებდი. მკლავებზე მებღაუჭებოდა და მოგონილი მხიარულებით ჭახჭახებდა. გვიან იჯერა გული. მიწაზე რომ დადგა, ფერი დაუბრუნდა, ბედნიერი ღიმილით შემომცეცინებდა. მიყურა, მიყურა და ხელები გამომიწოდა.

— დამატრიალე რა, დატრიალებაც მიყვარს.

მაჯებში ჩავავლე ხელები და დავატრიალე. წვრილი ფეხები ყანჩასავით გაიშვირა, კაბა ფარფარებდა, ხან გაიბერებოდა, ხან ზედ შემოეტმასნებოდა. შიში თანდათან დაძლია, გულიანად კისკისებდა და სწრაფად, სწრაფადო — მაქეზებდა. სწრაფად დავატრიალე. ამოიკასკასა, მაგრამ ეს შეკივლებას უფრო ჰგავდა. სწრაფადო — მაინც იძახდა. მოვუმატე სიჩქარეს, ფეხსაცმელები გასძვრა, ტყაპა-ტყუპით გაიფანტა. მოკრიბე-მეთქი — დავსვი. არა, დამატრიალე, გეხვეწებიო — ისევ შემომეტოტა. მეც ვატრიალე და ვატრიალე. ხან ცალ ხელს გავუშვებდი, მაშინ კი შეცბებოდა. მერე ისევ ჩავავლებდი, დავუშვებდა დაბლა, ტერფებს ბალახებზე გავასმევინებდი, მერე ზევით, თავზევით მოვიტარებდი. შეიჭიხჭიხებდა, სიცილით იგუდებოდა. ბოლოს გაიტრუნა, რომ დავსვი, ფეხზე დგომა უჭირდა, თავბრუ ეხვეოდა, ხელებგაშლილი რაცრაცებდა და უნდილად იღიმებოდა.

დედაბერმა ერთი იღლია ლობიოს კაჭაჭი ვენახის ბოლოში დაყარა და ეჭვიანად გამოგვხედა. გვიყურა, გვიყურა და ისევ ვენახში შებრუნდა.

— ვაიმე, თვალები მიჭრელდება. — ამოიწრუკუნა ქალთამზემ, თავის უმწეობაზე თვითონვე ეცინებოდა. გრძელი კაბით, სუსტი ფეხებით, უსუსურად რომ აფაცფაცებდა და უმანკო სიცილით, ერთდროულად სასაცილოც იყო, საბრალოც და საყვარელიც. რაკი ნახა, მეც მეცინებოდა, განგებ უფრო მოუმატა რაცრაცს. სიცილით გული რომ ვიჯერეთ, მდინარესთან მივიყვანე და სახეზე წყალი შევასხი. სიგრილე ეამა, თავბრუსხვევა მიუნელდა და გახალისდა. ჩადგა შიგ, დაიწყო ჭყუმპალაობა, ეშმაკურად აკუჭკუჭდა და მეც შემომასხა. გავაჩაღეთ წუწაობა, ჯერ არ მეპუებოდა, კაბა რომ ჩამრელუმპა, მაშინ გამექცა. შორიახლოდან მითვალთვალებდა, ცდილობდა მომპარვოდა და გავეწუწე. ვითომ ვერ ვხედავდი, ხან გვერდზე ვიყურებოდი, ხან რომელიმე ქვას ამოვიღებდი ნიშანში და კენჭებს ვესროდი. მომეპარებოდა, მომეპარებოდა და როგორც კი დაეწოდებოდა წყალს, დავასწრებდი და მუჭით შევასხამდი სახეზე. აკისკისდებოდა, გამექცეოდა და ისევ დაიწყებდა მალულაობას.

თვითონ რომ უნდოდა, ისე ვერ ავუბი მხარი. რაღაც მაწუხებდა, გუნება წამიხდა. რიყეზე ჩამოვჯექი, მუშტა ქვა ავიღე და ჩაფიქრებული რატომღაც ლოდზე ვაკაკუნებდი. ქალთამზემ წყალთან მიირბინა. პეშვით ამოიღო, მაგრამ შემომხედა თუ არა, მომცინარე სახე დაენისლა. პეშვი გამოწვდილი დარჩა. წყალი წურწურით ეღვრებოდა.

— მოდი ჩემთან.

— ვერაო! — სცადა მომხიარულება. ნაბიჯი უკან გადადგა, ვითომ უნდა გამქცეოდა.

— მოდი, რაღაც უნდა გითხრა.

უჭვიანად დამაცქერდა. გადმოდგამდა ორ-სამ ნაბიჯს და გაჩერდებოდა; გამოივლიდა—გაჩერდებოდა. ეშმაკურად იღიმებოდა, ალბათ ეგონა მოტყუება მინდოდა. მერე თავისი ჟუჟუნა ჭკვიანი თვალებით ჩამაცქერდა და დანდობილად მომიახლოვდა.

— ბებია რას იტყვის ხოლმე მამაშენზე? — ვეღარ მოვითმინე.

თვალები ჩაებინდა, ხელები თვინიერად ჩამოუშვა.

— ესე იტყვის ხოლმე, — დაფიქრდა. — ესე იტყვის ხოლმე, — მზე დაუბნელდეს შენი და დედაშენის გაუბედურებისათვისო... — კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ დანაშაულზე წასწრებულივით გაეღიმა და აგერო — შემცბარმა ხელი ვენახისკენ გაიშვირა.

მივიხედე. ვენახების ბოლოში, მაყვლის ბარდთან ორი ბიჭი იდგა. ასე, შვიდი-რვა წლისები იქნებოდნენ, ერთი თავხოტორა იყო, მეორე გაბურძგნული. ჩვენსკენ იყურებოდნენ, თან რაღაცას ჩურჩულებდნენ.

ქალთამზე ერთბაშად დაფაცურდა, წამოკრიფა თოჯინა, ფეხსაცმელები და გაქცევა დააპირა.

— სად მიდიხარ, ჩემთან მოდი! — დავუძახე და წამოვდექი.

გაჩერდა, მაგრამ უნდოდ — ხან მე შემომხედავდა ხან ბიჭებს გახედავდა. ვერ გადაეწყვიტა, მოეკურცხლა თუ დარჩენილიყო. ბიჭებიც ჭოჭმანობდნენ, ეტყობოდათ, საბანაოდ მოდიოდნენ, ვეღარც მორევთან მოსვლას ბედავდნენ და არც უკან გაბრუნება უნდოდათ.

— ვინ არიან? — ვკითხე ქალთამზეს.

პასუხი არ გამცა. თვალებდაძძებული მისჩერებოდა ბიჭებს, წარბებზემოთ წარამარა გადაისვ-გადმოისვამდა ხელს. მგონი ვერც გაიგო, რა ვკითხე.

ბიჭები გაბრუნდნენ, ბარდს შემოუარეს და მდინარეს აუყვნენ ზემოთ. მოსახვევთან ფონი მოათვალიერეს, გატოპეს და ტყიან ფერდზე აცოცდნენ!

— გოჩა და თამაზი არიან? — მხარზე ხელი დავადე ქალთამზეს. თავი დამიქნია, თან ტყიანს თვალს არ აშორებდა. მოგვიანებით ბიჭები მორევის გაღმა, კბოდეს თავზე გადმოდგნენ. ისევ გვითვალთვალებდნენ.

— ნუ უყურებ, — ვუთხარი ქალთამზეს და შემოვატრიალე, — წამოდი, ჩვენი ჭურჭელი ვნახოთ.

მორჩილად წამომყვა. მის ჯამებსაც ბზარები გასჩენოდა, კოვზები დააფრაკებულიყო. ვიდექით, დავყურებდით. ახლის გაკეთების ხალისიც აღარ იყო.

— ქალთამზე! — ღობეს დედაბერი მოადგა. — წამოდი, გეყოფა! — თითქოს არ გაგვეგოს, ისევ მდუმარედ ვიდექით.

— წამოეთრიე! დაყრუვდი, გოგო! წამოდი, წამოეთრიე!

ქალთამზემ ფეხები დააბრაცუნა, მაგრამ უარის თქმა ვეღარ გაბედა, ზლაზვნით გაიარა კორდი და ღობეში შეძვრა.

ბიჭები თავთხელში წუმპლაობდნენ, მერე ნაპირზე გამოვიდნენ, ერთიმეორეს სილით ბუმბლავდნენ, რომ ჩაწყნარდნენ, დავუძახე აქ მოდით-მეთქი. არ მოვიდნენ. ისევ წყალგაღმა გავიდნენ და ფლატეს ძირში, რიყეზე წამოგორდნენ.

უკნიდან ჩქამი რამ მომესმა, მივიხედე. ქალთამზე თავის ფლარტებს მოაფლასუნებდა, შორიდანვე მომიღიმილა, თან ცრემლიან ლაწვებს მაჯით იმშრალებდა.

— გამოეპარე?

არაო, თავი გამიქნია, წინ დამიდგა, დროდადრო ბიჭებს გახედავდა.

— თქვენ მოუკვდით დედათქვენს! — წაიბუზღუნა გაბრაზებულმა.

ბიჭები კბოდეზე აცოცდნენ, ჩაჭრილ საფეხურებს აუყვნენ, წყალზემოთ თითქმის ორი მეტრის სიმაღლეზე ვიწრო ბაქანზე ავიდნენ და თავდაყირა მორევში გადმოეშვნენ.

ქალთამზე შეშფოთდა, დაძაბული უყურებდა.

— ე! ბალღო, ტრიელმა არ ჩაგითრიოთ, თორემ... — წაიბუტბუტა თავისკანტურით. მერე მე შემომხედა და ხმამაღლა გაიმეორა:

— ბალღო, ტრიელმა არ ჩაგითრიოთ, თორემ! დაგაღრჩობთ, განა... — ჩქარ-ჩქარა აისვამდა შუბლზე ხელს და თმას ჯერ მარჯვნივ გადაიწევდა, მერე მარცხნივ, სანამ შეაჭრიდნენ, ალბათ თვალებში ეფხატებოდა ხოლმე წინამო. ბიჭები ისე არხეინად ყურყუმელაობდნენ მორევის ქვემოწელში, ეტყობოდა გაფრთხილება არა სჭირდებოდათ. ბანაობით გული რომ იჯერეს, კბოდის თავზე ავიდნენ, ჩაიცვეს მოკლე შარვლები, მოკლესახელოებიანი პერანგები და წავიდნენ. სანამ მიეფარებოდნენ, დადგნენ და გამოგვხედეს. იღრიჭებოდნენ. ჩქარ-ჩქარა ხელს წაჰკრავდნენ ერთმანეთს და ფრუტუნებდნენ. თავხოტორამ ჯერ გაუბედავად მუშტი მოგვიღერა, მერე თითები გაფარჩხა, ცერი ცხვირზე მიიდო, დაგვეღმანჭა და მოკურცხლა. ბურძგლაც მიჰყვა. საიდანაც გამოჩნდნენ, იქვე მიიმალნენ ტყიანში. გამეცინა. უნდა მომეყვანა-მეთქი — სინანულით გავიფიქრე გუნებაში.

ქალთამზესაც გაეღიმა. კარგა ხანს უბრად ვიყავით. ორთავეს გუნება წაგვიხდა და აღარ ვიცოდით რა გვეთქვა, გადაიწევდა წინამოს, შემომხედავდა და ისევ დაიმორცხვებდა, მერე მომიახლოვდა და პატარა ხელი ლოყაზე მომადო.

— გინდა გაგახარო? — ეს მუდარა უფრო იყო.

— მინდა, მაშ არ მინდა!

— ადექი.

ავდექი, ხელები გამაშლევინა, თვითონ უკან-უკან წავიდა, ათი-თორმეტი ნაბიჯის მოშორებით გაჩერდა. გაშალა ხელები და დამაცქერდა. დამაცქერდა გულთამხილველივით. ვგრძნობდი, სულში როგორ მეფოფინებოდა მისი თვალთა სხივი.

— ჩქარა, თორემ დავიღალე, — ხელები ოდნავ დავუშვი.

გამოერკვა, თვალები აუციმციმდა, გამოიქცა, მაგრამ გამბედაობა ბოლომდე არ ეყო. ახლოს რომ მოვიდა, ხელები ჩამოუშვა და სახენაღვლიანი დამიდგა წინ. ხელი მოვხვიე. მაშინ კი გათამამდა, კისერზე შემომეჭდო. ჩამეკრა. ჩიტივით უფართხალებდა გული. მეხუტებოდა, თან თავისთვის რაღაცას ჩურჩულებდა. მერე ყურთან მომიტანა ტუჩები და შემომენუკვა:

— არ წახვიდე რა, გეხვეწები, აქ იყავი და გაგახარებ ხოლმე!

# ლექსები

## ნოდარ შამანაძე

### რაღა გითხრა

სიკვდილი გაზაფხულზე სჯობს.
გიორგი შატბერაშვილი

რა რას სჯობდა,
სჯობდა ვინ ვის,
შენ არ გესწავლებოდა;
შენს ტკბილ სიტყვას,
შენს ძუნწ ღიმილს
სიბრძნის შუქი შვენოდა.
ჰოდა, მიკვირს,
ძლიერ მიკვირს,
ეს რა გიბრძანებია:
გაზაფხულზე?..
მზე რომ ღვივის
და ცივ ქვასაც ფრთები აქვს!..
ყველაფერი სულს რომ ითქვამს,
ყველას გაღიმებია!..
გაზაფხულზე?..
ეს რა გითქვამს,
ეს რა გიბრძანებია?!
მაგრამ... ვაი, რაღა გითხრა,
თვითონ გერგო ავბედი:
გაზაფხულზე, გაზაფხულზე
გაზაფხულზე წახვედი!..

### მშობლიური მთები

მზე რომ დილით შემომიღებს
სარკმელს,
შუქში თითქოს მოცურავენ მთები,
ცელქი სიო ციურ სურნელს მაკმევს
და იმდაგვარ გუნებაზე ვდგები,
მინდა იმ მთებს შევხვდე ხელის
გაშლით
და სიცოცხლე მათთან გავათავო,
ვით ლამაზი,
თმახუჭუჭა ბავშვი,
ჩავიკონო გულში სათითაოდ.

### გვიან გავიგე

ქალმა ლამაზმა იმედი
ლოდინში დამალევინა,
ღვინოს დამპირდა ზედაშეს,
წყალიც არ დამალევინა,
ძალიან ბევრი ეცადა,
სული ვერ დამალევინა,
ვაიმე, გვიან გავიგე,
იგი ვინა და მე ვინა?!

## გიორგი შეთეკაური

### სიმაღლე და სინათლე

ჩამოიხია მხრებზე ნისლები,
წამოიწია მთა ვაჟკაცურად
და მზემ სხივებში
სითბო გასწურა,
დაფრთხნენ ხეები
როგორც ციცრები;
და აჰა, ცაში
გაისარკა უცებ სილაღე,
საცაა სულში
ალტაცება დაიბინადრებს
და ყველაფერი, ყველაფერი
ელტვის სიმაღლეს
და ყველაფერი, ყველაფერი
ეტრფის სინათლეს!

□

ჩემს სოფელს

ჟამიჟამ ისევ ვისწრაფვი შენსკენ
და გიბრუნდები ღამით თუ დღისით,
როგორც წამიწამ არსობის მექვლეს
გულს უბრუნდება სხეულში სისხლი.

და ჩემი მზერა გვერდს ვერ აუვლის
შენს მზეს თუ არა საამო ტკენით...
— თვალების ჩემის დღესასწაული
არის ყოველი დანახვა შენი!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერგეი ბარუზდინი

ნოველა

# გადამდგარი კაპიტანი

ბალტიის ცივ ზღვას ნისლი ეფინა, უცნაური ნისლი თითქმის ზედ წყალსა და სანაპიროს ნაძვნარზე ჩამოწოლილიყო. ზევით კი ნათელი იდგა, ცას თვალშეუვალს ზედ ჰქონდა ... თვითმფრინავები — სატრანსპორტო, სამგზავრო და სამხედრო, კოსმოსურ შორეულ სივრცეში უცნაურ ხაზებს რომ ავლებდა.

კალენდრის მიხედვით ზამთარი იდგა; ამინდი კი არ იყო ზამთრის; თბილოდა; ჯერ კიდევ სიმწვანე მეფობდა. მამაკაცებს კეპი ეხურათ, ზოგი სულ თავშიშველი იყო.

ზღვის ნაპირი გაიყინა, მაგრამ მალე გალღვა, ზამთრის კარიბჭეში თითქოს უკვე ფეხშედგმული ზღვა უკან გამობრუნდა.

ხვავრიელი, სუფთა თოვლი დადო, ისიც მალე გადნა. ფრინველები ხეებსა და სახლების ფანჯრებთან იროდნენ, ზღარბები ხმელ ფოთლებს აშრიალებდნენ. შალშემოხვეული პენსიონერი ქალები ბაზარზე სოკოს ჰყიდდნენ, გროვა-გროვა ეწყოთ დახლზე ერთიმეორეზე უკეთესი სოკო; გროვა მანეთი ღირდა.

ქალაქს ისე ვერ გაიცნობ, ბაზარზე თუ არ გახვედი.

იმ დღეს ბაზარი თითქმის ცარიელი იყო და იმ თითო-ოროლა გამყიდველში ერთ უჩვეულო წყვილს მოვკარი თვალი — ქალი და ბიჭი, ალბათ დედა-შვილი იყვნენ.

ბიჭს რცხვენოდა სოკოს გაყიდვა. თოთხმეტ-თხუთმეტი წლისა იქნებოდა. დედასაც ეუხერხულებოდა. ბიჭი დედას ეკვროდა, დედაც მალვით ეფერებოდა შვილს.

ჩინებული სოკო ჰქონდათ დედა-შვილს — დათვის სოკო, თეთრი, მკვრივი, სათითაოდ გადარჩეული.

სოკოს ყიდვას არ ვაპირებდი, კერძს ვერსად გავაკეთებდი, მაგრამ იმ უჩვეულო წყვილისაგან მაინც ვიყიდე მთლიანად, რაც კი გამოტანილი ჰქონდათ.

დედამ და ბიჭმა უფრო დაიმორცხვეს, მადლობის ნიშნად რაღაც ჩაილაპარაკეს.

— სულ ამის მოკრეფილია, — სიამაყით თქვა დედამ შვილზე, — სამი დღეა უთენია მიდის, სკოლაშიც არ ჩამორჩა. მე სოკოს საკრეფად არ მცალია.

ქალი ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო.

— არ იფიქროთ, რომ ჩვენ... — დაიწყო ბიჭმა, — ფული გვჭირდება. მამას სიგარეტები უნდა ვუყიდოთ. საერთოდ, შეიძლება მამა მალე გამოწერონ. კარგი სოკოა, სათითაოდ გამოვარჩიე.

ეტყობოდათ, თვითონაც უყვარდათ სოკო, მაგრამ არ ჭამდნენ, გასაყიდად ინახავდნენ.

* * *

— ექიმო, როგორაა ჩემი საქმე?!

ვიქტორ პეტროვიჩმა იცოდა, რომ მისი მდგომარეობით ექიმი კმაყოფილი იყო, მაგრამ ვაი თუ... ვინ იცის, უცებ ცუდად გახდეს. რამდენჯერმე შემოუტია. ექიმებიც იცვლებოდნენ, კვდებოდნენ, ახლები მოდიოდნენ, ჰპირდებოდნენ, მერე კი ისევ...

— ვიქტორ პეტროვიჩ, ძვირფასო, დამიჯერეთ, არ გატყუებთ, ყველაფერი კარგად მიდის, — უთხრა ექიმმა, — თქვენი ცოლ-შვილი რომ მოვა, ჩემი მდაბალი სალამი გადაეცით, დიდებული, საოცარი ოჯახი გაქვთ! მადლობა უთხარით მათ. თამბაქო კი, გირჩევთ ცოტა მოწიოთ. პალატაშიც ლამლამობით... შევთანხმდით?

— მე კი [illegible] სიგარეტები შემოუტანეთ ჩემებს, სამი ბლოკი, — გამოუტყდა ექიმს ვიქტორ პეტროვიჩი.

— არა უშავს რა, ჩამოვიდნენ, ხშირ-ხშირად ჩამოვიდნენ! — გაეღიმა ექიმს.

* * *

რა ახსოვდა ვიქტორ პეტროვიჩს?

ვიქტორ პეტროვიჩს ყველაფერი ახსოვდა, ოღონდ დროდადრო. თითქოს სხვადასხვა დროს წაკითხული ერთი წიგნიდან ადგილებს იხსენებდა წლების მანძილზე ეკითხებოდნენ:

— ეს გახსოვთ?

— ის გახსოვთ?

— ყოჩაღ, გხსომებიათ!

ახსოვდა, ზუსტად იცოდა, რა იყო უწინ, დიდი, დიდი ხნის წინათ: საარტილერიო სპეციალური სკოლა მოსკოვში. მეცხრე კლასი. ომი, ნოვოსოკოლნიკი. თუმცა, იქნებ ახლა ნოვო სოკოლნიკი ცალ-ცალკე იწერება, ოღონდ მოსკოვთან, მოსკოვის სოკოლნიკებთან არაფერი ჰქონდა საერთო, ნოვოსოკოლნიკი ველიკი ლუკთან. დაზვერვა რთული საქმეა, საბრძოლო დაზვერვა კიდევ უფრო რთული. ყველაფერი კარგად მიდიოდა. მოსკოვის მისადგომებთან ჯოჯოხეთი ტრიალებდა, მაგრამ მერე გერმანელებს მაგრად დასცხეს. მაშინ უცებ მიიღო უფროსის წოდება; დიახ, უფროსი ლეიტენანტის წოდება. სწორედ იმ ხანებში შეხვდა ჟენიას, იგი კონცლაგერიდან გაანთავისუფლეს. საზარელი ბანაკი იყო. გერმანელები თავის ქვეყანაში მიერეკებოდნენ უკრაინელ, რუს, ლატვიელ, ბელორუს, მოკლედ, ჩვენს ქალიშვილებს. ტყვეები გაანთავისუფლეს. იქ იყო ჟენია და ისინი შეუღლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახსენება

# ცოტა რამ იეთიმ გურჯზე

ცნობილია, რომ საქართველოს აშუღთა უკანასკნელი მოჰიკანი — იეთიმ გურჯი „ცივ ზამთარში“ თუ პაპანაქება სიცხეში თბილისის ქუჩებში კარდაკარ დაეხეტებოდა და ხან ვისთან ათენებდა და ხან ვისთან. საკუთარი ბინა არასოდეს ჰქონია.

მე იმ უბანში ალვიზარდე, სადაც იეთიმ გურჯმა გაატარა თავისი ცხოვრება. იგი მეგობრობდა ჩემს უფროს ძმასთან ვასილთან და ჩვენი ოჯახის ხშირი სტუმარი იყო. ღამეც გაუთევვია ჩვენთან (მისი ჩეჩუნჩის ახალუხი ხშირად გაურეცხავს დედაჩემს). მასთან ერთად მოდიოდა ხოლმე მისი მოწაფე იეთიმ გარსუა.

იეთიმთან საუბარი მეტად საინტერესო იყო. ჩვენ მაშინ მოსწავლეები ვიყავით. მივჯდებოდით ოთახის ერთ კუნჭულში და ვუსმენდით მის მოგონებებს (თუ როგორ აafrიალა 1905 წელს წითელი დროშა წარწერით — „მიხარია, არ კი მჯერა“, როგორ გაატარა მთელი 12 წელი გადასახლებაში და როგორ ჩამოვიდა თბილისში...) ყველა მის მოგონებაში იგრძნობოდა ადამიანისადმი სიყვარული, მეგობრობა; სძულდა გაუტანლობა, პირის გამტეხი, ორპირი, გაიძვერა, სამშობლოსა თუ ოჯახის მოღალატე ადამიანი.

გარდა მცირეოდენი ჰონორარისა, ხელფასი მას არსად აუღია და არც უმუშავნია სადმე, ამიტომ სულ უფულოდ იყო. ხანდახან თუ მეზურნე-მედოლეები შეეწეოდნენ — ტანსაცმელს შეუკერავდნენ ან ვინმეს გარდაეცვლებოდა ხოლმე ოჯახის წევრი, დაუწერდა ლექსს, ისინი ამ ლექსს ქვაზე წააწერდნენ, ან მის ლექსებს მღეროდნენ და ცოტა გასამრჯელოს თუ მისცემდნენ (ისე ჩუმად ჩაუდებდნენ ჯიბეში, რომ არ ეგრძნობინებინათ მისთვის, რადგან იცოდნენ, რომ იეთიმი ამის კაცი არ იყო და დიდად სწყინდა, რომ ასეთ საქმეზე ამკარა ვაჭრობას დაუწყებდნენ ხოლმე). სადაც წავიდოდა რამის საყიდლად, ვინც იცნობდა, ფულს არაფერში ართმევდა. ეტყოდნენ: შენზედ იყოს, იეთიმ, არ დაგვეკარგება, როცა გქონდეს, მაშინ მოგვიტანეო. ლექსი „დიდ სიმდიდრეს „დავერია“ სჯობია“, საკუთარ თავზე ჰქონდა დაწერილი.

იგი იყო ერთობ ოხუნჯი და ნათელი პიროვნება. სულ იმას ცდილობდა, ადამიანისათვის ესიამოვნებინა, ვინ იცის მისი რამდენი ექსპრომტია დაკარგული.

ფიროსმანივით მასაც გულშემატკივარი მიკიტნები ჰყავდა ხოლმე „შაითან ბაზარში“, ავლაბარსა თუ ვერაზე.

ერთ-ერთი ასეთი მიკიტანი იყო „ბოხკა“ (ბოხკა სომხურად ბოლოკს ნიშნავს) სანდრო ბაინდუროვი. სამიკიტნო ჰქონდა „შაითან ბაზრის“ ცენტრში (ამჟამად გორგასალის მოედანი № 1) წმინდა გიორგის ეკლესიის ქვეშ (სადაც საიათნოვაა დასაფლავებული), იეთიმს აქვე მიჩენილი ჰქონდა ერთი კუთხე და ღამეებს იქ ათენებდა, მართალია ბინაზე ჩაწერილი იყო ავლაბარში, ყოფილ ლაზაროვის (ამჟამად მესხიშვილის) ქუჩა № 14-ში, სადაც პირველ სართულზე ერთი 6 კვ. მეტრი სარდაფის მსგავსი ოთახი ჰქონდა, ხის ტახტით, ორი სკამითა და პატარა მაგიდით, მაგრამ იქ იშვიათად ათენებდა თურმე ღამეებს.

როგორც ამ სახლის პატრონმა გადმომცა (იგი დღესაც ცოცხალია) იეთიმის „სასახლის“ ხშირი სტუმარი ყოფილა ბეჩარა ვასუა, იოსებ გრიშაშვილი, იეთიმ გარსუა და გალაკტიონ ტაბიძე.

1935 წელს „ბოხკას“ იეთიმისათვის უთქვამს: ჩემი შვილი ნიკოლოზი ჯარში წაიყვანეს; მისი პატარა ოთახი (5 კვ. მეტრი) თავისუფალია და გა-

დნენ. ჟენია ზურგში დარჩა, თვითონ კი უნდა ეომნა.

კენიგსბერგში მესამედ დაიჭრა. ახლა უკვე თავში და გამოკეთების შემდეგ ჟენიასთან დაბრუნდა. ბედნიერები იყვნენ. ახსოვს, როგორ უთხრა ჟენიას: „თადარიგის კაპიტანი ვიქტორ პეტრეს ძე ოლიაგინი თქვენს განკარგულებაში გამოცხადდა!“ ახსოვს, როგორ კოცნიდნენ ერთმანეთს, როგორ უჭირდათ ცხოვრება, მაგრამ მაინც ბედნიერები იყვნენ. იყო გამარჯვების ბედნიერებაც. ასე გაგრძელდა მრავალი წელი და მერე, როცა ვაჟი შეეძინათ და სიხარულით ცას ეწიენ, რომ ქვეყნად გაჩნდა მათ მიერ შექმნილი პატარა ადამიანი, მხოლოდ იმაზეღა ფიქრობდნენ, როგორ გამოეზარდათ იგი, კაცი გამოეყვანათ.

მერე კი გონების დაბნელება — სრული დაბნელება.

ვიქტორ პეტროვიჩს ახსოვდა, ვიდრე მეხსიერებას დაკარგავდა, როგორ დადიოდა პიატიგორსკში ცოლთან ერთად, როგორ ისვენებდნენ, მკურნალობდნენ. მაშუკზეც მიდიოდნენ, სადაც ლერმონტოვი მოჰკლეს. და იქ, პიატიგორსკში ნახეს ტრამვაი უცნაური მარშრუტით: ვაგზალი — უფსკრული.

აი, მასაც გაუჩნდა ბნელი უფსკრული გონებაში; ომი-სიბნელე, ბედნიერება-სიბნელე, ოჯახი-სიბნელე.

და აქ, ამ საავადმყოფოში, თუ ომის ინვალიდთა სახლში (ზოგი საავადმყოფოს უძახდა, ზოგი ინვალიდთა სახლს) იგი დიდი ხანია ცხოვრობს. ძველმა ავადმყოფებმა, ვინც მასავით დიდი ხანი გაატარა იქ, „პროფესორი“ შეარქვეს. ზოგიერთ მათგანს უფრო მძიმე დაავადება ჰქონდა... უფრო საშინელი ჭრილობები.

„პროფესორი“ იმიტომ შეარქვეს, რომ თმა გაუთეთრდა, გაჭაღარავდა ორმოცდარვა წლის კაცი. ორმოცდახუთში ომი რომ დამთავრდა, ჭაღარა არ ერია. რამდენი წლის იყო მაშინ? ოცდაოთხის? იყო კიდევ ომში მიღებული ჭრილობები, მაგრამ ჯერ თავს არ ახსენებდნენ. როცა ვაჟიშვილი შეეძინათ, მაშინ ძალიან კარგად ახსოვს, ოცდათექვსმეტი წლისა იყო და, რა თქმა უნდა, თეთრი არ ერია. აქ გათეთრდა, ამ სახლში, მაგრამ უცებ კი არა, უსაქმობისაგან, როცა ჯერ კიდევ შეეძლო რაღაცის გაკეთება. ახლა კი დიდი ხანია...

ჟენია შვილთან ერთად წლების მანძილზე დადის აქ. მოაქვთ სიგარეტები. სხვა არაფერი ჭირდება.

გამუდმებით შვილზე ფიქრობს, თითქმის უიმისოდ რომ გაიზარდა და უკვე ზედა ტუჩი შეელინდლა. მართალია ექიმი, როცა ეუბნება, იშვიათი ოჯახი გაქვთ, დიდებული ოჯახიო. სხვა ვინმე რომ ჰყოლოდა ცოლად, ვინ იცის, ამდენი წლის მანძილზე რა მოხდებოდა? წელი კი, არც მეტი და არც ნაკლები, ათასი წელი გავიდა. მაგრამ ახლა ამაზე არ ფიქრობს. ჰყავს ჟენია, ჰყავს ვაჟიშვილი, იმათთან უნდა დაბრუნდეს. სხვები ხომ გადიან ამ სახლიდან, აკი ექიმიც ჰპირდება, ამჯერად ყველაფერი კარგად იქნებაო. ყველაფერი... ის არც კი იცნობს „მათ“ — ეს სიტყვა საშინელია მისთვის. არც ის იცის, როგორია მისი ბინა, რომელშიც ჯერ ფეხი არ შეუდგამს.

ვიქტორ პეტროვიჩმა აიღო ქაღალდი, კონვერტი, კალამი და მეზობელი რომ არ შეეწუხებინა, დერეფანში გავიდა. მეზობელი მძიმე ავადმყოფია, ხშირად უაზრო ლაპარაკს იწყებს. რასაკვირველია, ვიქტორ პეტროვიჩიც ოდესღაც ასე უაზროდ ლაპარაკობდა, ახლა ძალიან კარგად ესმის ეს, მაგრამ სწორედ ახლა სულ სხვა რამ უნდა გააკეთოს.

დერეფანში, საორდინატოროს გვერდით წერდა წერილს:

„ჩემო ძვირფასებო, ჩემო საყვარლებო! საშინლად ვიტანჯები, ვიცი, როგორ გიჭირთ ფულის შოვნა იმ სიგარეტებისათვის, ჩემთან რომ მოგაქვთ წლების მანძილზე. ნაწილობრივ ვიცი სხვის ამბავიც. კრეფთ, თვითონ არ ჭამთ, ბაზარში ჰყიდით, რომ რამდენიმე მანეთი იშოვოთ. საკუთარ თავსაც ვლანძღავ. მაგრამ დამიჯერეთ, გამოვსწორდები. ექიმები მპირდებიან ცხოვრებაში დაბრუნებას. დროა! რამდენი წელიწადი გავიდა! კმარა! მე ხომ კაპიტანი ვარ, ან... რა თქმა უნდა, კაპიტანი ვარ! ჩვენ ჯერ კიდევ ვიმსახურებთ, და მე გადამდგარი არა ვარ“.

* * *

სარკმლის მიღმა ჯანღი ბურავდა ზღვასაც და სანაპიროს ნაძვნარსაც, ზევით კი ცა ნათელი იყო, დაფრინავდნენ სატრანსპორტო, სამგზავრო, სამხედრო თვითმფრინავები.

ექიმი სარკმელს მოშორდა და თქვა:

— მეგობრებო, მე იგი მაინც უნდა გავწერო. იტყვით, გონივრული არ იქნებაო. არა, დარწმუნებული ვარ. უნდა მოგახსენოთ, რომ რაც დაემართა ჩვენს „პროფესორს“, როგორც აქ ეძახიან ვიქტორ პეტროვიჩს, არა მარტო მის ბედქვეშ მყოფი ავადმყოფები, არამედ ჩვენი ქალიშვილებიც უმცროსი პერსონალიდან, არ ჩაითვლება უნიკალურ შემთხვევად. ვიქტორ პეტროვიჩმა ჩვენთან თორმეტი წელიწადი გაატარა. მე და თქვენ რაღაცას ვაკეთებდით მისთვის, მაგრამ ჩვენს გარდა მას ცოლ-შვილი ჰყავს. ცოლი ფეიქარია, მთელი ამ ხნის მანძილზე მუშაობდა და ზრდიდა შვილს, ისე გაზარდა ვაჟიშვილი, რომ მამის სიყვარული ჩაუნერგა... მართალია, უჭირდათ... მაგრამ ვიქტორ პეტროვიჩისთვის არასოდეს ავიწყდებოდათ სიგარეტის მოტანა. მაშინ კი, როცა მას... მოკლედ, ცოლ-შვილს არ ვუშვებდი მასთან. მე მგონი ქალს და ბიჭს ჩვენზე მეტი თუ არა, ნაკლები ღვაწლი არ მიუძღვით ვიქტორ პეტროვიჩის გამოკეთებაში...

თარგმნა გრიგოლ ჩიქოვანმა



ბოხკა სანდრო.

დმოდი ჩემთან, მეტეხის შესახვევ № 26-შიო. იეთიმი დათანხმებულა და გადასულა მასთან საცხოვრებლად. 1939 წელს კი როცა ნიკოლოზი ჯარიდან დაბრუნებულა, იეთიმი იძულებული გამხდარა სხვა ბინა ეძებნა.

ამ ბინაში ამჟამად ცხოვრობს „ბოხკას“ შვილი ნიკოლოზი; იგი ბევრს იგონებს იეთიმის ცხოვრება-მოღვაწეობაზე, განსაკუთრებით კი მამამისთან ურთიერთობის შესახებ.

აი, ერთ-ერთი ეპიზოდი: „1920-1921 წლებში მამაჩემს სამიკიტნო ჰქონდა შაითან ბაზარში, მასთან თავს აფარებდა იეთიმ გურჯი, მუშტარი ზღვასავით მოსდიოდა მამაჩემს, რადგან იქ იეთიმ გურჯი ეგულებოდათ. ერთხელ მამაჩემს დიდი ვალი დაედო და სესხად აუღია ვინმე ოჰანეზასაგან, თან სიტყვა მიუცია, სანამ შენს ვალს არ გადავიხდი, წვერს არ მოვიპარსავო. ასეც მოქცეულა. მოუშვია ბერივით წვერი და დადიოდა ასე. ეს ამბავი იეთიმ გურჯს გაულექსავს: „კარგ მეგობარს ცხენი არსად წაექცეს... სირცხვილი მას, ვინც მოვალეს გაექცეს“... მაგრამ რატომღაც არავის შეუტანია ლექსში შემდეგი სტრიქონი და ზეპირად წარმოსთქვა შემდეგი სიტყვები: „ყველა იცნობს ვისაც სწორი თვალი აქვს, „ბოხკა“ სანდროს გულში რაღაც ხალი აქვს. წვერით დადის, რადგან სხვისი ვალი აქვს, არა ფიქრობს დალაქებს რა ბრალი აქვთ. ვალის გადახდამდინა, ყველა შეინახავდეთ, იეთიმ გურჯის ნაწერსა არვინ დამიზრახავდეთ“.

გასულა ხანი, „ბოხკა“ სანდროს ვალი გადაუხდია ოჰანეზასათვის და წვერიც მოუპარსავს. იეთიმ გურჯი ასე გადმოგვცემს ამ ამბავს:

„მიკიტანსა „ბოხკას“ იცნობთ? სუფგეურქის[1] ახლო კარსა, ოჰანეზას ვალი ჰქონდა ტერტერა ბერს დაემსგავსა. აღარც წვერსა იპარსავდა, სანამ გადიხდიდა ვალსა, თქმული სიტყვა შეასრულა, თავის თავი დააფასა. მაშ, მიფრთხილდი ჩემო სანდრო, კარგა მოუარე თავსა... დალაქებო, მოგილოცავთ „ბოხკამ“ წვერი გაიპარსა“.

ცხადია, ეს ერთი ეპიზოდია იმ პირის მოგონებიდან, რომელიც ცოცხალია დღეს და ახლო ურთიერთობა ჰქონდა იეთიმ გურჯთან, ასეთები მრავლად მოიპოვებიან თბილისში და კარგი იქნება, თუ ამ საქმით დაინტერესებული პირები გაამდიდრებენ იეთიმ გურჯის ბიოგრაფიას. ურიგო არ იქნება, თუ მესხიშვილის ქ. №14 და მეტეხის შესახვევ №26-ის კედლებს დაამშვენებდნენ მემორიალური დაფები, სადაც აღნიშნული იქნება, რომ აქ ცხოვრობდა ჩვენი სასიქადულო აშუღი იეთიმ გურჯი.

[1] **წმინდა გიორგი (სომხ.).**

**პროფ. ა. სტეფანიშვილი**



# ძალიან შორს, ბრაზილიაში...

საჭადრაკო ცხოვრების მაჯისცემა, როგორც დედამიწის სუნთქვა, არასოდეს წყდება. ახლა ჭადრაკის სამყაროს ყურადღების ცენტრშია ატლანტიკის ზღვისპირა ქალაქი რიო-დე-ჟანეირო. აქ სექტემბრის დასასრულს იწყება ქალთა და ვაჟთა მსოფლიო პირველობის საზონათშორისო ტურნირები. თითქმის მთელი მსოფლიოს საჭადრაკო ელიტა ესტუმრება ბრაზილიას. მსგავსი ამბავი ამერიკის სამხრეთ კონტინენტზე შემატიანეთ თუ ახსოვთ. 1939 წელს არგენტინაში მოეწყო მსოფლიოს გუნდური პირველობა. მის პარალელურად მოჭადრაკე ქალები მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისათვის იბრძოდნენ.

ბრაზილიელებს უზომოდ უყვართ ბურთი. სამჯერ მოინადირეს ფეხბურთის ქალღმერთ ნიკეს გული, მაგრამ ბრძენთა თამაშსაც დიდ პატივს ცემენ. ამაყობენ ახალგაზრდა დიდოსტატ ჲ. მეკინგით, „ჭადრაკის პელეს" რომ უწოდებენ. სხვა პერსპექტიული ოსტატებიც ჰყავთ. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ ჭადრაკის მესვეურებმა ფიდეს თავიანთი მასპინძლობა შესთავაზეს.

ქალთა საზონათშორისო ტურნირი თავს უყრის ოცდაათზე მეტ მოჭადრაკეს. მათ ექვსი უძლიერესი უნდა გამოავლინონ, რომელნიც 1980 წელს ბრძოლას განაგრძობენ პრეტენდენტთა მატჩებში. აქვე ვიტყვით, რომ ამ მატჩებში ამ რჩეულთ დაემატებიან მსოფლიოს ექსჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი და ა. კუშნირი. პრეტენდენტთა პაექრობაში გამარჯვებული 1981 წლის მატჩში შეხვდება მსოფლიო ჩემპიონ მ. ჩიბურდანიძეს.

მსოფლიო ჩემპიონ ა. კარპოვთან შეხვედრის უფლების მაძიებელმაც იგივე გზა უნდა განვლოს. სამ პრეტენდენტს დაასახელებს რიო-დე-ჟანეიროს, მეორე სამეულს — რიგის საზონათშორისო ტურნირი. ეს ექვსეული ვ. კორჩნოისა და ბ. სპასკისთან ერთად 1980 წელს გაითამაშებს პრეტენდენტთა მატჩებს. ყველას მძლეველი მსოფლიო ჩემპიონის მეტოქედ გამოცხადდება.

ქართველი გულშემატკივრების მღელვარების მიზეზია. ქალთა საზონათშორისო ტურნირში „შესანიშნავი სამეულის" — ნანა ალექსანდრიას, ნინო გურიელისა და ნანა იოსელიანის მონაწილეობა. ამიტომ სიტყვას ქალთა პაექრობაზე გავაგრძელებთ.

ბოლო წლებში დიდად გაითქვეს სახელი ქართველმა მოჭადრაკეებმა. ის ამბავი, რომ 1975 წლიდან ჭადრაკის დედოფლის ტახტის ბედი ჩვენს დიდოსტატებს შორის წყდება, ცოტას როდი ნიშნავს. არც ისაა პატარა ამბავი, რომ ახალ პრეტენდენტთა უფლებისათვის ბრძოლაში მეწინავენი ისევ ჩვენი თანამემამულენი არიან.

რიო-დე-ჟანეიროში ქართველ მოჭადრაკეებს ძლიერი და გამოცდილი მეტოქენი ჰყავთ. პირველ ყოვლისა, ესენია საბჭოთა დიდოსტატები ე. ფატალიბეკოვა, ე. ახმილოვსკაია, ვ. კოზლოვსკაია, ტ. ზატულოვსკაია, ი. ლევიტინა, მ. ლიტინსკაია, ბულგარელი ტ. ლემაჩკო, უნგრელები მ. ივანკა და ჟ. ვერეცი-პეტრონიჩი, ჰოლანდიელი ა. ნიკოლაუ და სხვები.

ნანა ალექსანდრიას წარმატებით უბრძოლია მათთან. ბევრჯერ დაუმარცხებია კიდეც. ნინო გურიელსა და ნანა იოსელიანს ნაკლები გამოცდილება აქვთ, თუმცა ტოლს არავის დაუდებენ.

ეს ორი წელია ნანა ალექსანდრია თვალსაჩინო წარმატებებს აღწევს. წლეულს მან გაიმარჯვა ბელგრადის და ნოვი-სადის ქალთა საერთაშორისო ტურნირებში. პარტია არ წაუგია, პირველში კი გაუსწრო თვით მსოფლიო ჩემპიონს. სპეციალისტები ფიქრობენ, რომ ნანა ალექსანდრიას სპორტულ ცხოვრებაში ახალი აღმავლობა დაიწყო.

17 წლის ნინო გურიელი პირველად სცდის თავს სახელგანთქმულ დიდოსტატებთან. მაგრამ ყმაწვილი ქალი თამამი, რაინდული სულის მებრძოლია. მას არ აშინებს ტიტულები, მეტოქეთა წარსული დამსახურება. მზადაა ყველას ღირსეულად დაუხვდეს. ნინოს საკუთარი შესაძლებლობის ღრმა რწმენა აქვს. სწორედ ამაზე მეტყველებს საბჭოთა მოჭადრაკეთა ზონალური ტურნირისა და ბიდგოშჩის ქალთა საერთაშორისო ტურნირის შედეგები. თბილისელმა სტუდენტმა პაექრობა წაგებით დაიწყო, მაგრამ მერე ისეთი მძაფრი ტემპი შესთავაზა თავის სახელოვან მეტოქეებს, რომ ვერავინ აუბა მხარი და პირველობა თავად დაისაკუთრა.

ნინო გურიელი დიდი პოტენციის, უშეღავათო და მტკიცე ხასიათის მებრძოლია. ამიტომაც იგი ერთ-ერთი ფავორიტია.

ფავორიტია 16 წლის ნანა იოსელიანიც. ეს ტანმაღალი, სანდომიანი სახის გოგონა გვხიბლავს თავისი უშუალო, ნიჭიერი თამაშით. ნანას უყვარს იერიში, კომბინაციური გართულებები. მან არ იცის შიში, თუმცა მუდამ მოკრძალებული, თავშეკავებულია მეგობრებთან ურთიერთობაში. მაგრამ ნანა იოსელიანი გულადი, გაბედული მოთამაშეა. მან იცის საკუთარი თავის მობილიზება გაჭირვების ჟამს.

ეს იყო 1977 წელს, როცა 14 წლის ნანა სსრ კავშირის ქალთა ჩემპიონატის სტარტზე რამდენჯერმე დამარცხდა. სხვა, მის ადგილას, სასოწარკვეთილებაში ჩავარდებოდა. ნანამ პირიქით, ძლიერი ხასიათი გამოავლინა. ისე ჯიქურ შეუტია, რომ დასკვნითს ცხრა შეხვედრაში 8,5 ქულა მოაგროვა და ნანა ალექსანდრიას მეორე ადგილი გაუყო. არ დაგავიწყდეთ, რომ ამ ჩემპიონატში უძლიერესი საბჭოთა დიდოსტატები, მათ შორის დღევანდელი საზონათშორისო ტურნირის მონაწილენიც იყვნენ. მერე ნანამ თანატოლებში ორჯერ მოიპოვა ევროპის ჩემპიონთა თასი.

— ნანა იოსელიანი შორს წავა, — ამბობს მ. ბოტვინიკი, რომლის დაუსწრებელი სკოლის აღსაზრდელიც ქართველი მოჭადრაკე გახლავთ, — ამიტომ მას „შესანიშნავი ექვსეულის" ერთ-ერთ კანდიდატად მიიჩნევენ.

ცხელი დღეებია მოსალოდნელი რიო-დე-ჟანეიროში. ბრძოლა იქნება უშეღავათო, თავგამოდებული და, რომ იტყვიან, უკანასკნელ პაიკამდე.

დაე, გამართლებოდეთ ბრძოლა და გარჯა ჩვენს საამაყო მამულიშვილებს!

**თენგიზ გიორგაძე.**

სურათზე: (მარცხნიდან) ნანა იოსელიანი, ნანა ალექსანდრია, ნინო გურიელი. თ. ქიქავას ფოტო.

## მეხი და ეკლესია

ჰაერი ელექტროდენის ცუდი გამტარია, ამიტომ მეხი ჩვეულებრივად ეცემა რაიმე მაღალ საგანს — ხეს, კოშკს, სახლს... მეხი ხშირად ეცემა აგრეთვე ლითონის საგნებს, რომლებიც კარგად ატარებენ ელექტროდენს. ასეთი საგნის საშუალებით ღრუბლის ელექტრული მუხტი სწრაფად უერთდება მიწის ელექტრულ მუხტს. აი, სწორედ ამიტომაც არის, რომ მეხთამრიდები მაღალია და ლითონისაგან მზადდება.

სამი ათასი წლის წინათ ძველ ეგვიპტეში ტაძრებთან იდგა ვითომდა რელიგიური დანიშნულების სპილენძშემოკრული მაღალი ანძები. სინამდვილეში ესენი იყო მეხთამრიდები. ასეთი ანძა იყო აღმართული სოლომონ მეფის ცნობილი ტაძრის მახლობლად იერუსალიმში. ეს ტაძარი ათას წელიწადზე მეტ ხანს არსებობდა და არც ერთხელ არ დაუზიანებია მეხს, თუმცა ამ ადგილებში ხშირად იცის ელვა-ქუხილი და მეხი.

იმ გარემოებას, რომ ძველ ტაძრებს არც ერთხელ არ განუცდიათ „ციური ცეცხლის" სასტიკი დარტყმა, მოგვები ღვთის მოწყალებად თვლიდნენ.

გავიდა დრო. შუა საუკუნეების ევროპაში მიივიწყეს ძველი სამყაროს გამოცდილება: აღარ დგამდნენ მეხთამრიდებს. ბუნებრივია, მეხი ახლა თავისუფლად ეცემოდა სწორედ მაღალ ნაგებობებს. აღსანიშნავია, რომ XVIII საუკუნეში 33 წლის მანძილზე მეხმა დააზიანა 386 სამრეკლო! ცხადია, იღუპებოდნენ მნათეებიც, რომლებიც ლოცვა-კურთხევითა და ზარების რეკვით ცდილობდნენ მეხის დაცემის არიდებას.

1756 წელს მეხი დაეცა პეტერბურგის პეტრე-პავლეს ტაძრის გუმბათს. დაიწვა გუმბათიც და კანკელიც. ამის შემდეგ დიდი დრო არ იყო გასული, რომ ატმოსფეროს ელექტრომუხტმა კვლავ დაარტყა ამ ტაძრის გუმბათს. სწორედ ამ გარემოებამ აიძულა რელიგიის ბნელეთის მოციქულები გაეხსენებინათ მეხისაგან დაცვის „ღვთის საწინააღმდეგო" საშუალება. იმ წელს პეტრე-პავლეს ტაძარზე გაჩნდა პეტერბურგსა და რუსეთში პირველი მეხთამრიდი, რომელიც აიგო აკადემიკოს ლ. ეილერის პროექტის მიხედვით.

ევროპაში ყველაზე მეტი ელვაქუხილი და მეხი იცის სამხრეთ საფრანგეთსა და ჩრდილოეთ იტალიაში, ხოლო ჩვენში — კავკასიასა და დნეპრის შუაწელის მიდამოებში. ინდონეზიაში, კუნძულ იავაზე, ბიუტენზორგის რაიონში წელიწადში საშუალოდ 300 დღე იცის ხოლმე ქექა-ქუხილი.

**გიორგი დათუაშვილი**

## გერმანიის მემკვიდრე

ამას წინათ გერმანიის იმპერატორის მემკვიდრე და უმცროსი ვაჟიშვილი უნივერსიტეტში შევიდა სტუდენტად. გაზეთში იტყობინებიან, რომ მემკვიდრეს ისეთი მკაცრი და თვითნებური ხასიათი აქვს, როგორიც მამასაო.

აი, რა ანეგდოტს გადმოგვცემენ მის შესახებ: 11 წლისა იყო, როდესაც ერთხელ თავის უმცროს ძმასთან ერთად იმპერატორის მისაღებ ოთახში თამაშობდა. ამ დროს ოთახში შემოვიდა ერთი მინისტრი, დასტოვა ქუდი და იმპერატორის კაბინეტში შევიდა. მემკვიდრემ მოინდომა ქუდის დაჭმუჭვნა და თავის უმცროს ძმას უბრძანა, ეხლავე ქუდი უნდა დაჭმუჭნოო. ძმამ არ გაუგონა. — ეხლავე დააჯექი ქუდსა, გეუბნები, არ გესმის? მე გიბრძანებ!

ძმა კიდევ ყოყმანობდა. მაშინ მემკვიდრემ დაუყვირა: „მე შენ გიბრძა-, ნებ, როგორც ტახტის მემკვიდრე!“..

იმპერატორმა ბავშვების ყვირილი გაიგონა, გამოვიდა, გაიგო რაში იყო საქმე და მემკვიდრეს ცემა დაუწყო ამ სიტყვებით: „თუ შენ მემკვიდრე ხარ, მე კიდევ იმპერატორი ვარო!“

## ნიჭი და საჭმელი

ერთი ინგლისელი ექიმი გვარწმუნებს, რომ ადამიანის ხასიათი და ნიჭიერებაც ძალიან არის დამოკიდებული იმაზე, თუ რასა ჭამს კაცი.

მაგალითადო, გვასწავლის ახალი მოდის ესკულაპი, ვისაც სურს ენერგიული, თამამი და მამაცი ადამიანი იყოს, ორი თვის განმავლობაში მაინც მარტო ხარისა და კამეჩის ხორცი უნდა ჭამოსო, თუ ის ამავე დროის განმავლობაში მარტო ღორის ხორცს ჭამს, პესიმისტი გახდებაო. ხბოს ხორცის მჭამელი ადამიანი მხდალი და უხასიათო იქნებაო.

ქმრებს, რომლებსაც ცოლები დაჯაბნული ჰყავთ, ხბოს ხორცი უუვართო. რძისა და კვერცხის სმა და ჭამა ჭკუასა და გრაციას უწვრთნის ადამიანსო; ამასთანავე ჭკუიანი კაცი ბევრ ვაშლს უნდა ჭამდესო; ხოლო ვისაც მეხსიერების განვითარება უნდა, მან მდოგვი ხშირად უნდა იხმაროსო.

როგორც ჩანს, ამ ექიმს თავის სიცოცხლეში ალბათ ცოტა ვაშლი უჭამია.

# ძველი პრესის ფურცლებიდან

## ახირებული მადლობის გადახდა

ინგლისური გაზეთები შემდეგ ამბავს მოგვითხრობენ. ერთი პოლკის ოფიცერი ძალიან სასტიკად ეპყრობოდა ჯარისკაცებს, რის გამოც ამათ საშინლად სძულდათ იგი. ერთხელ ამ ოფიცერს ძალიან გადაეკრა და მთვრალი წყალში ჩავარდა და იხრჩობოდა, მაგრამ მისი პოლკის ერთმა სალდათმა თვალი შეასწრო და წყლიდან ამოიყვანა.

ცოტა რომ გამოფხიზლდა ცივი აბანოს შემდეგ, ოფიცერმა დიდი მადლობა გადაუხადა თავის გადამრჩენელს და ჰკითხა, რითი შემიძლია დაგაჯილდოვო გადარჩენისთვისო.

— ყველა საჩუქარს ის ემჯობინება, თქვენო კეთილშობილებავ, — უპასუხა ჯარისკაცმა, — ნურავისთან ნუ გაამხელთ, რომ მე თქვენ წყლიდან ამოგიყვანეთ.

— რათაო? — ჰკითხა გაკვირვებულმა ოფიცერმა.

— იმათაო, თქვენო კეთილშობილებავ, ჩემმა ამხანაგებმა რომ შეიტყონ, მე თქვენ დახრჩობას გადაგარჩინეთ, იმ წყალში ჩამიძახებენ!

## ედისონის ახალი მანქანა

გამოჩენილმა ედისონმა კვლავ მიიპყრო მთელი ამერიკისა და ევროპის ყურადღება. მან გამოიგონა და გააკეთა შესანიშნავი მანქანა — ახალი ელექტრონული აკუმულატორი. მანქანას აკუმულატორი ჰქვია, იგი აგროვებს ელექტრონის ენერგიას. ამგვარი მანქანა ახლაც არის, მაგრამ ედისონმა მოიგონა პატარა და მეტად იაფი აკუმულატორი, რომელიც ბევრ ენერგიას აგროვებს სულ მცირე დროის განმავლობაში. ედისონის აკუმულატორი, როგორც ამბობენ, ნამდვილ სასწაულს მოახდენს. ის ყველას შეუძლია შეიძინოს ისე იაფია და გამოიყენოს მრავალგვარი საჭიროებისათვის. ცხენი საჭირო აღარ იქნება, რადგანაც ყოველ მეეტლეს აკუმულატორი ბევრად უფრო იაფად დაუჯდება, ვიდრე ცხენის ყიდვა და შენახვა. ედისონის აკუმულატორი დიდ სამსახურს გაუწევს აგრეთვე მიწადმოქმედთ და ხელოსანთ მუშაობის დროს. ედისონის აკუმულატორი უკვე გამოსცადეს სწავლულ-სპეციალისტებმა და გაოცებაში მოვიდნენ მისი ს მარტივისა და სასარგებლო მოქმედებისაგან.

ახალ-ახალი ამბები

ახალ-ახალი ამბები

## ოლიმპიადა—80

ლენინგრადის გრამფირფიტების ფაბრიკამ უკვე დაიწყო სხვადასხვა მუსიკალური ჩანაწერების სერიული გამოშვება.

ეს ჩანაწერები განკუთვნილია სტუმრებისათვის — „ოლიმპიადა—80“.

ოლიმპიადაზე ჩამოსული უცხოელები გაეცნობიან ჩვენი ქვეყნის ხალხების საესტრადო, ჯაზურ, ხალხურ სიმღერებს.

## ქვის [illegible]

ყირგიზელმა არქეოლოგებმა ამას წინათ ისიკ-კულის ტბის მახლობლად აღმოაჩინეს ქვის ხანის „სამკერვალო სახელოსნო“.

მიკვლეული ქვის ნემსებით, სათითეებით, სხვადასხვა პრიმიტიული ნივთებით მკერავები 80.000 წლის წინათ სარგებლობდნენ.

## ავიაციის დახმარებით

უზბეკმა ავიატორებმა ტიან-შანის მთებში აღმოაჩინეს 2 ათასი წლის წინათ არსებული სოფლების ნაშთები.

აეროგადაღებების საშუალებით დადგინდა ძველი ქარავნების გადაადგილების სხვადასხვა მარშრუტები.

## კონკურსი-სემინარი

მოსკოვში ამას წინათ გაიმართა საკავშირო კონკურსი-სემინარი, რომელშიც მონაწილეობდნენ ახალგაზრდა მზარეულები, ოფიციანტები, მეტროდოტელები.

პრიზების მოსაპოვებლად 2.000-ზე მეტი ახალგაზრდა იბრძოდა.

კონკურსი-სემინარი მიეძღვნა „ოლიმპიადა—80“-სთვის მზადებას.

## აშრიალდნენ ტყეები

თურქმენეთში, ყარაყუმის უდაბნოში 76 ათას ჰექტარზე გააშენეს ახალი ტყე.

უკანასკნელი 4 წლის მანძილზე რესპუბლიკის უდაბნოებსა და მწირ ნიადაგებზე 300 ათას ჰექტარზე გაშენდა ბუჩქნარები და კორომები.

## ახალი ალმანახი

ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში მალე გამოსვლას დაიწყებს ახალი ილუსტრირებული ალმანახი.

ალმანახში ძირითადად გაშუქდება პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვა-შესწავლის საკითხებთან.

## ტბების პასპორტიზაცია

ბელორუსიაში დამთავრდა ტბების პასპორტიზაცია.

სპეციალისტებმა გულდასმით შეისწავლეს თითოეული ტბა, დააზუსტეს მათი შემადგენლობა, სიღრმე, ფლორისა და ფაუნის თავისებურება.

ჰიდრობიოლოგების აზრით, რესპუბლიკის ასამდე ტბაში შეიძლება ფართოდ განვითარდეს ძვირფასი თევზის ჯიშების მოშენება-მომრავლება.

## ჯანმრთელობის ახალი კერა

ჩრდილოეთ კავკასიის მინერალური წყლების კურორტებს კიდევ ერთი კერა შეემატა.

ქალაქ ესენტუკიდან 35 კილომეტრის დაშორებით მალე გაშენდება მინერალური წყლით სამკურნალო ახალი კეთილმოწყობილი კურორტი.

კურორტზე ერთდროულად შეიძლება 18 ათასმა ადამიანმა დაისვენოს და იმკურნალოს.

## მოძმე ყირგიზეთში

ყირგიზეთის მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკური ბაღის თანამშრომლებმა გამოიყვანეს ვარდის 15 ახალი სახეობა.

ეს წარმტაცი და სურნელოვანი ვარდები მალე დაამშვენებს ქალაქებსა და სოფლებს.

რესპუბლიკის დედაქალაქ ფრუნზეში ახალი ვარდები მაისიდან ნოემბრამდე ჰყვავის.

## ნახევარ კილომეტრზე მაღალი

მოსკოვში, ოსტანკინის ცნობილი სატელევიზიო ანძა ამას წინათ კიდევ 7 მეტრით „ამაღლდა“.

ანძაზე დაამონტაჟეს სხვადასხვა მეტეოროლოგიური მოწყობილობა.

ამჟამად სატელევიზიო ანძის სიმაღლე 540 მეტრია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

## დასავლეთის სპორტული სამყარო

# რა ღირს სილამაზე?!

ამ რამდენიმე წლის უკან მსოფლიოს პრესის ფურცლები მოიარა დეპეშამ, რომელიც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჩემპიონმა ფიგურულ სრიალში, ინა ბაუერმა მიიღო ევროპის პირველობის დროს: „მე საკმაოდ ბევრი ფული დამიჯდა შენი ჩემპიონობა. მაგრამ სულ ტყუილად მიწვალია. აიკარი გუდა-ნაბადი და ოჯახში დაბრუნდი. აღარასოდეს იასპარეზებ. ბაუერი".

ფაბრიკანტ კარლ ბაუერს არ ეპიტნავა მეოთხე ადგილი, რომელიც მისმა ქალიშვილმა სავალდებულო ვარჯიშებზე დაიკავა და 19 წლის სპორტსმენი იძულებული გახდა ჩემპიონატი მიეტოვებინა. ვეღარც სკვო-ველის ოლიმპიურ თამაშობებზე მიიღო მონაწილეობა.

ეს ეპიზოდი გაგვახსენდა დასავლეთის პრესაში სულ ახლახან გამოქვეყნებულ ცნობასთან დაკავშირებით, რომელიც კანადელ ფიგურისტ ტოლერ კრენსტონის ბედ-იღბალს შეეხება. ინსბრუკის ოლიმპიურ თამაშობათა ბრინჯაოს მედლის მფლობელმა სპორტული არენა 1976 წლის გაზაფხულზე მიატოვა. რამდენიმე თვის შემდეგ კი გამოაცხადა ახალი შოუს შექმნა, სადაც სოლისტისა და კომერციული დირექტორის ორი როლი უნდა შეეთავსებინა. ტოლერს სურდა, რაც შეიძლება დიდი თანხა მიეღო და სასწრაფოდ გასწორებოდა მეცენატებს, რომლებიც მრავალი წლის მანძილზე ყინულის მოედანს სავარჯიშოდ უთმობდნენ. კრენსტონს არ გაჩნდა არც ყინულის არენა, არც დეკორაციები, არც კოსტიუმები, მუშები და განმანათებლები. ყოველივე ეს სწრაფად მოუწყვეს მას მარჯვე კომერსანტებმა, ბიზნესმენებმა, ფირმათა წარმომადგენლებმა, რა თქმა უნდა, სესხად და კარგა დიდი პროცენტის საფასურად.

არ გასულა ერთი წელიც, რომ კანადელი ჩემპიონის ყინულის თეატრი ვალებში ჩაეფლო. იწყო ქრობა კრენსტონის ვარსკვლავმაც, დავიწყებას მიეცა ერთ დროს უნიჭიერესი სოლო სპორტსმენი, მისი ძიებანი საერთაშორისო სპორტის სარბიელზე. სამაგიეროდ, ბიზნესმენებს არ დავიწყებიათ შოუში ჩაყრილი სესხები...

სულიერი ღირებულებანი როდესაც მხოლოდ ფულზე ხურდავდება, ადამიანები დიდ გულისტკივილს განიცდიან, ჰკარგავენ სიმშვიდეს და ჩიხში ემწყვდევიან ხოლმე.

ინა ბაუერის ისტატობამ ვერ ჰპოვა შემდგომი სრულყოფა, რადგან მამამისს დაენანა „ფუჭი" ფულის ხარჯვა ქალიშვილისათვის.

კრენსტონიც, როგორც სპორტსმენი და მსახიობი, იძულებულია, შემოქმედებაში კი არ ჰპოვოს მოწოდება, არამედ სასამართლოს სარჩელებსა და კომერციულ კომბინაციებში.

ამერიკელების თქმისა არ იყოს, თუკი ფინანსების საქმეში ყველაფერი „ო კეი!" მაშინ რა ხდება?!

1976 წლის ოლიმპიურ ჩემპიონ ქალს ერთეულთა ასპარეზობაში, დოროთი ჰემილს (აშშ) თითქოს ბედმა გაუღიმა. დოროთის სარფიანი კონტრაქტი დაუდო სახელგანთქმულმა (ყინულის) რევიუმ „აის კაპეიდსმა" — მას სოლისტის როლი შესთავაზა. ერთი წლის შემდეგ თვით ჰემილი ლაპარაკობს რევიუში თავის მუშაობაზე დაუფარავი ძრწოლვით. პროგრამათა დამდგმელებმა უგემოვნო მაყურებლის გასართობად შესანიშნავ სპორტსმენს ბულვარული ლამაზმანის უხამსი ამპლუა მოახვიეს თავს. ხოლო ის, რაც ახალგაზრდა ფიგურისტ ქალს მუსიკითა და პლასტიკით უნდა გამოეხატა, არავის აინტერესებდა.

დოროთი ჰემილისათვის თხუთმეტწლიანი გამოსვლები მოყვარულთა სპორტში სრულყოფისა და ძიების წლებად დარჩა. იგი ჩამოყალიბდა საკუთარი გემოვნების მქონე ოსტატად. მას კი სურს, იყოს ნამდვილი ხელოვანი ყინულის მოედანზე. რევიუსა და სარბიელთა მეპატრონეთ კი ეს არაფრად მიაჩნიათ. მათ სულ სხვა მიზანი ამოძრავებთ — შემოსავალი, ჯიბის გასქელება...

ბურჟუაზიულ საზოგადოებას უყვარს ლაპარაკი თანაბარ პირობებზე ყველასთვის. ინა ბაუერის დროს დასავლეთის პრესა ბევრს წერდა საუცხოო კანადურ წყვილზე — ბარბარა ვაგნერსა და რობერტ პოულზე, რომელთაც ბრწყინვალედ მოიგეს 1960 წლის ოლიმპიური თამაშები სკვო-ველში. მაგრამ გაზეთებს არაფერი უთქვამთ იმის თაობაზე, თუ რა ბედი ეწიათ ფიგურისტებს სპორტული არენიდან წასვლის შემდეგ — ცნობილი ჩემპიონები ყინულის ციცქნა მოედანზე უზარმაზარი უნივერმაღის წინ დასრიალებდნენ და რეკლამას უკეთებდნენ სავაჭრო საქონელს. მნახველს ეს დიდად იზიდავდა. ბიზნესი იფურჩქნებოდა. მაგრამ არავინ დაფიქრებულა იმაზე, თუ როგორ დახურდავდა სახელგანთქმულ ჩემპიონთა ნიჭი.

მას შემდეგ 18 წელმა განვლო. მაგრამ, როგორც ვხედავთ, ბევრი არაფერი შეცვლილა დასავლეთის „ვარსკვლავთა" ცხოვრებაში.

**ვასილ მჭედლიშვილი**

☐ ბერეტი მოდაში შემოვიდა ალორძინების ეპოქაში. იგი პირველად მხოლოდ თხელი მატყლისაგან მზადდებოდა.

☐ XIX საუკუნის ბოლოს გამოჩნდა ფართოფარფლებიანი შლაპები, რომლებიც მორთული იყო ხელოვნური ყვავილებით, ხილით, ფრინველთა ბუმბულით.

☐ ანტიკურ ეპოქაში ღილებს არ ხმარობდნენ.

ღილები პირველად დაამზადეს ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში.

☐ ადრეული შუა საუკუნეების ეპოქაში ჯერ კიდევ არ იცოდნენ ტანსაცმელზე ჯიბეების მიკერება; არც ხელჩანთებს ხმარობდნენ.

დანას, კბილის საჩიჩქნს, მაკრატელსა თუ სხვა საჭირო ნივთებს ქამარზე იკიდებდნენ ბაწრით, ანდა ძეწკვით.

ტანსაცმელზე ჯიბეების მიკერება შუა საუკუნის ეპოქაში შემოიღეს.

☐ მზის მცხუნვარებისაგან დასაცავად სხვადასხვა ფორმის ქოლგას უძველეს დროიდანვე ხმარობდნენ.

XVII საუკუნის დასაწყისში ქოლგები გამოჩნდა ინგლისში. მზის მცხუნვარებისაგან დაცვის გარდა ქოლგამ ინგლისში შეიძინა თავისი მეორე დანიშნულება — წვიმისაგან თავის დაცვა.

სწორედ ინგლისში დაიწყეს პირველად წყალგაუმტარი მასალისაგან ქოლგების დამზადება.

☐ მაღალძირიან ფეხსაცმელზე შესკუპება პირველად XVI საუკუნის დამლევს დაიწყეს ვენეციელმა ქალებმა.

ფეხი რომ არ დასველებოდათ, ისინი სქელლანჩიან ტუფლებს იცვამდნენ.

თენგიზ პირველი

# სანიმუშო ნაწერი

**იუმორისტული მოთხრობა**

**როცა რედაქტორმა სიმწრით დაწერილი ოცდამეხუთე მოთხრობა დამიწუნა, იძულებული გავხდი ოცდამეექვსე დამეწერა. გაწბილებულმა რედაქტორმა სამჯერ ზედიზედ გადაიკითხა ჩემი ახალი ოცდამეექვსე მოთხრობა, გაოცებით ხელები გაშალა და აღტაცებით წამოიძახა: — ყოჩაღ, ყოჩაღ, კარგად დაგიწერია! თემაც ახალგაზრდულია, ამბავიც ჩამაფიქრებელია, არც სათაური აქვს ურიგო, მაგრამ თქვენ მოთხრობაში ორი ორთოგრაფიული უზუსტობაა დაშვებული, რატომ გავიწყდებათ, რომ ქართული ზმნები, რომელთაც მესამე პირის ბრუნვაუცვლელი (მიცემით ბრუნვაში დასმული) ობიექტი აქვს ჰ-ან-ს-პრეფიქსი უნდა ჰქონდეს. გარდა მაგისა, ერთ ადგილზე — ზმას აუწია რედაქტორმა,—მოთხრობაში დარღვეული გაქვს რიცხვითი თანამიმდევრობა. როგორც ვიცით, ქართული ანბანის ყოველ ასოს თავისი რიცხვითი მნიშვნელობა აქვს (უნის შემოღებამდე ონი და ვიე ერთად ნიშნავდა უნს, ხოლო რიცხვითი მნიშვნელობა ოთხასი ჰქონდა ვიეს).**

**როცა რედაქტორი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ უნის, ონის და ვიეს არაფერი გამეგებოდა, ხელი ჩაიქნია და მკვახედ მომახალა: — ერთი სიტყვით, თქვენს ნაწარმოებში უნიფიკაციისა და არქაიზმის გავლენა იგრძნობა. თქვენი მოთხრობის მთავარი პერსონაჟები — მაკა, ლიკა, ათილო, კოწო, ჰიკო, წოპე და სერაფიონი, მათთვის დამახასიათებელი თანამედროვე ქართული ენით არ მეტყველებენ. გარდა მაგისა, სად გაგიგიათ, რომ დღეს თანამედროვე ახალგაზრდას სატინის ხალათი ეცვას, ჩელიუსკინელების ხიდზე მუხლების კანკალით ჩითის კოპლებიან კაბაში გამოწყობილი, გრძელნაწნავიანი ქალიშვილი შეაჩეროს და ენის ბორძიკით მიმართოს: — გეთაყვა, ხელი მინდა გთხოვოთ; ქალიშვილი გაწითლდეს, თვალებზე მომდგარი სიხარულის ცრემლი ნაწნავის ბოლოთი მოიმშრალოს და თრთოლვით მიუგოს: რას ამბობ, ჰაბუკო, მშობლების ნებართვის გარეშე კეტიც რომ მირტყან, არ გავთხოვდები. თუ გინდათ, რომ ეს მოთხრობა გენიალობამდე ამაღლდეს, საჭიროა თქვენი მოთხრობის უარყოფითი გმირები ახლოს გაიცნოთ, თანამედროვე სამოსით შემოსოთ, ხალხში გახვიდეთ და ზუსტად აღნუსხოთ მათი სასაუბრო ენის ლექსიკა.**

**სიხარულით დავტოვე რედაქტორი და შინისაკენ მოვკურცხლე. მეორე დღეს უხელფასო შვებულება გავიფორმე და მასებში გავედი. დილიდან საღამომდე წინ და უკან თავქუდმოგლეჯილი დავრბოდი იქ, სადაც ჩემი მოთხრობის მთავარი მომქმედი პერსონაჟები — ეკა, მაკა, ლიკა, კოწო, ათილო, ჰიკო, წოპე და სერაფიონი იყრიდნენ თავს — ლაღიძის წყლებთან, კაფე-რესტორნებში, ტელე-ჯიხურებთან, სახინკლეებში, საბილიარდოებში, ბარებში და ვინ მოთვლის კიდევ სად. როცა ჩემი მოთხრობის უარყოფითი გმირების სასაუბრო ლექსიკას თავი მოვუყარე, შვებით ამოვისუნთქე. სამუშაო ოთახში ჩავიკეტე და ოცდამეშვიდე მოთხრობა ასე გადავაკეთე:**

**„მათ ერთმანეთი ჩელიუსკინელების ხიდზე გაიცნეს. შემოდგომის არც თუ ისე გრილი საღამო იდგა, არც თუ ისე ჟინჟღლავდა, ვაჟიშვილს სახელად წოპე ერქვა, მდელოსფერი ჯინსები ემოსა, ომები ხიპივით მოეშვა, ფილოლოგიური ფაკულ-**

# ოლიმპიურ ტალღაზე

ოლიმპიური თამაშების ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა სპორტსმენი ვაჟი იყო 9 წლის ფრანგი მენიჩბე. იგი იმ ორეულის შემადგენლობაში გახლდათ, რომელმაც 1900 წელს ნიჩბოსნობაში ვერცხლის მედალი მოიპოვა. სამწუხაროდ, ამ 9 წლის სპორტსმენის გვარი ცნობილი არ არის, რადგან იმ დროის შეჯიბრების ოქმებში მონაცემები ნიჩბოსნობის შესახებ არა გვხვდება.

●

ოლიმპიადის ყველაზე ახალგაზრდა სპორტსმენი ქალი იყო ცნობილი ნორვეგიელი მოციგურავე სონია ჰენი. იგი თორმეტი წლისაც არ იყო მონაწილეობა რომ მიიღო პირველ ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში შამონიში (1924 წელი). მაშინ მომავალმა სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა დაიკავა... ბოლო ადგილი.

●

ყველაზე ხნიერი სპორტსმენი ოლიმპიური თამაშების ისტორიაში იყო შვედი მსროლელი ოსკარ სვანი. მას დებიუტი ჰქონდა 1908 წლის ოლიმპიურ თამაშებში, როდესაც 61 წელი შეუსრულდა. გამოდიოდა აგრეთვე სტოკჰოლმშიც (1912 წელს), თავისი სპორტული კარიერა კი 1920 წელს ანტვერპენში დაასრულა (73 წლის ასაკში)! ამ წლების მანძილზე მან ოქროს სამი და ვერცხლის ერთი მედალი მოიპოვა.

●

ოლიმპიური თამაშების ყველაზე ხნიერი მონაწილე ქალი იყო ცხენოსანი დიდი ბრიტანეთიდან ჰილდა ჯონსტონი, რომელიც 1972 წელს მიუნხენში გამოდიოდა. იგი ამ დროს 70 წლისა გახლდათ, 11 შვილიშვილის ბებია, მაგრამ მისმა მეთორმეტე ადგილმა მაყურებელთა გაცილებით მეტი ტაში დაიმსახურა, ვიდრე საპრიზო ადგილების მფლობელთა ოსტატობამ. ჰილდა ჯონსტონს დიდი პატივი ხვდა წილად, როგორც სამშობლოში, ისე საზღვარგარეთაც.

●

ყველაზე ხნიერი ამჟამად ცოცხალ ოლიმპიელთაგან გახლავთ ყოფილი მოფარიკავე რუდოლფ ცვეტკოვი; იგი იუგოსლავიის გუნდის შემადგენლობაში მონაწილეობას იღებდა 1912 წლის ოლიმპიურ თამაშებში.

# ღვინო

(არაბული ლეგენდა)

**როცა ნოემ ვაზი დარგო, მივიდა ეშმაკი და ვაზის ძირი შევარდენის სისხლით მორწყო; გამოისხა ყლორტები ვაზმა და ეშმაკმა ვაზის ძირს მაიმუნის სისხლი მოასხა; როცა ვაზი მტევნებით დაიხუნძლა — ლომის სისხლი დაასხურა; სიმწიფეში შესვლისთანავე ეშმაკმა ვაზს ღორის სისხლი მიუმარჯვა.**

**აი, ამიტომაც არის, ღვინოს ოთხი თვისება რომ აქვს: თუ ზომიერად დალევ, შევარდენივით მძლავრი და მოქნილი ხდები, თუ ბევრს დალევ— მაიმუნივით აცეტდები, გადააჭარბებ — ლომივით მძაფრდები და ყველაფრის მილეწ-მოლეწის სურვილი გებადება, უზომოდ გამტყვრალ-გალეშილი კაცი კი ტალახში ამოზინზლილ ღორს წააგავს.**

**რომელი სჯობია, ჰა?**

# ნარევი

## პლასტმასის ჩარჩო

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში კარგა ხანია დაიწყეს პლასტმასის ფანჯრის ჩარჩოების გამოშვება.

პლასტმასის ჩარჩო მნიშვნელოვნად ზოგავს ხის მასალას, უფრო იაფი ჯდება, მოხდენილია და შრომას უმსუბუქებს მშენებლებს.

ვარაუდობენ, რომ პლასტმასის ჩარჩო 60 წელზე მეტ ხანს გაძლებს. მას არც შეღებვა სჭირდება და არც შერემონტება.

## საინტერესო სიახლე

როგორც ცნობილია, დიაბეტით დაავადებულ მილიონობით ადამიანს ხშირად ყოველდღიურად სჭირდება ინსულინის ნემსის გაკეთება

ინგლისელმა სპეციალისტებმა გადაწყვიტეს, ნემსი შეცვალონ დიაბეტით დაავადებული ადამიანის ორგანიზმში ჯანმრთელი ადამიანისაგან აღებული ინსულინის გამომყოფი უჯრედის გადანერგვით.

ცხოველებზე ჩატარებულმა პირველმა ცდებმა დაგვანახა სპეციალისტთა მოსაზრების რეალობა.

ადამიანისათვის ასეთი სახის ოპერაციის გაკეთებას ალბათ კიდევ მნიშვნელოვანი დრო დასჭირდება.

## უძველესი ცხენი

დასავლეთ გერმანიაში, ქალაქ მესელის მახლობლად, სპეციალისტებმა მიაკვლიეს ცხენის კარგად შენახულ გაქვავებულ ჩონჩხს.

სწავლულებს მიაჩნიათ, რომ ნაპოვნი ჩონჩხის ხნოვანება, სულ ცოტა, 50 მილიონი წლით მაინც უნდა განისაზღვროს.

სპეციალისტების ყურადღება მიიპყრო იმ გარემოებამ, რომ უძველეს ცხენს წინა ფეხებზე ოთხ-ოთხი თითი ჰქონდა, უკანა ფეხებზე კი — სამ-სამი თითი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კოღოები კოღოების წინააღმდეგ

აღმოსავლეთ აფრიკის ქვეყნებში ჯერ კიდევ ფართოდ არის გავრცელებული მალარია.

ამ ავადმყოფობასთან საბრძოლველად ბიოლოგებმა შეძლეს გაემრავლებინათ ისეთი სახეობის კოღოები, რომლებიც მალარიის გამავრცელებელ კოღოებს სპობენ.

ახლად მომრავლებული კოღოები, მალარიის გავრცელების თვალსაზრისით, არავითარ ზიანს არ აყენებენ ადამიანს.

## სამკურნალო მუსიკა

ვროცლავის ერთ-ერთ მუსიკალურ სასწავლებელში არ რამდენიმე ხნის წინათ გაიხსნა მუსიკათერაპიის განყოფილება.

ექიმები, მუსიკის სპეციალისტებთან ერთად, გულმოდგინედ ამუშავებენ ახალ მეთოდებს ნერვული და ფსიქიური დაავადებების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ძირითად სამკურნალო საშუალებად გამოყენებული იქნება საგანგებოდ შერჩეული მუსიკა.

ტეტი ჰქონდა დამთავრებული და „ბენზოკალონკაში“ მუშაობდა. ქალიშვილი სიასამურისფერ დუბლიონკაში იყო გამოწყობილი, სახელად ლიკა ერქვა, იტალიური საბოები ეცვა და მხარზე მძიმე წონის ფრანგული ხელჩანთა ეკიდა.

ყველაფერი ასე დაიწყო — ალთას მიმავალმა წოპემ, ბალთას მიმავალ ლიკას გზა გადაუჭრა, ჯიბიდან მაქმანიანი ცხვირსახოცი ამოიღო, ქვაფენილზე გაშალა, მუხლებზე დაემხო, ლიკას ქვემოდან მიბნედილი თვალებით ახედა და სასოებით შესძახა:

— მევასები!

ლიკა არ დაიბნა, დუბლიონკის ღილები შეიხსნა, წოპეს ზემოდან კალათბურთელივით დახედა, ხურავს, თავისთვის ჩაიხითხითა და ნაზი ღიმილით მიუგო:

— ტორროზ დუმპ, როდის აქეთ გევასები?

წოპემ თვალები დაქაჩა, ტეხავს, ხმამაღლა ჩაილაპარაკა და მუქარით წარმოთქვა:

— რას მებაზრები? თუ ვინმესთან დამსევდები, დღესვე ატაშოლი მიეცი, თორემ ერთად თუ გამოგიჭირეთ, ორივეს ეგრევე დაგბრიდავთ!

ქალიშვილმა მრავლისმთქმელად გადაიხარხარა და ნიშნისმოგებით მიუგო:

— ერთი გაბედე და მერე ნახავ რა ტურასაც დაიჭერ!

წოპე შოტლანდიური კვიცივით წამოხტა, მოციგურავესავით აიტაცა ლიკა და ჩურჩულით რაღაც აუწყა. სახეგაბადრულმა ლიკამ ფეხები ჰაერში ჟუჟა ალმაშივით გაშალა, დაეჭვებული მზერა შეავლო წოპეს და მელოდრამატული ხმით ჰკითხა: ხომ არ სიაფანდობ? წოპემ ხელში ატატებული ლიკა ქვაფენილზე კრძალვით დაუშვა, ჯიბიდან შემნახველი სალაროს წიგნაკი ამოიღო და გულუხვი მეანაბრის ხელგაშლილობით მიუგო: რას მატრაბაზობ, მაყუთის მეტი რა მაქვს, რახან არ გჯერავს, ბარახლოების საყიდლად ბარიგებში წავმსევდეთ, იმპორტულ შმოტკებს დაგიადებ, ბრახმანის წიწკვივით დაგზმანავ. დანარჩენზე ხვალ 8 საათზე, ზემელის აფთიაქთან სტრელკაზე მომსევდი და იქ ვითომაროთ.

— სიმონ, თუ არ შაყირობ, ეგ ვარიანტი სტონასტო მისწორებს, სტოპროშ მითხარი, საქორწინო კაბას როდისლა დამიადებ?—უკვე საპატარძლოს ხმით იკითხა ლიკამ და თვალები პატარძალივით მილულა.

— რა გამიხურე საქმე, შვიდთვიანი ბელყუმი ხომ არა ხარ, რახან მევასები, ლოკში არ დარჩები, საქორწინო კაბასაც დაირტყამ! — დინჯად მიუგო წოპემ, — ერთ ტობე ფაიზალის ბაითში მაგარი კლიენტია, ბალამუტი ვინმე დაცენტრილი ტიპი არ გეგონოს, თუ გინდა, ერთად წავმსევდეთ, შარაფის პონტში გაგიყვან.

—გლეჯვის ვარიანტია, სიმონ! მიდიმოვდივარ თოხლაობა, ჯაგი-ჯუგი, ოფშესტვო, სვეტები, მასტები, კაეფი, გრიალი, კამპოტი, რამე-რუმე. დოყელა მისწორებს, — თრთოლვით წარმოსთქვა ლიკამ. ჩაჩაჩული კალგოტკა შეისწორა და ნაზი ჩურჩულით იკითხა: ზამპოც იქნება?

წოპემ კონტრადმირალის დონეზე გადაიხარხარა და ფელდმარშლის დაჯერებულობით მიუგო: — ზამპოც იქნება, შუშუც, შოკოც და კონოც. — მერე ახალგაცნობილი ქალიშვილი გულში ჩაიკრა, მხარზე ხელი გადახვია და პიკნიკზე წაიყვანა.

შემოდგომის არც თუ ისე გრილი საღამო იდგა, არც თუ ისე ჟინჟლავდა“.

რედაქტორმა სულმოუთქმელად ჩაიკითხა ჩემი ახალი ოცდამეშვიდე მოთხრობა, გაკვირვებისაგან მხრები აიწურა, გამოცდილი ფსიქიატრივით დამაკვირდა, ნევროპათოლოგივით დამაშტერდა და ლიტმუშაკის თავაზიანობით წარმოთქვა: — არ დაიბეჭდება, გაუგებარია, თქვენი მოთხრობის თავარი გმირები რომელ ენაზე მეტყველებენ. ათარგმნინეთ ქართულ ენაზე და ისე მომიტანეთ!

მივხვდი, რომ ვავმაზე, მაგრამ ისე შევეჩვიე ჩემი მოთხრობის უარყოფითი გმირების სასაუბრო ლექსიკას, რომ უკვე გვიანი იყო, ეგრევე მოვიხიე, ქსივები გავაფორმე, უხელფასო შვებულება დავირტყი, ორი ორთოგრაფიული ლექსიკონი ერთ ნაცნობ გოიმს ავუწაპნე, ჯინსის შარვალი გავასუხარე, სახინკლეში ვიღაც ქართული ენის მცოდნე ნაგლი დეკოლტიანი გორსალა გამოვიჭირე, სიაფანდი პაკეტი დაუგდე, ნატურში ცოლად წაგიყვან-მეთქი, ვათოხლე და რედაქტორის მიერ დაწუნებული ოცდამეშვიდე ტუფტა მოთხრობის სათარგმნელად სურამში წავამსევე.

# თითქმის დაუჯერებელი

☐ არაბეთის ნახევარკუნძულზე იზრდება უცნაური ბუჩქი, რომლის ნაყოფის ჭამა ადამიანში იწვევს... თავშეუკავებელ სიცილს.

რამდენიმე ნაყოფის ჭამის შემდეგ ადამიანს შეიძლება სასუნთქი ცენტრის დამბლა დაემართოს და სიცილ-ხარხარში დაიღუპოს.

☐ ამერიკელმა ვინმე ელ დონ ვესკომ, რომელიც ორი ტურბოძრავიანი მოტოციკლით სარგებლობდა და საწვავად იყენებდა... სპირტს, ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა: მან ერთ საათში დაფარა... 512 კილომეტრი.

☐ ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა აგრეთვე 18 წლის ამერიკელმა ტონო კეილისტმა.

იგი დოლზე აბრახუნებდა... 160 საათი.

☐ უნგრეთში, ქალაქ შოპრონის მიდამოებში, გათხრების დროს არქეოლოგებმა აღმოაჩინეს სამართებელი.

ეს სამართებელი მსოფლიოში ჯერჯერობით ყველაზე ძველ სამართებლად შეიძლება მივიჩნიოთ.

მისი ხნოვანებაა... 2.700 წელი.

☐ ამ რამდენიმე ხნის წინათ ინგლისში შესამჩნევი გახდა ლითონის ერთპენსიანი მონეტის ნაკლებობა.

მალე ნათელი გახდა, რომ საქმოსნების ერთი ჯგუფი თურმე გაფაციცებით აგროვებდა ამ მონეტებს, ადნობდა და თითოეულ ტონას 703 ფუნტ სტერლინგად ყიდდა.

საქმოსნებს ტონა ლითონი უჯდებოდათ... 450 ფუნტი სტერლინგი.

☐ სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ მსოფლიოს ზღვებსა და ოკეანეებში 4-ჯერ მეტი ნავთობია, ვიდრე... დედამიწის წიაღში.

☐ პალერმოს ტელეფონისტმა ქალებმა, რომლებიც საერთაშორისო ხაზებზე მუშაობენ, შეადგინეს ე. წ. „ოქროს წიგნი".

ამ წიგნში ალფაბეტის მიხედვით დაალაგეს 2.804 სალანძღავი სიტყვა. ამ სიტყვებით აბონენტები ლანძღავდნენ ტელეფონისტ ქალებს ნახევარი წლის მანძილზე.

☐ ჯუჯა სახელმწიფო ლუქსემბურგი, რომლის მოსახლეობა 360 ათასი კაცია, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ნატო-ს შემადგენლობაში შევიდა.

ამჟამად ლუქსემბურგში 96 ბანკია, აქედან უცხოელ მონოპოლისტებს ეკუთვნით... 92 ბანკი.

## საგულისხმო სტრიქონები

სახლის სიმაგრე ყოველთვის კედლების სისქეზე არ არის დამოკიდებული.

თუ ყველა მეზობელი გაგეცლება — შენ ხარ დამნაშავე.

დატვირთული ურემი ნაკლებად ხმაურობს.

მოთმინება ზოგჯერ გამარჯვებაა.

ლაჩართან გულადობა სიგულადე როდია.

სულელი ყოველთვის მართალია.

უჭკუო კაცს ოჯახი ინახავს, ჭკვიანი — ოჯახს.

ხიდის სილამაზეს სიმაგრე სჯობია.

კარგ საქმეს რომ ტაშს დაუკრავ, შენ საქმესაც აკეთებ.

იოლად ნაშოვნი იოლი დასათმობია, ძნელად ნაშოვნი — ძნელი.

მწვერვალზე ასავლელად ბეწვის ხიდის გავლაა საჭირო.

**შოთა ნათიძე**

ცხოვრებას ისე მიუდექ —
სწორედ იხმარო ჭკუაო,
ზოგჯერ ნაჯახის პირი სჩრის,
ზოგჯერ კი მისი ყუაო.

**მიხეილ კვიცარიძე**

წუწუნი უმოქმედობაა, მოქმედება — ახლის ძიება.

ვინც გულით იბრძვის პირველი ადგილისთვის, ბოლო ადგილს არ დაიკავებს.

არაფრის მცოდნე — უფესვო ხეა.

კარგად ჩაცმა კი არა, კოხტად ჩაცმაა სიფაქიზე.

უნდა იცოდე, სად მიდიხარ და ვისთან.

ქარმა რომ ბზე გაანიავოს, ბზე მაინც ბზედ დარჩება.

ამხანაგი ხიდთან მისასვლელია, გზაა, მეგობარი — ხიდი.

ახალი ამბავი სუნთქვაა, ძველი — ამონასუნთქი.

დოს სიმჟავე შეფერის, ადამიანს — სიტკბო.

**ვაჟა მაგრაქველიძე**

## კროსვორდი

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ვერტიკალურად:**

1. საკონცერტო-გასართობი დარბაზი მე-18—მე-19 საუკუნეებში; 2. უარყოფითად დამუხტული ნაწილაკი; 3. გამხსნელის თანდათანობით შეღწევა ხსნარში; 4. წერილობითი ძეგლებისა და საბუთების საცავი; 5. ფულის ერთეული ალჟირსა და ტუნისში; 7. ხუროთმოძღვარი; 9. ცილოვანი ნივთიერება სისხლში; 13. მთა დაღესტანში; 14. მუსიკალური ნაწარმოების ტექსტი; 15. დაავადება; 16. საგანგებო დავალება; 22. წამოძახილი რისიმე აღმოჩენისას; 24. კეთილთვისებიანი სიმსივნე; 25. კურორტი საქართველოში; 26. წვეულება; 27. მინერალი.

**ჰორიზონტალურად:**

6. სამართველო ორგანო; 8. დაპყრობილი ქვეყანა; 10. ასპარეზი; 11. თუთიყუში; 12. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში; 17. რუკათა კრებული; 18. მეთაური, ხელმძღვანელი; 19. ქოქოსის კაკლის გული; 20. ცხოველი; 21. ორი ალგებრული გამოსახულების ჯამი ან სხვაობა; 23. სინათლის, ხელოვნებისა და წინასწარმეტყველების ღმერთი; 28. შეძახილი; 29. ცხოველთა სამყარო; 30. გამოთიშვა; 31. მუსიკა, რომელიც თან ახლავს სოლო პარტიას.

**შეადგინა ვაჟა ვახტანგაძემ**

გარეკანის პირველ გვერდზე: სტუდენტი გოგონა. ბონდო დადვაძის ფოტო.

გადაეცა ასაწყობად 6/VIII-79 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 5/IX-79 წ., ქაღალდის ზომა $70\times108^1/_8$, ფიზიკური ფურცელი 2,5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 3,5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,2, ტირაჟი 52.450. შეკვ. 2008. უე 00790. ფასი 30 კაპ.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14
Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი
380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელ. — მთ. რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილების გამგეების — 93-28-42, 99-01-39.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.



ეროვნული ბიბლიოთეკა

— მამა მალე მოვა.

— რატომ დამაბეს ასეთი წვრილი ჯაჭვით?!





ცნობისმოყვარე.



— აცე, შე მართლა ვირო!

ზურაბ დათუაშვილის ფოტო.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდექსი 76056